გაცოცხლებული ძველი ტფილისი

ორი წყარო
დედაქალაქის ისტორიისათვის

არტანუჯი

სერიის მთავარი რედაქტორი
ბუბა კუდავა

თარგმანი და განმარტებები
მიხეილ შალვაშვილისა

რედაქტორი
თეა ალიბეგაშვილი

ISSN 1512-4452
ISBN 978-9941-494-17-8
© მიხეილ შალვაშვილი, 2021
© გამომცემლობა არტანუჯი, 2021

სარჩევი

წინათქმა 7

ს. ი. ქიშმიშევი
40-იანი წლების თბილისი. 1894 წ. 13

ა. ი. ქიშმიშევი
ტფილისი. პირადი მოგონებები. 1909 წ. 55

შენიშვნები 77

საძიებლები
პირთა სახელები 117
გეოგრაფიული სახელები 120

პირველი გამოცემის ასლები 127

TWO SOURCES OF THE HISTORY OF TBILISI (Summary) 173
ДВА ИСТОЧНИКА ИСТОРИИ ТБИЛИСИ (Резюме) 175

წიგნი ეძღვნება ბატონ
თენგიზ დოლიძის (დიეზის) ხსოვნას

წინათქმა

თბილისის ისტორია მდიდარია ლეგენდებით, ზეპირი გადმოცემებითა და ნამდვილი ისტორიით. იმდენად მდიდარი და ლამაზი, რომ ხშირად ლეგენდები თავად დაგვიჯერებია და ნამდვილი ისტორიის სახით გაგვივრცელებია. ზოგჯერ კი სინამდვილე იმდენად დაუჯერებლად მოგვჩვენებია, რომ ლეგენდის შარავანდედით შეგვიმოსავს და სტუმრისთვის, მეგობრისთვის, ბავშვებისთვის მოგვიყოლია.

ძველი თბილისი ის ამბავია, ლეგენდა და სინამდვილე ერთმანეთში რომ გადახლართულა და ორივე ერთნაირად გვათბობს და გვატკბობს, განსაკუთრებით, როდესაც ტფილისის ძველ ფოტოებს დავცქერით. მაგრამ იმის მშენებლობა, რაც ფოტოებმა დამთავრებული სახით შემოგვინახეს, გაცილებით უფრო ადრე დაიწყო. იმ დროს ფოტოგრაფია არ არსებობდა და მხოლოდ ძველ გაზეთებში, არქივებში, მხატვრულ ნაწარმოებებსა და ბიოგრაფიულ ნაშრომებში ინახებოდა ისტორია. ასე რომ, თუ ფოტოებზე აღბეჭდილი XIX საუკუნის ბოლოს და XX დასაწყისის ქალაქი „ძველი თბილისია“, თქვენ წინ მდებარე წიგნში აღწერილი მოვლენები, ხატოვნად რომ ვთქვათ, „ძველის-ძველ თბილისს“ განეკუთვნება.

თქვენ წინაშეა ორი ბიოგრაფიული ნაშრომი – სტეფანე იოსების ძე ქიშმიშევის „40-იანი წლების ტფილისი“ და ალექსანდრე იოსების ძე ქიშმიშევის „პირადი მოგონებები“. სანამ უშუალოდ მათ ნაშრომებზე გადავიდოდეთ, მოკლედ გაგაც-

ნობთ მათ ავტორებს, რათა გავერკვეთ, რამდენად დამაჯერებელი და სარწმუნოა მათი მოგონებები.

სტეფანე იოსების ძე ქიშმიშევი დაიბადა 1833 წლის 10 ივნისს ტფილისში. დაამთავრა მიხეილის სახელობის არტილერიის სასწავლებელი სანკტ-პეტერბურგში. შემდეგ გენერალური შტაბის ნიკოლოზ I-ის სახელობის აკადემია. სამხედრო სამსახური დაიწყო 1850 წლის 3 თებერვალს პრაპორშჩიკის ჩინით და მთელი თავისი სამხედრო კარიერის განმავლობაში მსახურობდა კავკასიაში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში, კავკასიის ომის 1860, 1863, 1873 წლების კამპანიებში. 1880 წელს გენერალ-მაიორის წოდებით ხელმძღვანელობდა ტფილისის ადგილობრივ ბრიგადას. 1888 წელს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება და დაინიშნა კავკასიის სამხედრო ოლქის 24-ე ადგილობრივი ბრიგადის უფროსად. 1897 წელს ისევ დაუბრუნდა ტფილისის ადგილობრივი ბრიგადის მართვას. გარდაიცვალა იმავე წელს, დაკრძალეს ვანქის ტაძრის ეზოში. ბოლო წლები ცხოვრობდა ტფილისში, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ბებუთოვის ქუჩის 12-ში (დღეს ლ. ასათიანის 12) თავის კუთვნილ სახლში. ს. ი. ქიშმიშევი რამდენიმე ნაშრომის ავტორია. მათ შორის არის „საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლები", რომლის შესახებ ილია ჭავჭავაძემ მკაცრი კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა.

ალექსანდრე იოსების ძე ქიშმიშევი დაიბადა 1843 წელს ტფილისში. მასზე რაიმე დამატებითი ინფორმაცია არ მოიპოვება. არც ის არის ცნობილი, ჰქონდა თუ არა ნათესაური კავშირი სტეფანე იოსების ძესთან, რაც აზრად მოდის მათი მამის სახელის მიხედვით. ცნობილია მხოლოდ, რომ 1890-1909 წლებში მსახურობდა კავკასიის ცენზურის კომიტეტის ადგილობრივი და აღმოსავლური ენების მთავარ ცენზორად.

მათი ორივე ნაშრომი ტფილისის ისტორიის მ. ს. ვორონცოვის მეფისნაცვლობის პერიოდს მოიცავს. ორივე ავტორი

ბი" 15 წლის შემდეგ, 1909 წელს გამოვიდა. ს. ქიშმიშევის წიგნი ნაბეჭდი სახით 16 გვერდს მოიცავს, ხოლო ა. ქიშმიშევისა – 29 ნაბეჭდ გვერდს. მაგრამ პირველი წიგნი სიტყვიერი მოცულობით 2-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე მეორე. რჩება შთაბეჭდილება, რომ ა. ქიშმიშევი თავისი მოგვარის, ს. ქიშმიშევის, მიბაძვით წერდა წიგნს და მოცულობის გასაზრდელად იყენებდა სხვისი გადმოცემით მოსმენილ, გადაუმოწმებელ ფაქტებს, უმატებდა თავის ვერსიებს. როდესაც არც ეს აღმოჩნდა საკმარისი, მან უბრალოდ მსხვილი შრიფტით დაბეჭდა თავისი მოგონებები. მიუხედავად ამისა, ა. ქიშმიშევის მონათხრობშიც ბევრი საინტერესო ამბავია გადმოცემული, მაგალითად – პასკევიჩის (დღეს გ. ქიქოძის) ქუჩის სიმრუდის მიზეზი, ყეენობის ზეიმი, ჰაჯი-მურატის გაქცევა, ნაკო იზდანოვის ისტორია, ხანძარი არწრუნის ქარვასლაში და სხვ.

* * *

შენიშვნების დატანისა და მათი განმარტებებისას ვეცადეთ, შორს არ წავსულიყავით ძირითადი ტექსტიდან. მაგალითად – როდესაც განვმარტეთ „ჰაინის აფთიაქი", ჩვენ მივუთითეთ, სად მდებარეობდა ეს აფთიაქი და თავი ავარიდეთ მისი მფლობელის, ფრიდრიხ ჰაინის ძალიან საინტერესო ისტორიას. წიგნში ნახსენები რამდენიმე პიროვნებისა და ფაქტის გადამოწმება ჩვენთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა. კერძოდ, ვერ მოვიძიეთ ცნობები – კონა ერისთავის, აბელის, მადამ ანტონელის, ახპატის ღვთისმშობლის გამოცხადების ხატის შესახებ. სიამოვნებით გავიზიარებთ ამ ინფორმაციას, თუ იგი ვინმეს მოეპოვება.

ტექსტის ვიზუალური მხარის შესანარჩუნებლად, ძირითადი ტექსტი, რამდენიმე ადგილას, თვით ავტორთა მიერ გვერდის ქვემოთ დატანილ შენიშვნებთან ერთად, იმ თანმიმდევრობით არის მოცემული, როგორითაც ეს ორიგინალებშია. ხოლო ჩვენ

მიერ დატანილი შენიშვნები, შესაბამის ფოტოებთან ერთად, წიგნის ბოლოს არის მოტანილი. ფოტოები იმ პერიოდისაა, როდესაც ეს ნაშრომები იწერებოდა, რაც დაგვეხმარება გავიგოთ, მათ ხელთ არსებული რა ფაქტებით ხელმძღვანელობდნენ ავტორები მონაყოლის გადმოცემისას.

ქიშმიშევების მოგონებების თარგმნის იდეა 2009 წელს გამოითქვა. იმ დროისთვის ტფილისის ჰამქრის უსტაბაშის, ხოლო ამჟამად საქართველოს პარლამენტის მეათე მოწვევის დეპუტატის, ალექსანდრე ელისაშვილის მიერ.

* * *

დასასრულს, გვსურს, ერთი იდეა გავახმოვანოთ. თანამედროვე თბილისის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ნაწილია – „ძველი თბილისის რაიონი". 1936 წლამდე ქალაქს, რეალურად კი ქალაქის იმ ნაწილს, რომელიც დღეს აღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულშია მოქცეული, „ტფილისი" ერქვა. მიგვაჩნია, უკეთესი იქნება თუ „ძველი თბილისის" რაიონს სახელი შეეცვლება და უბრალოდ „ტფილისი" დაერქმევა, ისევე, როგორც მაგალითად „სითი" – ლონდონში. ამით ქალაქის ისტორიას პატივს მივაგებთ და კუთვნილ სახელს დავუბრუნებთ.

* * *

იმედი გვაქვს, წინამდებარე წიგნი საინტერესო აღმოჩნდება ტფილისის ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისთვის და დროს სასიამოვნოდ გაატარებთ მისი კითხვისას.

მიხეილ შალვაშვილი

ს. ი. ქიშმიშევი

40-იანი წლების თბილისი

1894 წ.

ძველი ტფილისის საზღვრები. – ახალი ქალაქის შენება. – ფასეულობათა და ადათ-წესების ცვლილება. – ლამაზი ნარსული. – პატრიარქალური ოჯახის ყოფა. – პროდუქტების სიიაფე. – ქუჩის ცხოვრება. – ვაჭრობა. – წარმოდგენები ღია ცის ქვეშ. – ხალხური სიმღერები და მათი შემოქმედნი. – მუსიკალური ინსტრუმენტები. – ქუჩის თამაშობები. – ძველი და ახალი ვაჭრები. – პირველი კლუბი ტფილისში. – „კრება“ და თავად მუხრანელის სახლი. – აზარტული თამაშები. – ყავახანები. – ერივანსკის მოედანი ძველად. – იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ჩამოსვლისადმი მიძღვნილი წვეულების მოგონებები. – ყავახანების მუშტრები და მათ მიერ ჩადენილი უმსგავსობები. – ძველებური პოლიცია. – საკვირაო ბაზრობა. – ჯამბაზები. – აბელი. – ახლანდელი ერივანსკის მოედანი. – დუქნები. – ღრეობები. – კარსიძის დუქანი. – მხიარული დროსტარება. – საეკლესიო დღესასწაულები. – ღვთისმშობლის მიძინების აღნიშვნა. – ფეთხაინის დღესასწაული. – სარძლოს შეთვალიერება. – სადღესასწაულო მხიარულება. – სიონის დღესასწაული. – მუშტი-კრივი. – 1851 წლის 4 თებერვლის

დარბევა. – თავად ვორონცოვის ახსნა-განმარტებები ამის თაობაზე. – რბოლები. – ჯირითი. – ჯილდოზე ჯირითი. – თავადი კონა ერისტოვი. – თუშის ჯაგლაგი და იმპერატორის ჯილდო. – ცხენის მოშენების დაცემა. – იორდანეს დღესასწაული. – იორდანე 30-იან 40-იან წლებში. – სათამაშო სახლები. – მათი სტუმრები. – აზარტული თამაშები. – სათამაშო სახლი ნორაშენის ქუჩაზე. – მადამ ანტონელი. – ტანცკლასი. – ქორწილები. – ნიშნობები. – „სიძის ნახვა“. – მზითევი. – „ალავი“. – ჯვრისწერა. – „პირის სანახავი“. – საქორწილო წვეულება. – „რიგის პური“. – მომღერალი სათარ-აღა. – უხვი ჭამა-სმა. – ორთაჭალის და კრწანისის ბაღები. – ბაღის ხიზნები. – დელაპორტის მოგონებები – სურბ-სარქისის ეკლესია. – მისი სასწაულმოქმედი ძალა. – საქმროს ამოცნობა. – გამანაწილებელი საგუშაგო. – საფოსტო სადგური. – ბორანი. – ვორონცოვის ქუჩის გახსნა. – სეიდაბადის ბაღები. – გოგირდის აბანოების შემოგარენის დღევანდელი სახე.

I

ტფილისი, უწინ საქართველოს დედაქალაქი[2], ხოლო შემდგომ მხარის მთავარმართებლისა და მთელი ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი, რუსების გამოჩენამდე, მიეკუთვნებოდა ძველებური აზიური ქალაქების ტიპს ვიწრო ქუჩებით, მიხვეულ-მოხვეული გასასვლელებით, ერთმანეთს მიკრული სახლებით, რომელთა ბრტყელი სახურავები[3] ერთი შენობიდან მეორეზე თავისუფლად გადასვლის საშუალებას იძლეოდა. მტკვრის ორივე ნაპირზე გაშლილი ქალაქის ჩრდილოეთ საზღვარი იყო ღრმა „ავანაანთ ხევი“[4]. ეს ხევი, იწყებოდა რა ამაღლების ქუჩაზე, ამაღლების ეკლესიისკენ ამავალ ციცაბო აღმართთან, კვეთდა მთისპირა ქუჩას[5], ეშვებოდა სოლოლაკის ქუჩით[6], მთელს სიგანეზე ჭრიდა ერივანსკის მოედანს[7], შემოუვლიდა

სალდათის ბაზარს[8] და მტკვრისკენ ეშვებოდა, იმ ადგილის შორიახლო, სადაც ქართველ მეფეთა დროს ქვის ხიდი იყო[9]. 30-იან წლებში ერივანსკის მოედანზე ხევი ქვის თაღით გადახურეს. შემდეგ მისმა უბრწყინვალესობამ, თავადმა ვორონცოვმა[10], შეიცოდა აქ მცხოვრებნი, რომელნიც ნაგვიანი ხევიდან ამომავალი სიმყრალით იხრჩობოდნენ და ხევის დარჩენილ სიგრძეზე გაიყვანა სწორი განიერი სოლოლაკის ქუჩა, რომელსაც ხუმრობით „თბილი“ შეარქვეს, რადგან აქ მზე მთელი დღის განმავლობაში თანაბრად ანათებდა. ხევს იქით[11] გადაშლილი იყო ტრიალი მინდვრები, საძოვრები, ადგილობრივ მცხოვრებთა ქოხმახები, იქ, სადაც ამჟამად დგას საოლქო შტაბის შენობა[12], სასახლე[13], კლასიკური გიმნაზია* და სხვ. მას შემდეგ, რაც ეს ადგილი გაშენდა, მას გარეთუბანი ეწოდა, ანუ ქალაქის საზღვრებს მიღმა მდებარე ნაწილი. ასეთივე გაშლილი ადგილები ესაზღვრებოდა სალდათის ბაზარსაც; ამ ადგილებში იდგა XVI საუკუნეში აშენებული ვანქის ტაძარი[14], აქვე მდებარეობდა ცალკე უბანი, რომელსაც შემდგომში ეწოდა ორბელიანთ აული[15], რადგან აქ თავმოყრილი იყო თავად ორბელიანების სახლები.

მარცხენა სანაპიროს ჩრდილოეთ საზღვარი იყო ამჟამად საცხოვრებელი სახლებით მჭიდროდ განაშენიანებული სურბ-კარაპეტის ხევი[21]. დასავლეთიდან ტფილისს სოლოლაკის ბაღები[22] ესაზღვრებოდა: ეს ბაღები ქალაქისგან გამოყოფილი იყო ქვის კედლით, რომლის ნაშთები ახლაც ჩანს[23]. კედელი იწყებოდა სოლოლაკის მთაზე[24], ქვის სახლის ახლანდელ ნანგრევებთან, სადაც ორმოციანი წლების დასაწყისამდე ობსერვა-

---

* საოლქო შტაბი, სასახლე, კომენდატურის სამმართველო[16] ააგო გენერალმა ერმოლოვმა[17]. მანვე ააშენა სამაზრო სასწავლებლის[18] შენობაც, სასახლის ქუჩის[19] იმ ნაწილში, სადაც ახლა თავს იწონებენ სახლები მოქალაქეების სარაჯევის და ლალაევისა, ყოფილი ზუბალოვისა[20].

ტორია[25] იყო, მიუყვებოდა ველიამინოვის ქუჩას[26] და მართლმადიდებლური სემინარიის[27] სიახლოვეს კოშკით[28] მთავრდებოდა. ქალაქის სამხრეთ საზღვრადაც კედელი იყო, რომელიც დღემდე შემორჩა. ის მიუყვებოდა მთის ქედს, რომლის სამხრეთ ფერდობზე ბოტანიკური ბაღია[29] გაშენებული, ბოლოში კი უერთდებოდა ციხესიმაგრის ძველ ნაგებობებს[30], დღესაც რომ ჩანს და, რომელსაც 1848 წლამდე ტფილისის გარნიზონის დენთის საცავად იყენებდნენ, ამ წელს დენთით სავსე საცავს მეხი დაეცა და აფეთქდა. ძველი კედელი მოუყვებოდა ძველ ნაგებობას, ეშვებოდა დაბახანის ხევისკენ[31] და სრულდებოდა მტკვართან, იმ ადგილას, სადაც ახლა ვორონცოვის ქუჩის[32] დასაწყისია. აქ მდებარეობდა განჯის კარი[33], რომლის გავლითაც ჩვეულებრივ, ტფილისში სპარსელები შემოიჭრებოდნენ. აღმოსავლეთიდან ტფილისი ღია იყო.[34] აქედან იწყებოდა თვალუწვდენელი მინდვრები. სწორედ ამ მინდვრებზე გაშენდა მოგვიანებით არსენალი, მსროლელი ბატალიონების ყაზარმები, დენთის სარდაფები[35], სამების დასახლება (ძაღლისუბანი)[36]. აღმოსავლეთ საზღვრის განაპირას მდებარეობდა ნავთლული[37], რომელიც ამჟამად თითქმის შერწყმულია ავლაბართან.

II

ტფილისი, თავისი მრავალეროვანი 30 ათასიანი მოსახლეობით აღწერილ საზღვრებში იყო მოქცეული. ცივილიზაციამ, ანუ, როგორც ახლა მივეჩვიეთ თქმას, კულტურამ, დროთა განმავლობაში საგრძნობლად შეუცვალა მას იერი. აღმოცენდა ახალი ქალაქი, გაშენებული გეგმის მიხედვით, თანამედროვე არქიტექტურით და სახლებით. მისი მშენებლობა დაიწყო თავად ვორონცოვის ჩამობრძანების შემდგომ, რომლის ინიციატივითაც სოლოლაკის ულამაზესი ბაღები გადაიქცა განიერქუჩები-

ანი სწორი მოხაზულობის უბნებად, როგორადაც ვხედავთ ჩვენ დღეს სერგეევის, ნოვოინსტიტუტის, რტიშევის, გუდოვიჩის[38], ამაღლების და სხვა ქუჩებს. თავად ვორონცოვისავე გეგმის მიხედვით გადაკეთდა კუკია, მიხეილის ქუჩითურთ და ჩულურეთი[39], სადაც ახლა დგას არაერთი დიდი შენობა, რომელიც ქალაქს ამშვენებს. მას შემდეგ ცხოვრებამ ევროპულ ყაიდაზე იწყო დინება, შეიცვალა ადათ-წესები, ჩვეულებები, გემოვნება, ჩაცმულობა, განსაკუთრებით მანდილოსანთა, ისინი სულ უფრო იშვიათად გამოდიოდნენ ხალხში თეთრ საბურველში (ჩადრებში) გახვეულნი, ჩამოყალიბდა ახალი გარემო. მიუხედავად ამისა, ბევრი მისტირის ძველ კარგ დროებას, პატრიარქალურ ოჯახს, საკვები პროდუქტების სიიაფესა და სიუხვეს, რაც უქონელთა კლასს თავის გატანის საშუალებას აძლევდა.

იმხანად ძველი ქალაქი მთავარი სასიცოცხლო ცენტრი იყო. ხალხი მზის ამოსვლასთან ერთად იღვიძებდა და ქუჩებში დაღამებამდე ჩქეფდა სიცოცხლე. განსაკუთრებული გამოცოცხლება სუფევდა სომხის ბაზარზე[40], სიონის ქუჩაზე[41], ბნელ რიგებში (ბაზაზხანაში[42]), თათრის მეიდანსა[43] და ახლომდებარე ქარვასლებში. აქ დებდნენ მსხვილ კომერციულ გარიგებებს, გაჩაღებული იყო ვაჭრობა მანუფაქტურით, კოლონიალური და სხვა საქონლით. სიონის ქუჩაზევე მდებარეობდა მთავარი გადამცვლელი დუქნები (ზარაფხანები[44]), რომლებიც დღევანდელი ბანკებისა და საბანკო კანტორების ფუნქციებს ასრულებდა. იქვე მდებარეობდა საფოსტო განყოფილება, ცოტა ზემოთ კი, წმ. გიორგის მოედანზე[45], მეეტლეთა ბირჟა. ფუსფუსი აქ დაღამების შემდეგაც არ წყდებოდა: ყოველ ქუჩაზე ისეთი სასიამოვნო სიმღერები ისმოდა, რომ გამვლელები ხშირად ჩერდებოდნენ მოსასმენად. ღია ცის ქვეშ გამართულ ამ კონცერტებს, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის მუსიკალურ ნიჭზე მეტყველებდა, ჩვეულებრივ, დღიური სამუშაოს შემდეგ შინისაკენ მიმავალი დახლიდარები, ხელოსნები და სხვა მაშვრალნი აწყობდნენ. ისმოდა არა იმპროვიზირებული, არამედ საზოგადოდ

ცნობილი სიმღერები, ამ სიმღერებს უკვდავი სახალხო მგოსნები ქმნიდნენ: თავადი მაჩაბელი[46], რომელიც დაიღუპა 1795 წელს ტფილისთან მეფე ერეკლესა და აღა-მაჰმად-ხანს შორის ბრძოლაში, და საიათ-ნოვა[47], რომელიც სპარსელებმა ტფილისის აღებისას თათრის მეიდანზე მდებარე სურბ-გევორქის[48] ეკლესიის ეზოში მოკლეს. სიმღერის ამ მოყვარულთა გარდა, კონცერტებს აწყობდნენ ვოკალური ხელოვნების სხვა მოყვარულებიც, რომლებიც იკრიბებოდნენ მთვარიანი ღამით მოედნებსა და ხალხმრავალ ქუჩებში და მუსიკალური ინსტრუმენტის, თარის[49], თანხლებით ასრულდებდნენ ხალხურ სიმღერებს. ამ სიმღერებში, რომელთა ავტორები ორი ზემოთ ხსენებულის გარდა, იყვნენ სხვა, უფრო ახალი აშუღებიც,[50] – ასახული იყო თანამედროვე საზოგადოების, ადგილობრივი ყოფისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ეპიზოდი. გუნდის სიმღერას ხშირად თან ერთვოდა, სხვა, თარზე ნაკლებ მელოდიური ინსტრუმენტების ხმაც, როგორებიცაა: სალამური (კლარნეტის მსგავსი ინსტრუმენტი), ჩონგური (იგივე ბალალაიკა) და დუმბო (იგივე ლიტავრა)[51]. ვერ ვიტყვით, რომ ეს ინსტრუმენტები, განსაკუთრებით ბოლო, ყურისათვის დიდად საამური იყო, მაგრამ მსმენელი ნამდვილად არ აკლდა. მომღერლების ქუჩაში გამოსვლისთანავე ახლომდებარე სახლების მაცხოვრებლები ბანზე, აივნებზე, ჭიშკრებთან გამოეფინებოდნენ, რომ დამტკბარიყვნენ სიმღერით, რომელიც ზოგჯერ გვიან ღამემდე გრძელდებოდა. ღამის სიმშვიდეს მარტო სიმღერა არ არღვევდა: საღამოს დადგომისთანავე სხვადასხვა ასაკის ბიჭბუჭობა ჯგუფებად იკრიბებოდა ერთსა და იმავე ადგილზე. თავის უბანში: სხვადასხვა თამაშით ერთობოდნენ და არემარეს შეძახილებით აყრუებდნენ. ხალხმრავალ ქუჩებში საღამოობით წვრილი ჩარჩებიც[52] გაჰყვიროდნენ, ისინი ახურდავებდნენ ვერცხლის ფულს და წვრილმანი საქონლით ვაჭრობდნენ. განსაკუთრებით გამაყრუებელი შეძახილები გაისმოდა შაბათობით სიონის ქუჩაზე, სადაც ცვილის სანთლებით და საკმევლით მოვაჭრენი მყიდველებს სთავაზობდნენ, ეყიდათ ეს ნივთები სულის საცხონებლად.

ახლა დავიწყებას მიეცა კონცერტები ღია ცის ქვეშ; და თუკი ეს სიმღერები ძველი ქალაქის კუნჭულებში აქა-იქ კიდევ ისმის, ეს მხოლოდ გადმონაშთია და პირვანდელი აზრი დაკარგული აქვს. აღარც ბიჭები თამაშობენ ქუჩაში; ეს ყველაფერი უკვალოდ გაქრა, ისევე, როგორც ჩარჩების და მეწვრილმანეების შეძახილები. ეელარსად ნახავთ სომხის ბაზარზე, სიონის ქუჩასა და ბნელ რიგში დახლების მიღმა მედიდურად გამოჭიმულ ძველ ვაჭრებს; ისინი შეცვალა წვრილმა ქორვაჭრობამ,[53] ძირითადად თამამშევის ქარვასლაში,[54] სასახლის ქუჩაზე, გოლოვინსკიზე[55] და ახალი ქალაქის სხვა ხალმხრავალ ქუჩებზე. ახლანდელი ვაჭრები, დღისით დუქნებში ვაჭრობენ, საღამოობით კი დროს კლავენ ბაღებში ან კლუბებში, რომელთა ხსენებაც ძველად არ იყო. პირველი კლუბი ტფილისში გაჩნდა 1852 წელს ხარინის რესტორაციაში[56], ერივანსკის მოედანზე მდებარე თამამშევის ქარვასლაში; ინიციატორი იყო ამ შენობის მფლობელის შვილი[57], რომელმაც მოიპოვა უფლება „ტფილისის კრებად"[58] წოდებული კლუბის წესდებაზე.

წესდების დამტკიცების შემდეგ „კრება" გადავიდა იმავე წელს ნაგავსაყრელის ადგილზე აშენებულ, თავად მუხრანსკის სახლში[59]. მანამდე ადგილობრივი საზოგადოება, კლუბის უქონლობის გამო ბანქოს თამაშით ერთობოდა. ეს თამაშები სპარსეთიდან გადმოიღეს და ქართველ მეფეთა დროიდან სხვადასხვა დასახელებით იყო ცნობილი: ასონასი, ცხრა, მუშქა შემდგომში გადაკეთებული რამსად.[60] თამაშობდნენ ასევე ნარდს, ყომარს (კამათელს), კონჩინას[61], რომელიც გადმოიღეს თბილისში სხვადასხვა საქმეზე ჩამოსული ბერძნებისგან. ყველა ეს აზარტული თამაში რუსების შემოსვლის მერეც შემორჩა. აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილებას საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში იჩენდნენ; მთავარი სათამაშო ბუნაგები იყო ყავახანები, დუქნები, სათამაშო სახლები. თამაშობდნენ ერთმანეთის სახლებშიც მორიგ, რიგის პურად[62] წოდებულ თავყრილობებზეც.

III

ყავახანები ძირითადად ერივანსკის მოედანზე, ახლანდელ პუშკინის ქუჩაზე[63], სკვერის მოპირდაპირე მხარეს სახლების სარდაფებში ან თვითონ ბინძურეზოიან სახლებში იყო თავმოყრილი, ასეთ სახლებში ფეხსადგილის[64] მაგივრობას ხშირად სახლის ბანები და ეზოები სწევდა. ქუჩებიც, სადაც ყავახანები მდებარეობდა, შეუხედავი იყო. ერივანსკის მოედანს უწინ არც ქვაფენილი ჰქონდა, არც ტროტუარები, და პატარა წვიმის დროსაც კი გაუვალ ტალახად იქცეოდა ხოლმე. ქალაქის ყველაზე ტალახიან ნაწილად ითვლებოდა ადგილი სასულიერო სემინარიის[65] წინ, სადაც აუშრობელ გუბეებს შეეძლოთ შთაენთქათ ყველაზე გაბედული გამვლელებიც კი. უხუცესები ყვებიან, რომ 1837 წელს, იმპერატორ ნიკლოზ I-ის[66] ტფილისში ჩამობრძანებასთან დაკავშირებით თავადაზნაურობამ სემინარიაში „ბალი" მოაწყო. იმ დღეს წვიმდა და რადგან ეტლები მაშინ ცოტა იყო, მოწვეულები იძულებულნი იყვნენ, ფეხით მისულიყვნენ; რა თქმა უნდა, ისინი მეჯლისზე უკვე ისეთ მგომარეობაში მიდიოდნენ, რომ დიდი ძალისხმევა სჭირდებოდათ ტალახის ჩამოსაწმენდად და თავის წესრიგში მოსაყვანად.

ყავახანები ძალზე უბადრუკად იყო მოწყობილი. დახლის გარდა, რომელზეც აუცილებლად იწონებდა თავს სამოვარი, გატეხილი ჩაიდნითა და ასეთივე დამტვრეული ჭიქებით, სხვა ავეჯის ხსენებაც არ იყო. საეჭვო ხარისხის ჩაისა და ყავის გარდა, არანაირი საკვები იქ არ იყიდებოდა. სტუმრების მოსაზიდი მთავარი სატყუარა ტფილისელთა საყვარელი აზარტული თამაშები იყო; თუმცა აქ სხვა მიზნებითაც იკრიბებოდნენ, მაგალითად, სხვადასხვა საქმეზე მოსალაპარაკებლად. ამ საზიზღარი დანესებულებების სტუმართა შორის იყვნენ უგზო-უკვლოდ მოხეტიალე უთვისტომო უსაქმურები, სამსახურიდან დათხოვილი გადამწერები[67], გადამდგარი იუნკერები[68], ფუნთუშების

დამტარებლები, რომლებიც მაშინ ქუჩა-ქუჩა დაწანწალებდნენ და დღევანდელი კინტოებივით[69] ყველას თავს აბეზრებდნენ; სამეფო სამსახურში მყოფ სხვადასხვა ჩინოსანთა მოსამსახურეები და საზოგადოების დაბალი ფენების სხვა წარმომადგენლები, თუ სხვადასხვა ტიპის ნაძირალები; აქ შეხვდებოდით გაკვეთილებიდან გამოპარულ მოწაფეებსაც. ყავახანები დილიდან სავსე იყო ამ ხალხით; 4-5 ან მეტკაციან ჯგუფებად დაყოფილნი დასხდებოდნენ ჭილოფებზე ან პირდაპირ იატაკზე და იწყებდნენ თამაშს. თამაშობდნენ კონჩინას ან კოჭს (ყომარს); ეს უკანასკნელი, ასევე ცნობილი როგორც ბადე-ბადე, რაღაცით მოგაგონებდათ თამაშს – ბანკს[70]. მოთამაშე აგდებდა ოთხ კოჭს. თითოეულ მხარეს ჰქონდა თავისი სახელი: ალჩუ, თოხანი, ჭუკი და თაფი; თუ ყველა კოჭი ალჩუზე ჯდებოდა, მაშინ თამაშის მებანკეს მთლიანად მიჰქონდა ჩამოსული თანხა, რომელიც შეადგენდა 10, 20 და მეტ კაპიკს, და პირიქით, აგებდა, თუ კოჭი რომელიმე სხვა მდგომარეობას მიიღებდა. თამაშში არც თაღლითობა იყო გამორიცხული. ჩვეულებრივად კოჭის ერთ მხარეს გაკეთებულ შეუმჩნეველ ნახვრეტში ტყვიას ასხამდნენ და კოჭიც სიმძიმის გამო ყოველთვის ალჩუზე დგებოდა, რაც მებანკეს საშუალებას აძლევდა, მთელი თანხა მოეხვეტა. კიდევ უფრო მეტი წარმატებით თაღლითები თავის ხელოვნებას ბანქოს თამაშის დროს წარმოაჩენდნენ. თაღლითობის მსხვერპლნი ძირითადად დამტარებლები[71] ხდებოდნენ, რომლებიც თავიანთი პატრონების შემოსავალს აგებდნენ, აგრეთვე მოსამსახურეებიც, რომელთა ბატონები ხშირად მოისაკლისებდნენ თავიანთი კარადიდან „ერთგული" მსახურების მიერ ბედის ძიებაში გაფლანგულ ნივთებს. თამაშის დროს სრული გასაქანი ეძლეოდა უხამს ლაპარაკს, რაც ხშირად ჩხუბითა და თავ-პირის დალეწვით მთავრდებოდა. ვაი იმათ, ვინც ამ ბუნაგების ზნე-ჩვეულებებს არ იცნობდა: თუ შემთხვევით შეეხეტებოდა, სულ ერთიანად

გაყვლეფდნენ. ყავახანებში ბევრი სხვა შემზარავი დანაშაულიც ხდებოდა...

მაშინდელი პოლიცია ზედამხედველობის დარგში უსუსური იყო და, ძირითადად, დანაკლისისა და მოსაკრებლების შესახებ გამალებული მიმოწერით, მოქალაქეთა დაუსრულებელი დავების გარჩევით, წვრილმანი ქურდების დევნითა და სხვ. ამგვარი საკითხებით იყო დაკავებული. ყავახანებისთვის კი მაშინღა იცლიდა, როცა დამნაშავეები ყოველგვარ კვალს უკვე გააქრობდნენ, რომ შემდეგ ისევ დაჰბრუნებოდნენ თავის ბინძურ საქმიანობას. უსუსურნი იყვნენ წესრიგის სხვა დამცველნიც. ტფილისში, ისევე როგორც იმპერიის სხვა ქალაქებში, იმ დროს ხალხმრავალ ქუჩებზე და მოედნებზე იდგა ჯიხურები; მათი ბინადარნი იყვნენ ინვალიდი მოხუცები ალებარდებით ხელში; ამ დამსახურებულ მეომრებს ევალებოდათ სიმშვიდის დამყარება და დანაშაულის აღკვეთა. მაგრამ დიდად გამჭრიახები ვერ იყვნენ: მათ, როგორც წესი, საგუშაგოზე ეძინათ, როგორც სამსახურმოხდილ მოხუცებს შეეფერებათ. წესრიგის ასეთ დამცველებს უჭირდათ ყავახანებისთვის ყურადღების მიქცევა, რომლებშიც კვირა დღეებში განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო.

ერივანსკის მოედანზე ასევე იმართებოდა დიდი ვაჭრობა, რომელსაც ადგილობრივები იარმურკას ეძახდნენ. დილიდან ასობით მოვაჭრე იყრიდა თავს მოედანზე; აწყობდნენ რიგებს ქალაქის სათათბიროდან[72] სემინარიამდე; ზოგი ძველ ტანსაცმელს ყიდდა ფარდულებში და დახლებზე, ზოგი ძველ ავეჯს, ჭურჭელს, სხვადასხვა ნახმარ საოჯახო ნივთს და სხვა ხარახურას, ზოგი ჩირს ან ახალ ხილს; ვაჭრობდნენ ასევე უგემოვნო ნახატებით, რომლებზეც გამოსახულნი იყვნენ ძველი ქართველი ბუმბერაზები – დევები ან პეიზაჟები. რიგებს შუა მოხეტიალე სალდათები ყიდდნენ თავიანთი ხელით შეკერილ ქალის ფეხსაცმელს[73], რომელმაც თანდათან განდევნა ქალის ადგილობრივი ფეხსაცმელი – ქოში. იარმურკაზე დაძრწოდნენ სხვისი ქონების მოყვარულნი, „ყნოსავდნენ", რამე ხომ არ „იდო

ცუდად" და არცერთ შესაძლებლობას არ უშვებდნენ ხელიდან. ერთმანეთს ერწყმოდა ხმაური, ხალხის ყვირილი და დაჭერილი ქურდის კვნესა, რომელსაც ადგილზევე უსწორდებოდნენ მუშტებით. მხოლოდ ბინდი თუ დაშლიდა ამ ორიგინალურ სანახაობას – ჭრელ ბრბოს. იარმურკის დღესვე მოდიოდნენ ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი თავიანთი უბრალო ნაწარმით, შემოდგომით კი საზიდრებით მოჰქონდათ კომბოსტო, კარტოფილი და სხვა ბოსტნეული, რომელსაც ქალაქელები დაიტაცებდნენ ხოლმე. აქვე, ერივანსკის მოედანზე ღია ცის ქვეშ აკრობატულ წარმოდგენებს აწყობდნენ მოხეტიალე სპარსელი ჯამბაზები, ისინი კარგად დაჭიმულ ბაგირზე სხვადასხვა ილეთსა კეთებდნენ, ქვემოთ კი იდგნენ კლოუნები – ტაკიმასხარები და მათ მოძრაობებს აჯავრებდნენ. თავის ხელოვნებას წარმოადგენდა აგრეთვე სხვადასხვა გიმნასტი. მათ შორის განთქმული იყო ვინმე აბელი, ხელობით დურგალი, რომელიც გაკვირვებას იწვევდა თავისი მაღალი, სამ- და მეტარშინიანი[74] სიმაღლის ოჩოფეხებზე სიარულით. ის პატარ-პატარა ფოკუსებითაც ართობდა უსაქმურებს. აბელის დახმარებისთვის ხან-დახან, როცა საჭირო იყო ეკლესიების გუმბათების შეკეთება, სასულიერო უწყებაც მიმართავდა, რასაც დიდი სიმაღლის გამო ხელს არ ჰკიდებდა არც ერთი სხვა ხელოსანი.

ერივანსკის მოედანზე ძველი ყავახანები აღარ არსებობს. მათ ადგილას ახლა გახსნილია მაღაზიები, სადაც ვაჭრობენ გასტრონომიული საქონლით, თევზეულით და სხვ. მოედნიდან გაქრა იარმურკაც, რომელიც შემორჩა 1847 წლამდე ანუ თამამშევის ქარვასლის საძირკვლის ჩაყრის დღემდე. მოედნიდან სულ ბოლოს წავიდნენ საზიდრებიდან ბოსტნეულით მოვაჭრენი, ურმებიდან შეშის გამყიდველები, რომელთაც სკვერის გაშენებასთან ერთად ახალი ადგილი მიუჩინეს. ქალაქის თვითმმართველობის ზრუნვის წყალობით, ერივანსკის მოედანმა მიიღო ის კეთილსახიერება, რომლითაც დღეს წარმოგვიდგება[75].

IV

სამიკიტნოები ქალაქის ცნობილ უბნებში იყო შეყუჟული. ისინი ძირითადად მდებარეობდა სომხის ბაზარზე, აბანოს კართან[76] და რიყეზე. ეს დაწესებულებები ოდნავადაც არ განსხვავდებოდა იმ დახლებისგან, რომლებითაც იმხანად სავსე იყო ძველი ქალაქი. უცხო კაცი სამიკიტნოს გვერდზე ჩაუვლიდა, გამოკიდებულ აბრას რომ არ შეეხსენებინა, რომ ამ დაწესებულებაში შეიძლებოდა ძალების მოკრება ან სულის მხნეობის შენარჩუნება გამაგრილებელი სასმელებით; აბრაზე დახატული ბილიარდი ფრაკში გამოწყობილი ორი ბატონით იმაზე მიუთითებდა, რომ აქ შეიძლებოდა ორიოდე საათით დროის მოკვლა. თუმცა სტუმარს შესვლისთანავე სრული იმედგაცრუება ელოდა, ის ვერაფერს იღებდა ვერც ძალ-ღონის მოსაკრებად და ვერც სულიერი მხნეობის შესანარჩუნებლად. აბრაზე დახატული მთელი სურათიდან ერთი თუ გამართლდებოდა – ძველთაძველი ბილიარდი, დამტვრეული ლუზებითა და დაბრეცილი ფეხებით. ოთახის მოწყობილობა კიდევ უფრო ეწინააღმდეგებოდა მის დანიშნულებას: არც სკამები იდგა, არც მაგიდები, არც რაიმე სხვა ავეჯი. მხოლოდ გაცვეთილი ხალიჩა-ფარდაგიანი, ან სულაც ჭილოფგადაფარებული რამდენიმე განიერი ტახტი ცვლიდა ყველანაირ ავეჯს. აი, ასეთი უბრალო და შეუხედავი იყო დუქანი თავისი მწირი მოწყობილობით. მაგრამ დუქანს მუშტარი არ აკლდა. აქ მოქეიფეები მთელი ქალაქიდან იყრიდნენ თავს. მათ შორის შეხვდებოდით თავადებს, რომლებიც არსად არ მსახურობდნენ, ტფილისში სხვადასხვა საქმეზე ჩამოსულ მემამულეებს, გაკოტრებულ ვაჭრებს, შემთხვევით რომ გადაურჩნენ ციხეს. მუდმივ სტუმართა რიცხვში იყვნენ ადგილობრივი გარნიზონის ოფიცრები, ძირითადად ადგილობრივი მცხოვრებნი, დუქნებს რომ აკითხავდნენ სამსახურისგან თავისუფალი დროის გასაყვანად. დუქნებში ლამის ათენ-აღამებდნენ

ადგილობრივი მუსიკოსები და მომღერლები, რომელთათვისაც ეს დაწესებულებები ერთგვარი შეკრების პუნქტები იყო. მაშინდელ მოქეიფეთა შორის განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო კარსიძის[77] დუქანი. დუქანი მდებარეობდა სომხის ბაზარზე იმ სახლის პირდაპირ, სადაც ახლა ხანძრისგან დამზღვევი რუსეთის მე-2 საზოგადოებაა[78] მოთავსებული, და შედგებოდა სამი ოთახისგან. ერთში იდგა ბილიარდის მაგიდა. მას ემიჯნებოდა ვრცელი დარბაზი, სადაც შემომსვლელნი ზაფხულობით მთელ დღეს ატარებდნენ. აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველ ქალაქში იშვიათი იყო სახლი, რომელშიც არ იყო დარბაზი. მას ჩვეულებრივ აშენებდნენ საცხოვრებელ ოთახებთან შედარებით რამდენიმე საფეხურით დაბლა; დარბაზს ჰქონდა ქვის იატაკი, გუმბათისებრი სახურავი ზემოდან ხვრელით, საიდანაც სინათლე ჩამოდიოდა. ოჯახი აქ ზაფხულის ხვატს აფარებდა თავს. მუდმივი ჩრდილი და იატაკის ხშირი მორწყვა ინარჩუნებდა ცხელ დღეებში ესოდენ აუცილებელ სიგრილეს.

კარსიძის დუქანში მთელი დღის განმავლობაში ტევა არ იყო. საზოგადოება დილაადრიან შემოდიოდა, ძვირფას დროს უქმად არ კარგავდა და მაშინვე იწყებდა თამაშს. თამაშობდნენ ცხრას, ასონასს, იშვიათად კონჩინას. ვინც ბანქოთი არ ერთობოდა, ბილიარდს თამაშობდა ფულზე, ულუფა ჩაიზე ან ყავაზე, რომელთა გაყიდვა დუქანში ნებადართული იყო. თამაში შუადღემდე გრძელდებოდა, შემდეგ მოდიოდა სადილობის დრო, მაგრამ რადგანაც აქ სამზარეულო არ იყო, მეზობელ ფურნეში[79] უკვეთავდნენ სადილს, სხვადასხვა, მადის და წყურვილის აღმძვრელ, ცხარე სანელებლებით შეკაზმულ, შემწვარი ხორცისგან დამზადებულ კერძს. ღვინოს უახლოეს სირაჯთან[80] ყიდულობდნენ; თევზს, ყველს, მწვანილს, ადგილობრივი სუფრის ამ აუცილებელ შემავსებლებს – იქვე მდებარე დახლებზე[81]. ამ ყველაფერს შეგროვილი თანხით – ფსონით ყიდულობდნენ, კაცზე 40 კაპიკიდან – 1 მანეთამდე. შეკრებილ თანხაში

მონაწილეობას იღებდნენ მომღერლები და მუსიკოსებიც, რომლებსაც ქეიფის დროს თავიანთი სიმღერით იქ მყოფთა სმენაც უნდა დაეტკბოთ. ჩვეულებრივ იკრიბებოდა 40 კაცამდე, ზოგჯერ მეტიც. მთელი ეს ჯგუფი ფეხს მოირთხამდა და იწყებდა ტრაპეზს. სუფრად იყენებდნენ ადგილობრივი წარმოების ლურჯად შეღებილ ნარმის ქსოვილს. თეფშების ნაცვლად იყენებდნენ თიხის ბრტყელ ჯამებს, ჩანგალს არ ხმარობდნენ და ხელით გეახლებოდნენ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ხელით საკმაოდ მოხერხებულადაც მიირთმევდნენ. სადილობა გრძელდებოდა საღამოს 6 საათამდე, ზოგჯერ უფრო დიდხანსაც. ტრაპეზის დაწყებამდე ირჩევდნენ ტოლუმბაშს[82], სმასთან დაკავშირებული მისი მითითებები ყველას აუცილებელად უნდა შეესრულებინა.

მართვის სადავეებს რომ აიღებდა ხელში, ტოლუმბაში მორიგეობით წარმოსთქვამდა იქ დამსწრეთა სადღეგრძელოებს. ჩვეულებრივ, აქებდა იმ პირს, ვისი სადღეგრძელოც იყო, თანაც ბევრ მლიქვნელურ რამეს ამბობდა მის სულიერ და ზნეობრივ თვისებებზე. ასევე გაიგონებდით მის ისეთ დამსახურებებზე, რომლებიც არც ენახა ვინმეს და არც გაეგონა. ჭიქას რომ გამოსცლიდა, დიქტატორი, ანუ ტოლუმბაში, სიტყვით „ალავერდი!“ სასმისს გადასცემდა გვერდით მჯდომს, რომელიც სასმისს რომ ჩაიბარებდა, ამბობდა „იახშიიოლ!“[83]. ასე რიგრიგობით ჩამოივლიდა სასმისი ყველა დამსწრეს, თითოეულის მიერ ასეთივე დაუსრულებელად გრძელი და მლიქვნელური სადრეგრძელოს წარმოთქმით. სადღეგრძელოებს შორის შუალედებში ხშირად ისმოდა კინკლაობა გამოუცლელი ჭიქის ან ტოლუმბაშის რომელმე მითითების შეუსრულებლობის გამო და დამნაშავეს ერთი ან ორი დამატებითი ჭიქით აჯარიმებდნენ. სადილობის დასასრულისკენ, ღვინის ზემოქმედების შესაბამისად, ერთ სადღეგრძელოზე შესასმელი ჭიქების რაოდენობა იზრდებოდა. მაშინ თეფშზე დგამდნენ ორ, სამ ან სულაც ხუთ,

პირამდე სავსე ჭიქას, და კაცს, რომელთანაც ამ თეფშით „ალავერდს" გადავიდოდნენ, ყველა ბოლომდე უნდა გამოეცალა. ნადიმი უფრო ფართო მასშტაბებს იღებდა, თუ იქ კახეთიდან ჩამოსული მემამულე მოხვდებოდა. თანამეინახეთა თავაზიანობით მოხიბლული და აღფრთოვანებული, გასაყიდად ჩამოტანილი ღვინიდან 5-10 სათლს[84] სუფრას უფეშქაშებდა, ამის შემდგომ მოქეიფენი ბოთლებით იწყებდნენ სმას და ერთ ყლუპად გადაჰკრავდნენ. ქალაქური მუსიკის და საზანდრის[85] სიმღერის თანხლებით სუფრა შებინდებამდე გრძელდებოდა. რომ შებინდებოდა, მოთამაშენი ან იშლებოდნენ და სახლებში მიდიოდნენ, ან აქვე იძინებდნენ, რომ საღამოს ისევ გაეგრძელებინათ ჩვეული გართობა და ასე – ყოველ ცისმარე დღეს, ვიდრე დუქნის სტუმრების ყურადღებას სხვა მოვლენა არ მიიქცევდა. ასეთები იყო: საეკლესიო დღესასწაულები, მუშტი-კრივი[86] და დოღი, რომელსაც დროგამოშვებით აწყობდნენ ქალაქის მკვიდრნი.

V

იმ დროის ტფილისელების უსაყვარლეს საეკლესიო დღესასწაულად ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული ითვლებოდა, დღესასწაული აურაცხელ მლოცველს იზიდავდა. ყოველწლიურად ეს დღე განსაკუთრებული ზარზეიმით აღინიშნებოდა სიონის ტაძარსა და ფეთხაინის[87] სომხურ ეკლესიაში, რომელიც შაჰ-აბასის შემოსევამდე[88] მართლმადიდებლური იყო და იმის გამო გადაეცა სომხებს, რომ შემოსევის შედეგად მათი ყველა ეკლესია დაინგრა. მიძინების სომხური დღესასწაული იშვიათად ემთხვეოდა მართლმადიდებლურს, რადგან სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის კანონით, ყველა დღესასწაული, რომელიც სამუშაო დღეზე მოდიოდა, უმეტესად კვირა დღეზე გადაჰქონდათ, რომ სამუშაო დღეს არ მოცდენოდნენ.

ამდენად, ფეთხაინის დღესასწაული კვირა დღეზე მოდიოდა და ზეიმი წინა ღამით იწყებოდა. სოლოლაკის კლდის ძირში აშენებული ფეთხაინი ქალაქის შემაღლებულ ნაწილში მდებარეობს. აქ ცხოვრობდა საზოგადოების ქვედა ფენა, ფრიალო კლდეზე აშენებული მათი ძველი ხუხულები დღემდეა შემორჩენილი. ეკლესიის ეზოს გალავნის შესასვლელთან, სამრეკლოს მხრიდან, ახლაც დგას ქვის შენობა გუმბათოვანი სახურავით[89], რომელიც, როგორც ამბობენ, წარმართობის ხანაში საკერპე ყოფილა. ფეთხაინის ტაძრისკენ ორი გზა მიდის: ერთი პურის მოედნიდან[90] ფეთხაინის ქუჩის[91] ციცაბო ქვიანი აღმართით, მეორე ბებუთოვის ქუჩიდან[92], ასეთივე ციცაბო აღმართით, რომელიც წმ. არქიდიაკონ სტეფანოზის სახელობის დედათა მონასტრის[93] გვერდით გადის. შემაღლებული ადგილი, ჩვეულებრივ ცარიელი, დღესასწაულის დღეს ცოცხლდებოდა; მცხოვრებლები სტუმრების მოლოდინში ალაგებდნენ სახლებს, ასუფთავებდნენ ქუჩებს, ცდილობდნენ, თავიანთი უბადრუკი სამყოფელისთვის უფრო მიმზიდველი იერი მიეცათ. შაბათ დღეს, საღამოს 5 საათიდან, უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ ტაძრისკენ თავის საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილი მომლოცველები, განსაკუთრებით მშვენიერი სქესის წარმომადგენლები, ზოგი ჩადრით, ზოგიც ევროპულ მოსასხამში, რომელიც ამ დროისთვის უკვე იკიდებდა ფეხს. მთელი ეს მორთულ-მოკაზმული ხალხი ცდილობდა, მალე მოხვედრილიყო ეკლესიაში, რომელიც 5 საათისთვის უკვე გადაჭედილი იყო. ჭყლეტის მიუხედავად, ყველა ცდილობდა, ღვთისმშობლის ხატს მიახლოებოდა. ხატს რომ ეამბორებოდნენ და ვერცხლის ჭურჭელში ჩასხმულ ნაკურთხ წყალს (ე. წ. „ნაბანს“) მოსვამდნენ, მლოცველები გამოდიოდნენ ეკლესიიდან, რომ ადგილი სხვებისთვის დაეთმოთ, უწყვეტად რომ მოედინებოდნენ ტაძრისკენ. ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ საზოგადოება ჯგუფებად იკრიბებოდა ეზოში, ერთმანეთს ათვალიერებდნენ და საპატარძლოებს არჩევდნენ.

იმ დროს იყო ჩვეულება, საპატარძლოები დღესასწაულებზე, ეკლესიის ეზოში შეეთვალიერებინათ. კონკურენცია რომ აეცილებინათ თავიდან, ამისთვის ირჩევდნენ მოშორებული ეკლესიების ეზოებს, მაგალითად, ხოჯივანქისა[34], სადაც არ იყო სავარაუდო საპატარძლოების დიდი თავშეყრა. მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანი დღესასწაულის დღეს, როგორიც იყო ფეთხაინისა, საპატარძლოები ამ ეკლესიის ეზოშიც მოჰყავდათ. შეთვალიერება განსაკუთრებული მოვლენა იყო: აქ მდიდარ სომხებს მოჰყავდათ ქალიშვილები, რომლებიც, დედის ზურგს ამოფარებულნი, მოკრძალებით ათვალიერებდნენ იქაურობას და, თავის მხრივ, ხალხში საბედოს ეძებდნენ. ნაზი სახეები ანთებული შავი თვალებით, წვრილი წელი, ზედ შემორტყმული ოქრომკედით ნაქარგი განიერი სარტყლით, ოჯახის შექმნას მოწყურებული არაერთი გულის ძგერას აჩქარებდა. ეზოშივე მოწყობილ ოთახებში ჩერდებოდნენ მლოცველები, რომლებსაც აღთქმა ჰქონდათ დადებული, რომ რამდენიმე ღამე ტაძარში გაეტარებინათ. აღთქმას დებდნენ, მაგალითად, ისეთი სასიხარულო ამბისთვის, როგორიცაა რაიმე ავადმყოფობისგან განკურნება ან ახლობელი ადამიანის შორეული მგზავრობიდან დაბრუნება. ვერ ვიტყვით, რომ ეს მლოცველები დროს მხოლოდ მარხვასა და ლოცვაში ატარებდნენ. ეს იყო ერთგვარი სასიამოვნო დროსტარება სტუმრად მოსულ ნაცნობებთან და მეგობრებთან ერთად. მისალმების შემდგომ სხდებოდნენ ოთახების წინ სკამებზე, ხალიჩებზე და იწყებოდა გამასპინძლება ტკბილეულით, გამაგრილებელი სასმელებით და სხვა ნუგბარით. უფრო შეძლებული მომლოცველები მნახველებს ნაყინითაც უმასპინძლდებოდნენ. სრული ბედნიერებისთვის აკლდათ მხოლოდ ლოტო, ადგილობრივი ქალბატონების საყვარელი თამაში, მაგრამ აქ თამაში შეუძლებელი იყო, რადგან ეზოში შეკრებილი ხალხის ხმაური და ყვირილი ახშობდა ნომრების წარმოთქმას, რასაც ეს თამაში მოითხოვს. ერთმანეთს მარტო ეზოს შიგნით როდი

უმასპინძლდებოდნენ. ახლო მდგარი სახლების ბანზე იშლებოდა სუფრები, სადაც ზურნის ხმაზე ცეკვა-თამაში გათენებამდე არ წყდებოდა. ზოგიერთ სუფრას ფოიერვერკიც ამშვენებდა, რაც მაცხოვრებლების განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევდა.

ასეთივე იყო ზეიმი სიონის ტაძრის ეზოშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ტაძართან ოთახების უქონლობის გამო, მომლოცველები ეზოში შლიდნენ კარვებს. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ამ დღესასწაულებზე არასოდეს მომხდარა რაიმე აყალმაყალი ან ჩხუბი. პოლიცია საერთოდაც უქმად იქნებოდა, რომ არა ეკლესიაში ჭყლეტის თავიდან აცილების აუცილებლობა, როცა ხალხი ხატს ეამბორებოდა, რისი საშიშროება მართლაც იყო ამდენი ადამიანის თავშეყრისას. ეკლესიის ეზოებში ზეიმები საეკლესიო დღესასწაულებზე ახლაც იმართება, მაგრამ მათ უკვე დაკარგეს თავიანთი თვითმყოფადობა და ის ძველებური ხიბლი უკვალოდ გაქრა.

VI

ტფილისელების საყვარელი გასართობი იყო მუშტი-კრივიც, რომელსაც აწყობდნენ ავლაბრის იქით, სადაც ამჟამად მსროლელი ბატალიონების ყაზარმებია, უფრო ხშირად კი სიონის ქუჩაზე, აბას-აბადისა[95] და პურის მოედნებზე, ასევე მიმდებარე მოლნის ქუჩასა[96] და ნაწილობრივ დიდ მრუდე[97] ქუჩაზე. ბრძოლა იმართებოდა ქალაქის ორ, ე.წ. ზემო და ქვემო, მხარეებს შორის. მათ საზღვრად იგულისხმებოდა სომხის ბაზრის ქუჩა, ქურქის რიგების[98] ჩათვლით; ზემოუბნელებად ითვლებოდნენ ამ ქუჩიდან ტფილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრებნი, ხოლო ქვემოუბნელებად – სამხრეთ-დასავლეთით მცხოვრებნი. პირველებს მიეკუთვნებოდნენ ასევე კუკიელები და ჩუღურე-

თელები, მეორეს – ავლაბრელები. თითოეულ მხარეს თავისი მეცენატი ჰყავდა, რომელიც ფალავნებს ხელმძღვანელობდა. ზემო უბნის მეცენატი დიდხანს იყო განთქმული მოქეიფე არჩილ მუხრანსკი[99], რომელიც ხშირად ურიგებდა თავისი ჯიბიდან ფულად ჯილდოებს იმათ, ვინც კრივში განსაკუთრებით გამოიჩენდა თავს. ქვემო უბანს კი – რომელიმე სომხითელი (ტფილისის მაზრის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, მდინარეებს ალგეთსა და ხრამს შორის) მემამულე მფარველობდა. ბრძოლები იმართებოდა ზამთრის თვეების კვირადღეებში, უფრო მეტად ყველიერის ბოლოს, ასევე ნათლისღების მომდევნო დღეს, რადგან მიცვალებულთა მოხსენიების დღეს ყველა დუქანი დაკეტილი იყო.

სანახაობაზე დასასწრებად ხალხი მთელი ქალაქიდან გროვდებოდა. განთქმული ფალავნები ძირითადად ხელოსნები იყვნენ; ზოგჯერ მათ უერთდებოდნენ თავგადასავლების მაძიებელი ვაჭრებიც. ბრძოლას იწყებდნენ უქუდოდ[100], მოღეღილი მკერდითა და აკეცილი ჩოხის კალთებით ან ახალუხით, ხშირად უფეხსაცმლოდ, წინდების ამარა. ფალავნები რამდენიმე რიგად მწკრივდებოდნენ – ახალგაზრდები წინა რიგებს იკავებდნენ. მონაწილეთა რაოდენობა არ იყო შეზღუდული. მთავარი მოქმედი პირები არ დგებოდნენ რიგებში, ისინი რეზერვს შეადგენდნენ და უმეტესად ახლომახლო ჩიხებს ეფარებოდნენ, რომ საჭირო მომენტში ჩართულიყვნენ კრივში. მრავალრიცხოვანი მაყურებლის შეძახილებზე იწყებოდა ბრძოლა, საქმეში ერთვებოდა მუშტები. ყოველი მხრიდან გაისმოდა წაქეზება და გამამხნევებელი შეძახილები, იმისდა მიხედვით, თუ რომელ მხარეს გადაიხრებოდა მაყურებელთა სიმპათიები. 10-15-წუთიანი მუშტი-კრივის შემდგომ, როცა რომელიმე მხარეს დაეტყობოდა დანაკარგი დასახიჩრებული ან უმოწყალოდ ნაცემი მებრძოლების სახით, დასუსტებული მხარე უკან დახევას იწყებდა. მაგრამ კრივი ამით არ მთავრდებოდა: როცა დამარცხებულები დაინ-

ახავდნენ, რომ მუშტით ველარ უმკლავდებოდნენ გააფთრებულ მოწინააღმდეგეებს, საქმეში ერთვებოდა ქვები, აგურები, ჯოხები და ყველაფერი, რაც ხელთ მოხვდებოდათ. სატყორცნი იარაღის გამოყენებას მალე მოჰქონდა შედეგი – ნაფოტებად იქცეოდა ახლომახლო სახლების კარ-ფანჯარა, აივნები, იყვნენ დასახიჩრებულები და ზოგჯერ დახოცილებიც. ხშირად მოხვედრია მაყურებელსაც, რომელთა შორის ნახავდით მაღალი თანამდებობის პირებსაც, რომლებიც ასეთ სანახაობებზე დასწრებას არ თაკილობდნენ. ერთ-ერთი ასეთი დარბევა, რამდენადაც მახსოვს, მოხდა 1851 წელს სიონის ქუჩაზე, სადაც დაზარალდა კონბერგის ახლადგახსნილი აფთიაქი[101] (ამჟამად აგამუროვისა)*.

გამარჯვებული უმეტესად ქვემო უბანი გამოდიოდა, რომელიც რაოდენობრივად იყო ზემო უბანზე ძლიერი. მაგრამ გამარჯვება ხვდებოდა ზემო უბანსაც, როდესაც მათ უერთდებოდნენ მეღორეები, კუკიაზე მცხოვრები გამოცდილი ფალავნები. მაშინ გამარჯვებულების რისხვას საზღვარი არ ჰქონდა და თათრის მეიდნამდეც კი მიერეკებოდნენ მოწინააღმდეგეებს. არ იყო გამორიცხული ძარცვაც.

პოლიცია ყოველთვის მუშტი-კრივის წინააღმდეგ გამოდიოდა, მაგრამ უმართავ მასებთან რას გახდებოდა. მეფისნაცვლის ყოფილ მთავარ სამმართველოში ინახება მიმოწერა 1851 წლის 4 თებერვლის დარბევასთან დაკავშირებით, სადაც თავად ვორონცოვს პეტერბურგიდან საყვედურობდნენ, რომ დაუშვა მუშტი-კრივი და, ამასთან, ეკითხებოდნენ, მართლაც იყო თუ არა 5 მოკლული და 300 დაშავებული. მისმა უბრწყინვალესობამ, თავადმა მიხეილ სემიონოვიჩმა უპასუხა, რომ, სამ-

---

* ძალიან კარგად აქვს აღწერილი მუშტი-კრივი თავის წიგნში „De Paris a Actorgan" ალექსანდრე დიუმას, რომელიც მოგზაურობდა ტფილისში და თავადაც დაზარალდა ამ მუშტი-კრივის მაყურებელთა შორის.

ნუხაროდ, პეტერბურგამდე მისული ხმები გადამეტებულია და, შეიძლება ითქვას, უსამართლოცააო. სინამდვილეში იყო მხოლოდ ერთი უბედური შემთხვევა, კერძოდ, მაყურებლებიდან ერთმა, ებრაელმა, მიიღო დაზიანება ქვით თუ აგურით, თანაც ეს ებრაელი თვითონ დაეცა და ქვას თავი დაარტყა; დაზიანება ისეთი მძიმე იყო, რომ დაზარალებული მეორე დღეს გარდაიცვალაო. შემდეგ თავადი განაგრძობდა: „300 კი არა, არ იყო არც ერთი დასახიჩრებული, რადგან ვერც სავადმყოფოში და ვერც სამხედრო ჰოსპიტალში და ვერც სახლების საგულდაგულო ჩხრეკისას იპოვეს დაშავებულები და მომჩივანები, გარდა ერთისა, რომელიც 8 დღე იწვა სახლში ჭრილობის მოსაშუშებლად, ხოლო მეცხრე დღეს სულ გამოჯანმრთელდა და კვლავაც სიხარულით მიიღებდა მონაწილეობას მუშტი-კრივში, ნებადართული რომ იყოს. არ ჰქონია ადგილი ასევე დახლების ძარცვასაც. ზოგიერთი დახლიდარი[102] დაზარალდა უფრო თავისივე დაუდევრობით, ხოლო მათ, ვინც შეძლო დაემტკიცებინა, რომ კრივში არ მონაწილეობდა და იმათ, ვინც თავისი ხელმოკლეობის გამო ამას იმსახურებდა, აქაური ჩვეულებისამებრ, გაეწიათ გარკვეული დახმარება პოლიციის და ქალაქის სახსრების ნარჩენებიდან“.

ამასთან თავადი ვორონცოვი დასძენდა, რომ მუშტი-კრივი თბილისში უძველესი დროიდან იმართებოდა[103] და მასში მონაწილეობდა საზოგადოების უკლებლივ ყველა ფენა და, რომ ეს ბრძოლები „წარმოადგენდა გასართობ და გამახალისებელ ადათს ყველასთვის, დაწყებული სამეფო ოჯახით, თავადებით და აზნაურებით და დამთავრებული მდაბიოებით“, რომ ეს ადათი შენარჩუნდა რუსეთის გამგებლობის დროსაც და, რომ „მუშტი-კრივის სრული აკრძალვა როგორც ქალაქში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც, ძლიერ დაამწუხებს აქაურ მცხოვრებლებს, რომლებიც შეჩვეული არიან თავიანთ საყვარელ ყოველწლიურ გასართობს, რომელშიც გამოიხატება ქართველებისათვის და-

მახასიათებელი საზოგადო თუ პირადი ვაჟკაცობა. ეს უნარჩუნებს მათ ომისთვის მუდმივ მზადყოფნას, თავისი საზღვრების დაცვის სურვილს, რაშიც მზად არიან, მონაწილეობა მიიღონ ჩვენს ჯარებთან ერთად იქ, სადაც მტერი გამოჩნდება“.

უბრწყინვალესი თავადის ასეთ განმარტებას მოჰყვა იმპერატორ ნიკოლოზ I-ის უზენაესი განკარგულება: „მუშტი-კრივი დაშვებულ იქნეს მხოლოდ ქალაქგარეთ, იმ პირობით, რომ ხელის გარდა სხვა იარაღი ჩხუბში არ იქნება გამოყენებული. კრივი ყოველთვის გაიმართოს პოლიციის ზედამხედველობით და დასრულდეს, როგორც კი ამის ნიშანს გასცემს ეს უკანასკნელი, თუკი მოჩხუბრები მეტისმეტად გაცხარდებიან“.*

მაგრამ მუშტი-კრივი დროთა განმავლობაში თავისთავად გადავარდა, ისე რომ ახლა გარდასული ბრძოლების სახსენებელიც გამქრალია. მისი ადგილი დაიკავა სხვა გასართობმა: ჭიდაობამ – ორი ფალავნის დაპირისპირებამ, რომელსაც მართავენ მიხეილის ქუჩის მიმდებარე რომელიმე ბაღში. მაგრამ ეს გასართობი, ისევე როგორც მუშტი-კრივი, სავალალოდ მოქმედებს საზოგადოების აღზრდაზე, რადგან ხალხს აჩვევს სისასტიკეს, სისხლისმსმელობას და აღვივებს ბოროტ ვნებათაღელვას.

VII

ხალხს ჯირითიც იზიდავდა. უხუცესებს ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ ის დრო, როცა ტფილისის მცხოვრებნი შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, რომ თავი არ მოეწონებინათ შესანიშნავ ცხენებზე ნავარდით. იშვიათად, რომ რომელიმე მათგანს არ ჰყოლოდა ცხენი, რომელსაც უვლიდა და ელოლიავებოდა. თავადი ვორონცოვი ხშირად იხსენებდა, თუ როგორ ჩადიოდა ყოველდღე მტკვრის ნაპირზე, როცა ტფილისში მსახურობდა

* იხ. „არქეოგრაფიული კომისიის აქტები“,[104] ტომი X, გვ. 825.

ციციანოვის[105] მთავარმართებლობის დროს, რათა დამტკბარიყო წმინდა სისხლის ულაყების ცქერით, წყლის დასალევად რომ მოჰყავდათ ტფილისელებს. მისი უბრწყინვალესობის სიტყვების საუკეთესო დადასტურება გახლდათ ის სახალხო დღესასწაულები, რომლებზეც თავს იწონებდა ასობით მხედარი საუკეთესო ცხენებით, მათი აღკაზმულობით, გახედნილობითა და ჯირითით. ეს უკანასკნელი ყველაზე კარგად წარმოჩინდებოდა ხოლმე ამ დღესასწაულებზე გამართული რბოლისას. ქალაქელთა განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა რბოლა (ჯირითი), რომელიც ამაღლების დღესასწაულზე ძველი საბაჟოს[106] უკან ეწყობოდა, იქ, სადაც ამჟამად მდებარეობს ადგილობრივი რაზმის ყაზარმა[107]. რბოლაში ძირითადად მონაწილეობდნენ თავით ფეხამდე შეჭურვილი ახალგაზრდა თავადები. მრბოლელებს ორ გუნდად ჰყოფდნენ; ორივე მხრიდან რიგრიგობით გამოდიოდნენ მხედრები. შეჯიბრის აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მონიშნულ ადგილამდე ჭენებით მისვლისას მხედარს უნდა ეტყორცნა მოკლე ჯოხი (სხრატლი), რომელიც ორი თითით ეპყრა და ეს თითები ჯოხის შუაში უნდა ჰქონოდა მოკიდებული[108]. მოხერხებულობაში ჩაითვლებოდა, თუ ჯოხი მოწინააღმდეგე მხედარს კი არ მოხვდებოდა, არამედ მას თავს ზემოდან გადაუფრენდა ან სიახლოვეს ჩაუფრენდა. ამ წესებს მკაცრად იცავდნენ, მაგრამ ისეც ხდებოდა, რომ წესებს არღვევდნენ, კერძოდ, ჯოხს იჭერდნენ არა შუაში, არამედ ბოლოში, რის გამოც სროლის ძალა უნებურად მატულობდა და მოწინააღმდეგეს სახეში, ხელში, ან კისერში ხვდებოდა. მხედრები სხვა შემთხვევებშიც შავდებოდნენ, მაგალითად, როდესაც ერთმანეთის საპირისპიროდ გამოქანებული მოჯირითენი დროულად შეჩერებას ვერ ახერხებდნენ და ერთმანეთს ეჯახებოდნენ. ჯოხის მარდად სროლის გარდა, მხედრებს უნდა ეჩვენებინათ ჯირითის ოსტატობაც, რაც გამოიხატებოდა გაჭენებული ცხენიდან ჩამოხტომა-ახტომაში, მიზანში სროლასა და სხვ.

როგორც წესი, ჯირითისთვის ჯილდო არ იყო დაწესებული. პირველი გამონაკლისი ეკუთვნის თავად ვორონცოვს, რომელმაც მიზნად დაისახა მხარეში ყველა სასარგებლო ღონისძიებების წახალისება. იმპერატორის ჯილდოსთვის რბოლის გარდა მისმა უბრწყინვალესობამ დააწესა ჯილდო ჯირითისთვისაც. ვერცხლის თასი რჩებოდა მხედარს, რომელიც მას ჩამოაგდებდა მიწაში ჩასმული მაღალი ბოძის თავიდან[109]. თავადის მონვევას გამოეხმაურა ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი, სრულად შეჭურვილი ადგილობრივი ახალგაზრდობა. რბოლა და ჯირითი გაიმართა იქ, სადაც მას შემდეგ დღესაც იმართება – მუშტაიდის ბაღს უკან[110]. აჭენებდნენ რიგრიგობით; პირველმა ორმა მხედარმა მიზანს ვერ მიაღწია, სამაგიეროდ მესამემ, ცნობილმა მხედარმა, თავადმა კონა ერისთავმა ჩამოაგდო თასი, რომელიც სიმარჯვისთვის მასვე გადაეცა ჯილდოდ. ჯირითის შემდეგ გაიმართა რბოლა იმპერატიორის ჯილდოს მოსაპოვებლად. რბოლაში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა ერთმა თუშმაც, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა იპოდრომზე! და ვერაფრით გადაარწმუნეს, რომ ის თავისი პატარა ცხენით ვერაფერს გახდებოდა საგანგებოდ გამოყვანილ წმინდა სისხლის ულაყებთან. მთიელი მაინც თავისაზე იდგა. ამ დავამ, რომელიც მთავარმართებლის ლოჟის ახლოს გაიმართა, თავადის ყურადღებაც მიიპყრო. როცა თავადმა თუშის დაჟინების მიზეზი შეიტყო, უფლება მისცა, მონაწილეობა მიეღო რბოლაში, მაგრამ რადგან მისი ჯაგლაგის ასაკი მხედრის წონას არ შეესაბამებოდა, უნაგირზე დამატებით ქვები შეაბეს. რბოლა დაიწყო და ყველას გასაკვირად, თუშმა ერთ-ერთმა პირველმა მიაჭენა ალამთან, საყოველთაო ტაშის თანხლებით, უბრწყინვალესმა თავადმა მხედარს ჯილდო გადასცა[111].

ამჟამად თბილისში ჯირითი აღარ იმართება, რადგან ჯიშიანი ცხენები გადაშენდნენ. თუ ვინმეს ისევ ჰყავს ცხენი, უფრო ოჯახური მეურნეობისთვის და არა გასართობად. ამ

მხარეში მეცხენეობის დაცემას სხვადასხვა მიზეზით ხსნიან: ერთნი ამბობენ, რომ სოფლებს შორის საძოვრების გადანაწილებამ ცხენსაშენებს მოუსპო რემების მოვლისა და შენახვის საშუალება. სხვები ამტკიცებენ, რომ რკინიგზის გახსნამ, ფოსტის განყოფილებების მომრავლებამ, გამოიწვია ცხენსაშენების შემცირება, რადგან მათ მფლობელებს ცხენებზე მოთხოვნა შეუმცირდათო. არსებობს ასეთი აზრიც, რომ ცხენების მოშენების შემცირება გამოიწვია შავ ზღვაზე გემების მიმოსვლის განვითარებამ. რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, ამ მოსაზრებას აქვს საფუძველი. ძველად ამიერკავკასიის მუსლიმები, სხვა საშუალების უქონლობის გამო, მექაში მუჰამედის საფლავის მოსალოცად ცხენებით მიემგზავრებოდნენ. აქეთობას კი ყველა პილიგრიმი ცდილობდა, შეეძინა არაბული ცხენი, რომელსაც დაბრუნებისას ცხენების მომშენებლებს მიჰყიდდა ხოლმე. ნაოსნობის განვითარებასთან ერთად მუსლიმებმა მოხერხებული გზა არჩიეს; თავისთავად იგულისხმება, რომ მათ შეწყვიტეს ცხენების ჩამოყვანა. ცხენსაშენებს შეუწყდათ საჯიშე ცხენების მოწოდება და მათ შეწყვიტეს არსებობა. ახლა სახელმწიფო ცხენსაშენების სამმართველოს მზრუნველობით[112] და ტფილისის რბოლების საზოგადოების წყალობით[113], ცხენების მოშენება მხარეში კვლავ უნდა აღორძინდეს. ხოლო ამ საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი მონაწილის, გენერალ თ.-ს[114] ინიციატივით, ტფილისში ცხენსაშენი ქარხნის[115] გადმოტანასთან ერთად, ჩვენი ქალაქი კვლავ გამდიდრდება წმინდა სისხლის ცხენებით.

VIII

არანაკლებ ხალხს იზიდავდა იორდანეს დღესასწაული[116], რომელიც 6 იანვარს იმართებოდა. იორდანეს, როგორც მართლმადიდებლურს, ისე სომხურ-გრიგორიანულს, მტკვარზე მართავდნენ. ამასთან, 30-იან წლებში პირველს – მარცხენა სანაპიროს რიყეზე, მეორეს – მუდამ მარჯვენა ნაპირზე, ვანქის ტაძრის მახლობლად. რიყეზე იორდანეს მომზადებისას სიონის ტაძარში ლიტურღია მიმდინარეობდა, რომლის დასრულების შემდეგაც იმართებოდა მსვლელობა ბნელი რიგების გავლით, ღვინის მცირე აღმართით[117], თათრის მეიდნიდან გადიოდა ავლაბრის პირველ ხიდთან[118] და შემდგომ მეტეხის აღმართთან უხვევდა რიყეზე, რომელზეც ამჟამად გაშენებულია დუქნები, სასტუმროები და სხვ. აქ მსვლელობას უცდიდა ტფილისის მთელი გარნიზონი და ურიცხვი ხალხი, რომელიც იკავებდა ახლანდელი რიყის ქუჩის[119] და გაღმა ნაპირის შენობების აივნებსა და ბანებს. ჯვრის წყალში ჩაშვების დროს, მეტეხის ციხიდან ქვემეხების ზალპის თანხლებით, დროშებს ნაკურთხ წყალს აპკურებდნენ. სიცივისა და უამინდობის მიუხედავად, ასობით კაცი გადაეშვებოდა მტკვარში; ცაში უშვებდნენ მტრედებს. დღესასწაული მართლაც საზეიმოდ ტარდებოდა, განსაკუთრებით, თუ ამინდიც შეუწყობდათ ხელს. ორმოციანი წლების დასაწყისში იორდანესთვის შეირჩა ახალი ადგილი – ისევ მარცხენა ნაპირზე, სახაზინო თეატრის[120] პირდაპირ. აქა-იქ ბაღებით მოფენილ ცარიელ ადგილზე, სადაც ახლა სამხერხაოებია, არც ისე შორს სანაპიროდან,[121] რომლის ამჟამინდელი მრავალსართულიანი განაშენიანება იმხანად არ არსებობდა, ვარლამოვების[122] ძველი სახლის გვერდით. ამ სახლში 30-იანების ბოლოს, მაშინაც და შემდგომაც, მოთავსებული იყო ერთადერთი შაქრის ქარხანა.

ლიტურგიას ატარებდნენ სამხედრო კორპუსის ეკლესიაში, რომელიც მდებარეობდა ამჟამინდელი საოლქო საინჟინრო

სამმართველოს შენობის ადგილზე[123]; მსვლელობა ყოველწლიურად ზამთრის თვეებში მიემართებოდა მადათოვის მოედნით (ახლანდელი ქვემო ალექსანდრეს ბაღით[124]), ვართანოვის[125] ყოფილი წისქვილის სიახლოვეს, კავკასიის გამნაღმველთა 1-ლი ბატალიონის გამნაღმველების მიერ მოწყობილი ხიდით გადადიოდა მარცხენა სანაპიროზე და იორდანესთვის ლამაზად მოწყობილ ადგილზე ხდებოდა წყალკურთხევა. 1851 წელს მიხეილის ხიდის[126] აშენების შემდეგ იორდანეს გამართვა დაიწყეს იქ, სადაც ეს დღესასწაული ახლაც იმართება[127].

იორდანეს დღესასწაული, როგორც მართლმადიდებლური ისე სომხურ-გრიგორიანული, ძალიან სასიხარულო იყო ხალხისთვის. მხოლოდ ჩვილი ბავშვები და მოხუცები რჩებოდნენ სახლში, დანარჩენები – ვინ ფეხით, ვინ ცხენით – მიიჩქაროდნენ წყალკურთხევის ზეიმზე დასასწრებად. ცერემონია ახლაც თითქმის იმგვარადვე ტარდება, იმ განსხვავებით, რომ ტფილისის მოსახლეობის ზრდასთან ერთად გაიზარდა დამსწრეთა რაოდენობაც.

IX

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ დროის გასატარებელი ადგილები იყო სათამაშო სახლებიც. ამ სახლებს ქალაქის ცენტრში ხსნიდნენ ხელმოცარული ვაჭრები, მათი არსებობა დამოკიდებული იყო ბანქოს მოთამაშეთა მოსაკრებელზე. რამდენიმე მაგიდისა და ათეული სკამის გარდა, მოთამაშეთათვის სხვა არანაირი ავეჯი არ იყო გათვალისწინებული. სათამაშოდ ძირითადად შემოდიოდნენ კომერსანტები, ტფილისში მცხოვრები მემამულეები, მაკლერები (დალალები)[128], სხვადასხვა ჯურის უსაქმურები. აქვე შეხვდებოდით რუს თუ აქაურ ჩინოსნებს.

სათამაშო სახლებში ჩაის გარდა, არანაირი საჭმელი არ იყო გათვალისწინებული. ისიც გაიცემოდა სახლის ხარჯით და დიდი გამონაკლისებით: მოთამაშეებს ორი ჭიქა ეკუთვნოდათ, თამაშის მომლოდინეთ – თითო, ხოლო მაყურებლებს – საერთოდ არაფერი. თუ თამაში გვიან ღამემდე გრძელდებოდა, მაშინ მეზობელ დუქანში ვახშმად რამე უბრალო აქაურ კერძს უკვეთავდნენ. ზოგჯერ კი თვით სახლის მფლობელი უშლიდა მათ სუფრას გარკვეულ საფასურად. თამაშობდნენ იმავე აზარტულ თამაშებს, რასაც დუქნებში, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ნაღდ ფულზე. ვალზე თამაში დაიშვებოდა, თუ დამსწრეთა შორის იყვნენ ზარაფები (ერთგვარი ბანკირები), რომლებიც თავდებად უდგებოდნენ მოთამაშეებს. თამაშობდნენ ვერცხლის ფულზე. ფულით სავსე ქისები ხელიდან ხელში გადადიოდა. ზოგი მოთამაშე რამდენიმე ასეთ ქისას იგებდა და მათი სახლამდე მიტანა საგონებელშიც კი აგდებდა მოგებულს. ასეთ იღბლიანებს მაყურებლები შველოდნენ. ისინი გარკვეულ ფასად იტვირთებდნენ ხოლმე მოგებული თანხის სახლში მიტანას. მზიდავებად არცთუ იშვიათად თვითონ წაგებულებიც იყვნენ, რომელთაც, მცირე გასამრჯელოს ფასად, საკუთარი ხელით მიჰქონდათ თავისივე კუთვნილი ფული მოგებულის სახლში. არაკეთილსინდისიერი მოთამაშეების მიერ ბანქოს ჩაწყობა არ იყო უცხო სათამაშო სახლებისათვის. ადგილი ჰქონდა სხვა თაღლითობებსაც. ასაკოვანთა გადმოცემით, ერთხელ ერთ ასეთ სათამაშო სახლს ცნობილი ტფილისელი სოვდაგარი სწვევია, რომელსაც თანამოქალაქეებთან ერთად საღამოს გატარება ჰქონია გადაწყვეტილი. ის, რა თქმა უნდა, სათამაშოდ დაუსვამთ, მაგრამ რამდენიმე დარიგების შემდეგ ძილი მორევია. გადაუბარებია თავისი ბანქო და ფული ნაცნობისთვის, რომელიც იმ დროს არ თამაშობდა და თვითონ „მორფევსს[129] ჩახუტებია“. როგორც კი ხვრინვა ამოუშვია, მოთამაშეებს მაშინვე გაუყვიათ მისი ფული და მერე, როცა ვაჭარს გაღვიძებია, მისთვის განუცხადებიათ, შენი ფული მთლიანად წაგებულიაო.

X

ყველაზე ხალხმრავალ სათამაშო სახლებს შორის სხვებზე ცნობილი იყო მოხუცი ხელმოცარული ვაჭრის სახლი ნორაშენის ქუჩაზე[130]. ამ სახლში მოდიოდნენ ფულიანი ბობოლები, რომელნიც აქ ხშირად გვარიან თანხას ტოვებდნენ. მოთამაშეები უვახშმოდ, მშივრები და ჯიბეგაფხეკილები ბრუნდებოდნენ შინ. ერთადერთ ნუგეშად პატრონის კალამბურები მიჰყვებოდათ, რაზეც მოხუცი არავის დაზარდებოდა. ამავე სახლში ქირაობდა ბინას ყოფილი ბალერინა მადამ ანტონელი. ის ტფილისში ორმოციანი წლების დასაწყისში გამოჩნდა და გახსნა საცეკვაო კლასები, სადაც მშობლები ხალისით უშვებდნენ ახალგაზრდა გოგონებს ცეკვის შესასწავლად. აქაური ეტიკეტის თანახმად, ტანცკლასებზე მამაკაცები არ დაიშვებოდნენ, მაგრამ სახლის აივანი ყოველთვის სავსე იყო ცნობისმოყვარეებით. მათ შორის იყვნენ ახალგაზრდები, რომლებიც ინტელიგენტობაზე დებდნენ თავს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ახალგაზრდების ინტელიგენტობა მხოლოდ უკანასკნელ მოდაზე შეკერილი ევროპული კოსტუმით გამოიხატებოდა, სხვა მხრივ კი ისინი არაფრით განსხვავდებოდნენ თავიანთი თანამოძმეებისგან, რომლებიც განათლებისგან ჯერ კიდევ შორს იყვნენ. პედაგოგიური მოღვაწეობა მადამ ანტონელისა, რომელიც, ღმერთმა უწყის, საიდან გაჩნდა ტფილისში, რამდენიმე წელს გაგრძელდა, სანამ მოხუცი ბალერინა თავისი ნებით არ გამოეთხოვა წუთისოფელს. ტფილისელი გოგონებისათვის ცეკვის შესწავლა იყო მათი საზოგადოებაში გამოყვანის პირველი ცდა. მანამდე ეს, როგორც მოგახსენეთ, ხდებოდა მხოლოდ საეკლესიო დღესასწაულებზე ეკლესიის გალავნის შიგნით ან ქორწილებში.

XI

ქორწილები უწინ დიდი ზარ-ზეიმით ტარდებოდა[131], ღარიბებიც კი, თუ რამ ებადათ, აგირავებდნენ, რომ ქორწილი, ცხოვრების პირველი დიდი ბედნიერება, სამაგალითოდ გადაეხადათ. მოლაპარაკების შემდეგ, რაც ყოველთვის მაჭანკლების შუამავლობით ხდებოდა, დათქვამდნენ ნიშნობის დროს, ნიშნობას ესწრებოდნენ უახლოესი ნათესავები და ისიც – ყველა არა. ნიშნად ითვლებოდა ბრილიანტის ან ალმასის რაიმე ნივთი, ოჯახის შესაძლებლობის შესაბამისად. საპატარძლო მეტად დამორცხვებული იყო, როცა სასიძო ნიშნის გადაცემისას კოცნიდა, რადგან შეიძლება სულაც პირველად ხედავდა თავის საბედოს; ამით სამუდამოდ უკავშირებდნენ ბედს, იდგამდნენ ოჯახურ უღელს, რომლის დარღვევაც, არც ქორწილამდე და არც მის შემდგომ, პატრიარქალური წყობილების გამო, აზრადაც არავის მოუვიდოდა. ასე მოთმინებით ზიდავდნენ ქორწინების ჯვარს, ეს კავშირი, რაიმე მიზეზის გამო, კიდეც რომ არ გამომდგარიყო შესაფერისი.

ნიშნობიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ქალის მშობლები იწვევდნენ სასიძოს თავისი ნათესავების ახლოს გასაცნობად, რომლებსაც ამ საზეიმო დღისთვის ეპატიჟებოდნენ. ამ შეკრებას ეწოდებოდა „სიძის ნახვა" და ძალზე ხალხმრავალი იყო. თითოეული ნათესავი ვალდებული იყო, სიძისთვის მიერთმია რაიმე ვერცხლის ნივთი, მეტ-ნაკლებად ძვირფასი, იმისდა მიხედვით თუ რამდენად ახლო იყო მათი ნათესაობა. ნივთებს აგროვებდა ერთი პატივსაცემი სტუმართაგანი, რომელიც ხმამაღლა აცხადებდა, რა ნივთი იყო და თან შემომწირველის მიმართ თბილ სიტყვებს არ იშურებდა. ამგვარად შეგროვებულ ნივთებს, ძვირფას სუზანგადაფარებულ[132] დივანზე ან ტახტზე მჯდარი სიძე-პატარძლის წინ აწყობდნენ. შუაღამისას იწყებო-

და ქეიფი, მანამდე კი მოსულებს ტკბილეულით უმასპინძლდებოდნენ.

სიძის ნახვასა და ქორწილს შორის დროს მზითვის მოსამზადებლად იყენებდნენ. მზითვის, ისევე როგორც ტანსაცმლის ოდენობას (ყოველთვის ზედმიწევნით შედგენილს), სხვა საოჯახო ნივთების ჩამონათვალს და თანხის რაოდენობას წინასწარ, მაჭანკლის მეშვეობით ათანხმებდნენ. ამასთან, ქორწილის დღეს აუცილებლად მხოლოდ მას შემდეგ აცხადებდნენ, რაც დათქმული თანხა სასიძოს ან მის ნათესავებს გადაეცემოდა. მზითევში შედიოდა ასევე საჩუქრები სიძის ახლობლებისათვის, სპარსული შალის ან რაიმე სხვა სახით. მთელი ამ ხნის განმავლობაში დანიშნულებს შეხვედრა შეეძლოთ მხოლოდ დღესასწაულებზე, და არა ყოველდღე როგორც ეს დღეს არის მიღებული, და ისიც სარძლოს დედის ან დის თახლებით. ქორწილს იხდიდნენ სასიძოს ოჯახში, გამონაკლის შემთხვევებში სასიმამროსთან, თუ ერთადერთი ქალიშვილის მამას სურდა, იგი ზედსიძედ მიეღო. სხვა მხრივ პატარძლის ოჯახში არაფერს არ ამზადებდნენ, თუ არ ჩავთვლით პატარა მაგიდაზე გაწყობილ მცირე შესაქცევს მაყრიონისთვის, რომელიც მოდიოდა პატარძლის ეკლესიაში წასაყვანად. მაყრიონს მოჰქონდა „ალავი“, ხონჩაზე დაწყობილი ძვირფასი ნივთები და ქათიბი ან ქურქი, ოთხი ცვილის სანთლით და ორი შაქრის თავით. აქაური ადათით, ქორწილის დღესვე სიძე გამოგზავნიდა ტაბლით ლავაშს და ტიკით ღვინოს. ეს ძველი წესი აიხსნებოდა სიძის სურვილით, ეცხოვრა სიმამრთან და სიდედრთან თანხმობითა და სიამტკბილობით. ალავს, წესის მიხედვით, ჯვრისწერამდე ერთი საათით ადრე გამოაგზავნიდნენ ხოლმე. მას მიჰყვებოდა ყველა ახალგაზრდა სტუმარი ხელში ანთებული ცვილის სანთლებით, ასევე მუსიკოსები, საზანდარები, რომლებიც თავისი მუსიკითა და სიმღერით ღამის სიმშვიდეს არღვევდნენ. მღვდელი მოკლე ლოცვას წაიკითხავდა და შემდეგ პატარძალი ახლობლების თანხლებით მიემართებო-

და ეკლესიაში, სადაც მას სიძე ელოდებოდა. ჯვრისწერა გრძელდებოდა დაახლოებით ერთ საათს. გვირგვინები, იმ სახით, როგორითაც დღეს არსებობს, არ იყო მიღებული. მათ ცვლიდა ოქრომკედით ნაქარგი ფარჩის ნაჭრები. ზემო ნაწილში ამოჭრილი თავსაბურავი ზუსტად პატრიარქის მიტრისნაირი[133] იყო. ამგვარ გვირგვინს ადგამდნენ პატარძალს, ხოლო სიძეს ახურავდნენ ოქროს ფოჩებდაკიდებულ ოქროს რგოლს – იალქანს. გვირგვინებით დამშვენებული ახალგაზრდები, ახლობლების, ზურნის ხმებისა და სიმღერის თანხლებით ბრუნდებოდნენ სახლში. სახლში შესვლისას ჯვრისწერის მამობილი[134] იშიშვლებდა ხმალს და წვერით მიაბჯენდა კარის წირთხლს[135]. პატარძალს ხმლის ქვეშ უნდა გაევლო, ხოლო სიძეს ძირს დადებული თეფში ან სხვა რაიმე ჭურჭელი ფეხით უნდა გაეტეხა. მათ ხვდებოდნენ სიძის მშობლები ვერცხლის ჭურჭელში ტკბილი წყლით – შარბათით, ნიშნად ტკბილი თანაცხოვრებისა. როგორც კი ახალდაქორწინებულები თავის ადგილს დაიკავებდნენ, სიძის ახლობლებს მოჰქონდათ საჩუქრები პატარძლისთვის – პირისსანახავი. აქ იყო მარგალიტები, ბრილიანტის ნივთები, ფული ოქროს მონეტებით. ყველაზე ძვირფასი საჩუქარი მოჰქონდა ჯვრისწერის მამობილს, შემდეგ მშობლებს, ბოლოს კი ახლობელ და შორეულ ნათესავებს. ძღვენის მოტანის შემდეგ იწყებოდა მხიარულება, რომელიც ხშირად დილამდე გრძელდებოდა. ლეკურს ცვლიდა საზანდარი, რომელიც სახლს დამსწრეთა საყვარელი სიმღერებით ავსებდა, ძირითადად ქართულით[136]. ძველად მოცეკვავე ქალებს ფულით, „შაბაშით“ ასაჩუქრებდნენ. ამისთვის ლეკურის მოცეკვავეებს პირში პატარა ვერცხლის მონეტებს უდებდნენ. ეს ჩვეულება 40-იან წლებში მხოლოდ დაბალი საზოგადოების ქორწილებში შემორჩა, დროთა განმავლობაში კი საერთოდ გაქრა. ასე იხდიდნენ უწინ ქორწილს. ახლა ბევრი რამ შეიცვალა, გაქრა საჩუქრების მირთმევის წესი როგორც პატარძლის ახლობლებისგან სიძისთვის, ასევე პირიქით,

აღარ აგზავნიან პურს და ღვინოს პატარძლის სახლში, აღარც მზითევია მისხალ-მისხალ დათვლილი და აღწერილი; ახლა გოგოს გათხოვებისას მზითევში ოქროს მთებს ჰპირდებიან და ბოლოს არაფერსაც არ ატანენ. ოჯახის დაშლისა და ცალკე თანაცხოვრების შემთხვევები, რაც უწინ წარმოუდგენელი იყო, ახლა სულ უფრო გახშირდა; ერთი სიტყვით, თანამედროვე ოჯახი უკვე აღარ არის ისეთი პატრიარქალური, როგორადაც მას ხედავდნენ ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინ.

XII

ორი სიტყვით უნდა ვახსენოთ მორიგეობითი ქეიფები – რიგის პური, რომელიც ეწყობოდა ვაჭართა 20-30-კაციან მხიარულ სამეგობროში. ისინი ერთმანეთთან იკრიბებოდნენ ზამთრის წინასადღესაწაულო დღეებში[137]. თითოეული ამფიტრიონი[138] ცდილობდა, ეჯობნა წინამორბედისათვის კერძების რაოდენობითა და ღვინის ხარისხით. ქეიფის მენიუში აუცილებლად შედიოდა ხაში, ადგილობრივი მოსახლეობის უსაყვარლესი კერძი, რომლის მომზადებასაც დიდი ხელოვნება სჭირდებოდა. ხაში უნდა ყოფილიყო ზედმიწევნით კარგად გაწმენდილი და განსაკუთრებულად თეთრი, თორემ კერძი ყურადღებასაც არ დაიმსახურებდა. ამის მისაღწევად, საჭირო პროდუქტს ერთი კვირით ადრე უკვეთავდნენ, და სასურველი ხარისხის მისაღწევად ხაშს მოხარშვამდე რამდენიმე დღით ცივ წყალში აწყობდნენ, წყალს ხშირ-ხშირად უცვლიდნენ. მთელი ამ მანიპულაციების მერე ხაში მართლაც შესანიშნავი გამოდიოდა, ამფიტრიონის საქებრად და საამაყოდ. სუფრაზე, ხაშის გარდა, სხვა კერძებიც იყო, მათ შორის ტკბილეული, რომელსაც საკონდიტრო საქმის საუკეთესო მცოდნე ამზადებდა, ასეთი ტკბილეულის გარეშე

სუფრა მთელ თავის ხიბლს კარგავდა. მრავალგვარი კერძითა და ბოთლებით გაწყობილი სუფრა თითქმის 2 საათი ელოდა სტუმრებს. როგორც კი მაგიდას მიუსხდებოდნენ, ცნობილ მოქეიფეთაგან ირჩევდნენ ტოლუმბაშს. პირველ სადღეგრძელოს კი იმ თანამეინახისას სვამდნენ, ვისთანაც შემდეგი პურის ჭამა უნდა გამართულიყო. შემდეგ მოდიოდა სხვა სადღეგრძელოები რიგის მიხედვით. ტოლუმბაშის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ ჭიქები ყველას ბოლომდე უნდა დაეცალა. ასეთი ქეიფები ძალიან ცოცხალი იყო; ადგილობრივ მცხოვრებთათვის დამახასიათებელი ენამოსწრებულობის წყალობით გაუთავებლად ისმოდა ხუმრობები. თითოეული სტუმარი ცდილობდა, თავი გამოეჩინა ენამახვილობით, რომლითაც ყველას აღაფრთოვანებდა. სუფრასთან ჩხუბი არასოდეს ხდებოდა, ერთ უწმაწურ სიტყვასაც კი არავინ იტყოდა, ყველა გულიანად ილხენდა. მხიარულება კიდევ უფრო დიდი იყო, თუ სუფრასთან მომღერლებიც მღეროდნენ. ყველაზე ცნობილი იყო სპარსელი მომღერალი სათარ-აღა[139], მისი ხმა თვით ირანშიაც დიდ იშვიათობად ითვლებოდა. ქეიფი გრძელდებოდა გვიან ღამემდე, ერთმანეთს ცვლიდა საუკეთესო კერძები, ისმეოდა აურაცხელი ღვინო. გვარიანად ნაჭამ-ნასვამი კამპანია იშლებოდა, რომ კვირის თავზე ისევ შეკრებილიყვნენ და კვლავ მხიარულად გაეტარებინათ დრო.

ზაფხულობით მორიგი პურის ჭამა ჩვეულებრივ ან ორთაჭალის[140] ან კრწანისის[141] ბაღებში იმართებოდა. ქეიფობდნენ ღია ცის ქვეშ, სიმწვანეში. უსაყვარლეს ხაშს ცვლიდა სხვა, სეზონისთვის მეტად შესაფერისი კერძი. ბაღებში დაშვებული იყო ლეკური. ვაჭრები ცეკვის ცოდნით განთქმულ არტისტებსაც კი არ ჩამოუვარდებოდნენ. ქეიფის დროს თოფის სროლითაც ერთობოდნენ. მაგრამ რადგან ვაჭრები ამ ხელოვნებას სრულიად არ იცნობდნენ, ქირაობდნენ მსროლელს, რომელსაც თითოეული წარმოთქმული სადღეგრძელოს შემდეგ თოფი უნდა დაექუხები-

ნა. ამ ქეიფებზეც ჭამდნენ და სვამდნენ გაუთავებლად. გასაკვირი იყო ამ მხიარული საზოგადოების კუჭის მოცულობა. ამდენი სმის შემდეგ სუფრიდან მაინც ფხიზლები დგებოდნენ. შესმული ღვინის რაოდენობასთან დაკავშირებით მოგიყვანთ ერთი უხუცესის მონათხრობს. ბაღში ერთ-ერთი ასეთი ქეიფისას, მეინახენი პირამდე სავსე ქვევრს შემოსხდომიან, რომელშიც 50 სათლი ჩადიოდა. ღვინოს მანამდე სვამდნენ, სანამ ქვევრში ხელით სწვდებოდნენ სასმელს. ასეთი ლოთობა დაუსჯელი რჩებოდა[142], მოქიფენი, თითქოს აქ არაფერიაო, მეორე დღეს ისევ უბრუნდებოდნენ თავიანთ საქმიანობას.

ახლა ასეთი ქეიფების ხსენებაც აღარ დარჩა; თანამედროვე თაობა სულ უფრო მეტ დროს ატარებს კლუბებში, კრებებზე ან სულაც მიხეილის ქუჩის ბაღებში, ხალხმრავალ ადგილას, მაგრამ ერთმანეთს ნაკლებად იცნობენ. ხოლო, თუ სადმე ისევ ეწყობა რიგის პური, იქ ისეთი მხიარულება და გულმოდგინება აღარ არის, როგორც უწინ.

XIII

ორთაჭალის და კრწანისის ბაღებში მხოლოდ ვაჭრები როდი შლიდნენ რიგის პურს. ზაფხულობით, განსაკუთრებით დღესასწაულებზე, აქ მოდიოდნენ რიგითი მოქალაქეებიც, ყველა, ვისაც შეეძლო სუფთა ჰაერზე გამოსვლა. ვის არ ნახავდით აქ – ხელოსნებს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, ჩინოვნიკებს, თავადებს და სხვ. მეინახენი ჯგუფებად ისხდნენ კაკლის და თუთის უზარმაზარი ხეების ჩრდილში. ყველა ერთნაირად ერთობოდა, ყველა საერთო ცხოვრებით ცხოვრობდა – ისვენებდნენ მცხუნვარე დღეს. ბაღებში ატარებდნენ ზაფხულს ქალაქელების ოჯახებიც, ბაღების მფლობელთა მიერ ამისთვის

მოწყობილ სახლებში. ეს ადათი ძველთაგან იღებდა სათავეს, რასაც ფრანგი მოგზაური დელაპორტიც[143] ადასტურებს, რომელიც ტფილისში 1760 წელს იყო ჩამოსული. ორთაჭალის და კრწანისის ბაღებში მას უხილავს სუფთად მოწყობილი, ოჯახებით სავსე სახლები. ასეთ ოჯახებს, რომლებიც რაიმე მიზეზით ტოვებდნენ თავის საცხოვრებლებს, ხიზნები ეწოდებოდათ. ახალ ადგილზე გადასახლებისას ისინი სარგებლობდნენ მხოლოდ თავშესაფრით – asilum[144] – ხოლო ბაღის მოსავალზე კი არანაირი უფლება არ ჰქონდათ. ასეთი დროებითი გადასახლების კიდევ ერთი მაგალითი არსებობდა სოფლებშიც, როცა რაიმე უბედურებისგან შეწუხებულ მცხოვრებლებს ახლობლები აძლევდნენ თავშესაფარს. არც ასეთ ხიზნებს შეეძლოთ გამოეყენებინათ მათ მიერ დაკავებული ადგილის მოსავალი და ჰქონდათ მხოლოდ საკუთარი შრომით მოწეულით სარგებლობის უფლება.

XIV

ორთაჭალა და კრწანისი, მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო დროის სატარებელ ადგილებად ითვლებოდა, გამართული გზებითა და მიმოსვლის კომფორტით არ გამოირჩეოდა. თათრის მეიდნის გავლის შემდეგ, მხიარულების მსურველნი მიადგებოდნენ ციცაბო აღმართს. ერეკლეს აბანოებიდან აღმართი[145] მიუყვებოდა დუქნებს და სხვა ისეთ დაწესებულებებს, რომლებსაც პოლიციის მეთვალყურეობა სჭირდებოდა. სულ ზევით, უფრო ციცაბო ადგილას, იგი უერთდებოდა სურბ-სარქისის ქუჩას[146], რომელმაც სახელი აქვე მდგარი სომხური ეკლესიისგან მიიღო[147]. ეს ეკლესია დიდად მნიშვნელოვანია ტფილისის მცხოვრებთათვის, რომელთაც სწამთ აქ დასვენებული ხატის სას-

წაულმოქმედი ძალისა. საეკლესიო დღესასწაულზე, რომელიც დიდმარხვამდე ორი კვირით ადრე აღინიშნება, სურბ-სარქისი[148] ივსება სხვადასხვა აღმსარებლობის უამრავი მომლოცველით, მათ შორის მუსლიმებით, რომლებიც პატივს სცემენ ამავე წმინდანს როგორც ხიდირ-ნაბეს[149]. განსაკუთრებით სწამთ ამ ეკლესიის ფენომენალურობისა ტფილისელ ქალიშვილებს, რომლებიც მისი დახმარებით ცდილობენ, გამოიცნონ თავისი საბედო. დღესასწაულამდე ერთკვირიანი მძიმე მარხვის (წუმი)[150] შემდგომ, გოგონები მეხუთე დღეს, ანუ პარასკევს, ძილის წინ მიირთმევენ მარილიან კერს და ამით წყურვილს მოიგვრიან. ვინც სიზმარში მას წყალს მიანვდის, საბედოც ის იქნება. რამდენად დაეჯერება ამ სიზმრებს, უცნობია, მაგრამ ამ წესს დღესაც კი იცავენ.

XV

სურბ-სარქისიდან ქუჩა ეშვებოდა ერთსართულიან შენობამდე, სადაც 70-იან წლებამდე განთავსებული იყო გამანაწილებელი საგუშაგო[151]. აქ ცხოვრობდნენ და მსახურობდნენ კაზაკები, რომლებსაც, ზოგადად, სხვადასხვა კორესპონდენციის გადაცემა ევალებოდათ, ისინი განსაკუთრებულ თვალყურს ადევნებდნენ წესრიგს ქალაქის ამ გარეუბანში, სადაც ყოველთვის მრავლად იყვნენ „საშოვარზე“ გამოსული „ღამის გმირები“[152]. ამ ადგილას გამანაწილებელი საგუშაგოს გახსნამდე, 60-იან წლებში, ტფილისის საფოსტო სადგური მდებარეობდა, რომელიც მზად იყო, მომსახურებოდა ყველას, ვისაც კავკასიის მაღალ მთებსა თუ შორეულ ადგილებში მოგზაურობის სურვილი ჰქონდა. ყოფილი საგუშაგოს შენობის უკან, ძველი საბაჟოს საწყობებთან,[153] გზა იტოტებოდა: ერთი კლდოვანი ბილიკი

ადიოდა კრწანისისკენ[154], ხოლო მეორე მტკვრისკენ უხვევდა და პრიმიტიული ხერხებით აშენებული ხიდით[155] გადადიოდა მეორე ნაპირზე, სადაც ორთაჭალის ბაღები მდებარეობდა. წყალდიდობის დროს ეს ხიდი წყალს მიჰქონდა, ბაღებში მოხვედრის მსურველებს, ისევე როგორც ახლა, ნავი ემსახურებოდა. ნავი იმართებოდა ჭოკით, საჭის გარეშე. თუმცა გამოუცდელი მენავეების ხელში, გარემოებათა გამო რომ ქცეულიყვნენ მესაჭეებად, ამგვარი გადასვლა ყოველთვის უსაფრთხო როდი იყო. თავადმა ვორონცოვმა, განსაზღვრა რა ქალაქის საჭიროებები, გარკვეულწილად გააადვილა მიმოსვლა კრწანისისა და ორთაჭალისკენ და გაიყვანა ახალი, სრულიად სწორი ქუჩა, რომელსაც ვორონცოვის ქუჩა ეწოდა. მან გადაკვეთა სეიდაბადის ბაღები[156] მდინარის ნაპირის მახლობლად, სადაც განლაგებული იყო ტყავის გადამამუშავებელი სახელოსნოები, დაბახანები[157], რომლებმაც ადელხანოვის[158] შესანიშნავი, მეცნიერების ყველა წესის დაცვით აშენებული ტყავის გადამამუშავებელი ქარხნის[159] გახსნასთან ერთად შეწყვიტეს არსებობა. ქუჩა გრძელდებოდა სეიდაბადის ბაღებს შორის, რომელთა საცოდავი ნარჩენები ახლაცაა შემორჩენილი. ხოლო საქართველოს ეგზარქოსის ყოფილი საზაფხულო რეზიდენციის[160] შენობის სიახლოვეს, ამჟამად ნანგრევებს რომ წარმოადგენს, უერთდებოდა სურბ-სარქისის ქუჩას. ვორონცოვის ქუჩამ არა მხოლოდ გააადვილა მიმოსვლა ბაღებთან, არამედ აქაურ მცხოვრებლებსაც მოუხსნა ქალაქში თავიანთი პროდუქციის გასაყიდად ზემოთ ხსენებული აღმართის გავლის აუცილებლობა. დროთა განმავლობაში ახლად გახსნილ ქუჩაზე აშენებული შენობები უმეტესწილად ეკუთვნის მუსლიმებს, რომლებმაც უხსოვარი დროიდან დაიდეს ბინა[161] ქალაქის უძველეს ნაწილში, გოგირდის აბანოებიდან ხარფუხამდე[162]. მათი სახლების ნაწილი მშვიდად შეფენილა სოლოლაკის ქედის სამხრეთ ფერდობზეც, იშვიათი მცენარეებით მდიდარი ბოტანიკური ბაღის სიახლოვეს, მაგრამ მიმოსვლის

შესაძლებლობის გარეშე. მას სოლოლაკის ქედიდან ჩამომავალი, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ბილიკი[163] და თათრის მეიდნიდან ამომავალი, მრუდე, ციცაბო ქუჩა[164] უზრუნველყოფს. აქ ყველაფერი ისევე შემორჩა, როგორც უწინ: ქართველ მეფეთა დროინდელი, ერთმანეთს მიკრული სახლები, ამაოდ რომ ელიან განახლებას; ძველი შენობებით გადაჭედილი მოკლე შუკები და ხევში მორაკრაკე წავკისის წყარო, ძველად თაბორის წყლის სახელით ცნობილი, ამჟამად ამაყად დაბახანა რომ ეწოდება. ამ უბანში განახლება მხოლოდ თავად მამუკა ორბელიანის[165] მემკვიდრეების კუთვნილ „ციხის აბანოს"[166] შეეხო, რომელიც გოგირდოვანი წყლის ხარისხითა და რაოდენობით, სისუფთავითა და ყველა თანამედროვე მოწყობილობით, ადგილობრივ გოგირდის აბანოებში ყველაზე განთქმულ, ერეკლეს აბანოსაც[167] კი აღემატება. ასეთი მდიდრული აბანოების მოწყობასთან ერთად, სავარაუდოა, რომ ბოტანიკური ბაღისკენ მიმავალი გზა გასუფთავდება და გაფართოვდება, რაზეც დიდი ხნის წინ უნდა ეფიქრათ სუნიტ[168] სასულიერო პირებს, რომლებსაც ბაღის შესავლელის მახლობლად აქვთ მეჩეთი.

ს. ქიშმიშევი

ნებადართულია ცენზურის მიერ.
ტფილისი, 17 მაისი 1894 წელი.

ა. ი. ქიშმიშევი

ტფილისი

პირადი მოგონებები

1909 წ.

(თავად ვორონცოვის მიერ
კავკასიის მმართველობის დროინდელი)

ჩემი მოგონებები ტფილისისა და ტფილისური ცხოვრების შესახებ იმდროინდელია, როდესაც სოლოლაკი ბებუთოვის და ლერმონტოვის ქუჩებს[169] შორის და, ნაწილობრივ თავად ბებუთოვის ქუჩაც, ველიამინოვის ქუჩის კუთხიდან მოყოლებული, ბაღებით იყო დაფარული, ბაღებს გარდიგარდმო ვიწრო ბილიკები კვეთდა; დღევანდელი ერივანსკის მოედანი ხევებით დასერილი ხრიოკი ადგილი იყო, ქვეითთათვის გადებული ფიცრული ხიდებით; მარჯვენა სანაპირო კუკიის მხარეს დროებითი ფიცრული ხიდით უკავშირდებოდა, რომელიც იმ ადგილას იწყებოდა, სადაც ახლა სასტუმრო „ლონდონი"[170] დგას და მთავრდებოდა ახლანდელი კუკიის ღვთისმშობლის სომხურ ეკლესიასთან[171]; მთელი მიხეილის პროსპექტი, რეალური სასწავლებლის[172] შენობიდან მოყოლებული, გერმანელი კოლონისტების ბაღებით იყო დაფარული. ამ ბაღებში ვინმეს დროშკით გავლა[173] ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის მეტად შემაწუხებელი იყო. ისინი გამოდიოდნენ იმ „თავხედის" სანახავად, ვისაც ამ უკაცრიელ ადგილებზე დროშკით გავლა გაებედა, გვერდზე მიბმული ცხენით, ჯერ კიდევ სამოციანი წლების ბოლოდან რომ გამოვიდა ხმარებიდან და ბირჟებზეც აღარ ჩანდა. დიახ, ეს იყო იქამდე, ვიდრე კავკასიის მეფისნაცვლად თავადი მ. ს. ვორონცოვი დაინიშნებოდა; როცა ორ- და სამსართულიანი რკინით გადახურული სახლები[174] იშვიათობად ითვლებოდა. უფრო ხშირად შეხვდებოდით დაბალ, ბანიან სახ-

ლებს, ზედ ტრადიციული ცილინდრული ფორმის მიწის სატკეპნი ქვით და მაღალი გუმბათით, ზემოდან დიდი ფანჯრით[175] რომ ნათდებოდა. დარბაზი, თავის მხრივ, წარმოადგენდა ერთ დიდ აგურის იატაკიან ოთახს, რომელზეც, ოჯახის შეძლებისამებრ, ზამთარში ხალიჩას ან ქეჩას აგებდნენ, ხოლო ზაფხულში უხვად რწყავდნენ გასაგრილებლად. ამ დიდ ოთახში ერთადერთი ავეჯი იდგა – განიერი ტახტი, რომელიც კედელს მთელ სიგრძეზე გასდევდა. პატრიარქალური ოჯახი ზედ იძინებდა და სადილობდა. იქვე იყო კერა კერძის მოსამზადებლად. ასეთი დარბაზები ორმოციან წლებში ჯერ კიდევ მრავლად იყო. მათგან განსაკუთრებით სახელგანთქმულ მუნტოევის და შერმაზანოვის[176] დარბაზებში მოსწავლეები სამოყვარულო სპექტაკლებს დგამდნენ.

მამადავითის ფერდობები მეჩხერი ბუჩქნარით იყო დაფარული, რომელშიც ჭარბობდა მოყვითალო წითელი ყვავილები Colutea Orientalis (C. cruenta), ამ ყვავილების ტომსიკისებრ პარკებს ბავშვები წყვეტდნენ, შიგ ჩაბერვა-ამობერვით ხმას გამოსცემდნენ, რის გამოც ქართულად მას *ფუჭფუჭა* შეარქვეს; თელეთის მთები[177] ტყეებს დაეფარა, სადაც ბულბულებიც კი გალობდნენ. იქ ჯერ კიდევ 60-იან წლებში კრწანისიდან ამომავალი გზის[178] განცალკევებით იდგა მსხლის ხე, ამ ხეს რატომღაც *ქოჩორახეს* ეძახდნენ.

და აი, დადგა 1844 წელი, ტფილისის აღორძინების ეპოქის დასაწყისი. ამ წლიდან კავკასიისა და, კერძოდ, ტფილისის ისტორიაში დგება ახალი ერა – ერა მისი მრავალმილიონიანი და მრავალეროვანი მოსახლეობის კულტურული აღმავლობისა. იმპერიის ეს ვრცელი განაპირა ნაწილი სამეფისნაცვლოდ გარდაიქმნა და მისი მმართველი გახდა გენერალ-ადიუტანტი, გრაფი მიხეილ სემიონოვიჩ ვორონცოვი, რომელსაც შემდგომ „მისი უბრწყინვალესობის“ ტიტული ებოძა. ეს ერა, ამ მხარის, განსაკუთრებით კი ტფილისის, მცხოვრებთათვის იქცა ახალი წელ-

თაღრიცხვის დასაბამად კულტურის თითქმის ყველა სფეროში. თავად ვორონცოვის ინიციატივით განხორციელდა სიონის ტაძრის რესტავრაცია, ტფილისში დაფუძნდა კეთილშობილ ქალთა პანსიონი[179], მისი მეუღლის დახმარებით გაიხსნა სასწავლებლები: წმ. ნინოსი[180] – ტფილისში და წმ. რიფსიმესი – ერივანში, საფუძველი ჩაეყარა პერიოდიკის ბეჭდვას[181], როგორც რუსულ, ასევე ადგილობრივ ენებზე, რუსულ თეატრს[182], იტალიურ ოპერას[183]. იმართებოდა წარმოდგენები ადგილობრივ ენებზე; მხარის ეკონომიკური კეთილდღეობის ასამაღლებლად დაფუძნდა საზოგადოებრივი მზრუნველობის უწყება[184] და სხვა და სხვა.

ამ ნიჭიერი და ფართოდგანათლებული სახელმწიფო მოხელის მმართველობის დროს, ტფილისმა უცებ იცვალა იერი. ბაღებით დაფარული სოლოლაკი გარდაიქმნა ახლანდელ განიერ – განოვის, სერგიევის, პასკევიჩის, რტიშჩევის[185] – ქუჩებად. მათ ორსავე მხარეს მიწის ნაკვეთებს იაფად აძლევდნენ მსურველებს, აეშენებინათ სახლები თავადის ბრძანებით შემუშავებული გეგმის მიხედვით. ერივანსკის მოედნის ხევებით დასერილი ხრიოკი ადგილი გადაეცა გ. ი. თამამშევს ქარვასლის ასაშენებლად, შიგ თეატრის მოწყობის პირობით. ეს თეატრი დაიწვა 1874 წელს, იაბლოჩკინის[186] ანტრეპრიზის[187] დროს. ხევები ამოავსეს და გამართეს სოლოლაკის ერთი საერთო არხი, რომელიც იკეტებოდა ჯებირით და რომელიც 50-იანების დასაწყისში გაირღვა[188] – მოვარდნილმა წვიმის წყალმა ქალაქის მთელი ქვემო ნაწილი დატბორა. შემდგომ მოეწყო ამჟამინდელი ამაღლების ქუჩის დახურული არხი. თავად ვორონცოვის წამოწყებით ფიცრული ხიდის ადგილას, მტკვარზე, კუკიასთან ქალაქის დასაკავშირებლად აიგო ახლანდელი ნიკოლოზის მყარი ქვის ხიდი[189] და მადლიერმა შთამომავლობამ ამ ხიდის ბოლოს მას ძეგლი დაუდგა.[190]

თავად ვორონცოვის კავკასიაში ჩამობრძანებამდე საბაჟო მდებარეობდა სეიდაბადში, იმ შენობაში, სადაც ახლა კაზაკების

ყაზარმაა. მისკენ მიმავალი გზა მიუყვებოდა სურბ-სარქისის აღმართს აბანოების გასწვრივ და ტვირთის გადაზიდვა უმძიმესი საქმე გახლდათ, რადგანაც მარტო ეს აღმართი კი არა, ქალაქის ყველა ქუჩა მოუკირწყლავი და ტალახში ჩაფლული იყო. ეს გარემოება ძალიან აფიქრებდა თავადს და ამიტომ გადაწყვიტა, უფრო მოსახერხებელი გზა მოეწყო. და აი, 1848 წლის ბოლოს, მისი ბრძანებით, მოყოლებული შაითან-ბაზართან[191] აბანოს კარიდან, ჩატარდა ახლანდელი ვორონცოვის ქუჩის ნიველირება (აზომვა), რომელზეც ახლა ორთაჭალის ტრამვაი მოძრაობს. ეს ადგილი მთლიანად დაფარული იყო ბაღებით და კერძო პირებსა და სიონის ეკლესიას ეკუთვნოდა. ამ ქუჩის მშენებლობით, ისევე როგორც სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ქუჩებისა, თავადი ძალიან იყო დაინტერესებული და სამუშაოს ყოველდღიურად პირადად ადევნებდა თვალყურს. 1950 წელს ვორონცოვის ქუჩა უკვე მზად იყო: საბაჟო ზემო ნაწილიდან გადაიტანეს ქვემო ნაწილში[192] და განათავსეს თავად მელიქოვის[193] კუთვნილ შენობაში, სადაც ამჟამად ადელხანოვის მაუდის ფაბრიკაა, მნაცაკანოვის ხიდთან[194], რომელიც ასევე თავად ვორონცოვის ინიციატივით ააშენა მდიდარმა ტფილისელმა ვაჭარმა მნაცაკანოვმა. ეს ხიდი დიდად საჭირო იყო მომთაბარე მწყემსებისთვის, რომლებიც თავიანთ საქონელს საზაფხულო იალაღებზე მიერეკებოდნენ, რომ ქალაქს გარიდებოდნენ, რადგან მწყემსები ქალაქში მარტო დიდ ხმაურს და არეულობას კი არ იწვევდნენ, თვითონ მათ საქონელსაც ხშირად იტაცებდნენ.

თავადი ვორონცოვი პირადად ადევნებდა თვალყურს, როგორც ამ ქუჩის გაყვანას, ისე ქალაქის სხვა მშენებლობებსაც ზემოთ ჩამოთვლილი ქუჩების ახლად დაგეგმილ მონაკვეთებზე, განსაკუთრებით თამამშევის ქარვასლისას, რომელშიც თეატრი უნდა გამართულიყო. იგი დიდი ხნით რჩებოდა ხოლმე აქ, გასცემდა განკარგულებებს და იძლეოდა რჩევებს. ერთხელ მოახსენეს, დ. ი. როტინოვი, რომელიც სახლს იშენებდა პასკევიჩის

ქუჩაზე, ნებადართულ ხაზს გადმოსცდა და ქუჩის ნაწილი დაიკავაო. ადგილზე რომ მივიდა, შენიშნა, რომ კედლები უკვე ამოყვანილი იყო. მოხუცი შეევედრა, აშენებული ნაწილი არ დამინგრიოთო, ჰუმანურმა მხარის მმართველმა კედლის გადმოწევის ნება დართო. ამით ისარგებლა მღვდელმა იოსებ ორბელმა და სახლი თვითონაც იმავე ხაზზე აიშენა. ამიტომ ამ ადგილას ეს ორი სახლი გამონეულია ქუჩის ძირითადი ხაზიდან.[195]

ტფილისის გარეგნული იერის შეცვლასთან ერთად, ნაწილობრივ შეიცვალა ქალაქელთა ცხოვრების წესიც. დარბაზების ადგილას ქალაქში გაჩნდა ორი და სამსართულიანი შენობები 5 და 6 ოთახით, მაგრამ ტფილისელი, ტრადიციისამებრ, ისევ ერთ ოთახში ცხოვრობდა თავის ოჯახთან ერთად, როგორც ადრე – დარბაზში, დანარჩენი ოთახები კი დაკეტილი ჰქონდა და მათ მხოლოდ განსაკუთრებულ საზეიმო დღეებში აღებდა. ტფილისელი ჯერ კიდევ ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიამოვნებას არ იკლებდა. ის ყოველწლიურად მონდომებით დადიოდა ოჯახითურთ სალოცავად. მისთვის საყვარელ სალოცავებად ითვლებოდა ბოლნისი, მცხეთა, თელეთი, მარტყოფი, სადაც მიემგზავრებოდა ურმით ან გერმანული ფურგონით, თავისი შეძლების მიხედვით. სალოცავში ზოგჯერ რამდენიმე კვირასაც რჩებოდა. ამ ადგილების გარდა, რელიგიურ დღესასწაულებზე ტფილისელი თავად ქალაქშიც მონდომებით მოინახულებდა ხოლმე ფეთხაინს, მამადავითს, სურბ-სარქისს. ამ სალოცავთა დღესასწაულების წინა დღეს ახლომახლო ყველა სახლში აწყობდნენ საზეიმო განათებებს, ოჯახში დამზადებულ მარტივ ფოიერვერკს. იკრიბებოდნენ სტუმრები, რომლებიც დილამდე ქეიფობდნენ და უკვე ამის მერე მიდიოდნენ წმინდა ადგილის მოსალოცად.

ტფილისელი არცთუ იშვიათად გარეთაც ქეიფობდა თავის ამხანაგებთან ერთად, გაშლიდა მორიგ სუფრას საზანდრებით, ზამთარში – სახლში, ზაფხულობით – ორთაჭალის ან კრწანისის

ბაღებში. იმ დროს ადგილობრივ მომღერალთაგან განთქმულნი იყვნენ და განსაკუთრებით საღამოებსა და ქორწილებში იწვევდნენ ცნობილ ტენორებს – სპარსელ *სათარს* და სომეხ *ევანგულს*[196], ისინი ატკბობდნენ ტფილისელების სმენას, პირველი – სპარსული მოტივებით, მეორე კი ქართული სიმღერებით, რომლებსაც საგანგებოდ მისთვის თხზავდნენ ქართველი პოეტები: ორბელიანი, ჭავჭავაძე, ერისთავი[197] და სხვები. ტფილისელი ძალიან იშვიათად სვამდა დათრობამდე; სვამდნენ კახურ ღვინოს. ლოთობა არ იყო სმის მიზანი – მას ყოველდღიური მძიმე შრომისგან განტვირთვა, ცოტაოდენი დასვენება სჭირდებოდა. ტრაპეზთან მსხდარი ტფილისელები ისმენდნენ აქაურ ჰანგებს, ერთობოდნენ მახვილსიტყვაობით, ჰყვებოდნენ სასაცილო ამბებსა და ანეკდოტებს, მათ სუფრაზე არასოდეს ჰქონდა ადგილი რაიმე უკეთურობას.

ტფილისელების საყვარელი გასართობი იყო მუშტი-კრივიც. მუშტი-კრივი კვირაობით ან დღესასწაულებზე იმართებოდა წინასწარ დათქმულ ადგილას. ასეთი ბრძოლები უმეტესად სურბ-კარაპეტის ხევის პირას, ძველი სომხური სასაფლაოს სიახლოვეს იმართებოდა. ტფილისი კრივის თვალსაზრისით ორ ბანაკად იყო გაყოფილი, პირველს განეკუთვნებოდნენ ვერეს და ჩულურეთის მცხოვრებლები და მათ ზემო უბნის ფალავნებს ეძახდნენ, მეორეს კი ახლანდელი მე-5, მე-6 და მე-7 საპოლიციო უბნების[198] მცხოვრებნი მიეკუთვნებოდნენ. ამათ ქვემო უბნის ფალავნები ერქვათ. ორივე ბანაკს ჰყავდა თავისი მფარველები და ქომაგები – ქართველი თავადები არჩილ მუხრანსკი, დ. ბებუთოვი[199] და სხვები. ქვემო უბნის ფალავნებში გამოირჩეოდნენ ლოხოშა, კუნძო (თათარი ყასაბი), საპუნუტოგი და სხვები. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში, იშვიათად რომ ზემო უბნის რომელიმე ფალავანს გაეძლო, მიუხედავად მფარველთა წახალისებებისა და ყიჟინისა. როცა დაინახავდნენ, რომ მათი ბანაკი დამარცხდა, დამარცხებული მხარის გულშემატკივრები

ხშირად იწყებდნენ ქვების და კომბლების სროლას, რის გამოც ასეთი შეტაკებები, არცთუ იშვიათად, სისხლისღვრით მთავრდებოდა, რის გამოც ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული გახდა, კრივი აეკრძალა. ბრძოლის შემდეგ ფალავნები მიდიოდნენ აბანოში, მექისესთან.

ტფილისელებისთვის არანაკლები გასართობი გახლდათ ყოველწლიური *ყეენობაც*, რომელიც დიდმარხვის პირველ ორშაბათს ქალაქის ბევრ უბანში იმართებოდა. თავდაპირველად ყეენობას ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა: ქუჩებში ბრბოს ალეგორიული მსვლელობა განასახიერებდა რომელიღაც სპარსელი მთავარსარდლის განდევნას ტფილისიდან, გადმოცემის თანახმად, ეს ამბავი სწორედ დიდმარხვის პირველ ორშაბათს უნდა მომხდარიყო[200], მთავარსარდალი გასაძარცვად დასხმოდა თავს ტფილისს. სპარსულ ტანისამოსში გამოწყობილ მთავარსარდალს განასახიერებდა წარმოსადეგი მამაკაცი; მდიდრულ ცხენზე ამხედრებული „მთავარსარდალი“ „განკარგულებებს“ გასცემდა, უკან აქლემზე ამხედრებული მდივანი მოჰყვებოდა და ამ „განკარგულებებს“ იწერდა. მთავარსარდლის წინ ვირებზე მჯდომი, გამურული ტაკიმასხარები მიდიოდნენ და ხალხს მანჭვა-გრეხით ართობდნენ. მთავარსარდალს უკან ფეხით მოსდევდა გამურული ბრბო – „ჯარი“. მათ მოვალეობაში შედიოდა ფულის შეგროვება გამვლელების, სახლების პატრონებისა და მედუქნეებისაგან. *ყეენის* თითოეული მსვლელობა, რომელსაც წინ მიუძღოდა იმ ჰამქრის[201] ნიშანი, რომლიდანაც იყო *ყეენი*, ყველა უბნიდან მიემართებოდა მეფისნაცვლის სასახლისაკენ. თავადი ვორონცოვი, რომელსაც უყვარდა ასეთი სახალხო გასართობები, აივანზე გამოვიდოდა, ხალხს მიესალმებოდა და ფულს უგზავნიდა გასამასპინძლებლად. ისინი შეგროვებული თანხის ნაწილით ქეიფს მართავდნენ, მეორე ნაწილს კი გადასცემდნენ იმ ჰამქართა გაერთიანებას, რომელსაც ყეენი მიეკუთვნებოდა. შემდგომში ყეენობა ისეთი უხამსი გახდა, რომ თავისი

ისტორიული მნიშვნელობა დაკარგა და იძულებულნი გახდნენ, აეკრძალათ.

თამამშევის ქარვასლაში წარმოდგენების დაწყების შემდეგ[202], მალევე, ქარვასლის მეპატრონის ვაჟის ინიციატივით დაფუძნდა კლუბი, ახლანდელი ტფილისის კრება. ტფილისის მოქალაქე ჩაერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ინტერესით ესწრებოდა წარმოდგენებს; თავიდან – მარტო, შემდგომ კი ოჯახის წევრებიც მიჰყავდა; გახდა კლუბის წევრი, სადაც თითქმის ყოველ საღამოს დადიოდა სამუშაოს დამთავრების შემდეგ. თავიდან კლუბისთვის ორი ოთახი გამოყვეს, ქარვასლის ზემო სართულზე, შტაბის მხრიდან.[203] იმჟამინდელი კლუბი უფრო ბირჟის მაგივრობას ასრულებდა, ვიდრე გასართობი ადგილისა; აქ ხდებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, თუმცა ბანქოსაც თამაშობდნენ. ტფილისელ მოქალაქეებს უყვარდათ სპარსული თამაში „ასონასი“ და „ცხრა“. ყირიმის ომის დასრულების[204] შემდეგ კლუბის წევრთა რაოდენობა ისე გაიზარდა, რომ აუცილებელი გახდა მისთვის სხვა ადგილის გამოძებნა. იქირავეს თავად მუხრანელის შენობა გოლოვინის პროსპექტზე, ახლანდელი ტფილისის კრების ზამთრის შენობა, სადაც კლუბისთვის მხოლოდ ხუთი ოთახი იყო გამოყოფილი. ეს კლუბი კიდევ დიდხანს რჩებოდა ტფილისელი მოქალაქის დასასვენებელ ადგილად; მისი ოჯახი კი ისევ ძველ ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა და არც კი ფიქრობდა საზოგადოებრივ სიამოვნებებზე. ტფილისელი ქალის ერთადერთი გასართობი იყო ლოტო, რომლის სათამაშოდაც ერთმანეთს სახლში იწვევდნენ.

ჩვეულებრივ, ტფილისელის ჟამთააღრიცხვა იწყებოდა რომელიმე ისტორიული ან ოჯახური მოვლენიდან. ხშირად გაიგონებდით, რომ მავანი და მავანი დაიბადა ჰასან-ხანის დატყვევების წელსო, ანუ 1828 წელს, ერივნის აღებისას[205], ან დიდი და მცირე ქოლერის წლებში, ანუ 1830 ან 1848 წელს. ამ უკანასკნელს „მცირე“ ეწოდა, რადგან დიდხანს არ გაგრ-

ძელებულა, თუმცა ტფილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი იმსხვერპლა. მაშინ სანიტარიული ზომებისა და ჰიგიენური პირობების ხსენებაც არსად იყო და მოსახლეობა მთლიანად ღვთის წყალობის იმედად გახლდათ. ტფილისელს სწამდა, რომ ნებისმიერი ავადმყოფობის ან ისეთი სახალხო სასჯელისგან, როგორიც ქოლერაა, რომელიმე სიწმინდის თაყვანისცემით განიკურნებოდა. მას სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ამ მრავალნაცადი საშუალებისთვის მიემართა. ასეთ სიწმინდედ შერაცხული იყო ახპატის წმ. გამოცხადების ხატი, რომელმაც ჯერ კიდევ 1830 წელს, დიდი ქოლერობის დროს, იხსნა ქალაქი უბედურებისგან. სწორედ მაშინ გადმოასვენეს ეს ხატი ტფილისში ახპატის მონასტრიდან ზუსტად ქოლერის დასასრულს და დაასვენეს კრწანისში, წინანაურის ეკლესიაში[206]. ხატი სომხებმა ჩამოაბრძანეს ორშაბათს, ფერისცვალების მეორე დღეს. ეს ტფილისელებისთვის წმინდა დღედ ითვლება და ამ დღეს ვაჭრობას ან მუშაობას ვერავინ გაბედავს, ყველა ვალდებულია, წავიდეს წინანაურის ეკლესიაში და ილოცოს. მცირე ქოლერის წელს ტფილისელებმა მფარველობისთვის ისევ მიმართეს ახპატის სიწმინდეს. ამ სიწმინდის ტფილისში გადმოსასვენებლად შედგა კომისია სასულიერო და საერო პირებისგან. მისი ჩამობრძანების დღეს მთელი ტფილისი, საზეიმოდ შემოსილი სასულიერო პირების წინამძღოლობით, ხატს კრწანისის ბაღების ახლოს მიეგება და ის გალობითა და ლოცვით დაასვენეს მეიდნის სურბ-გეორქის ეკლესიაში. ხატი მრავალ მლოცველს იზიდავდა და ქოლერის დასრულებამდე ტფილისში დარჩა.

თითქმის ამავე დროს განეკუთვნება კიდევ ერთი მოვლენა, რომელმაც ძალიან დააინტერესა ტფილისელები. შამილით[207] უკმაყოფილო ავართა სახანოს[208] მმართველი, ვინმე ჰაჯი-მურატი[209], რუსების მფარველობას ეძიებდა და რამდენჯერმე გადმოვიდა მათ მხარეს. მისი ბოლო გადმოსვლის დროს ჰაჯი-მუ-

რატი ტფილისში ჩამოიყვანეს. იგი თავისუფლად ცხოვრობდა ტფილისში, ხშირად დასეირნობდა ქუჩებში, ადიოდა მამადავითზე და სოლოლაკის მთაზე და ქალაქის შემოგარენს ათვალიერებდა. შამილის ტკბილი სიტყვებით ხელახლა მოხიბლული, მას შემდეგ, რაც დაათვალიერა და გამოიძია ყველაფერი, რაც თვითონ სჭირდებოდა, ერთ მშვენიერ დღეს ტფილისიდან გაქრა. ჰაჯი-მურატის უეცარმა გაუჩინარებამ დიდი ალიაქოთი გამოიწვია ქალაქში. დაუყოვნებლივ აღიჭურვა მდევარი, რომელიც მას მხოლოდ ნუხის[210] სანახებთან დაეწია; თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, ჰაჯი-მურატი მოკლეს. მას თავი მოჰკვეთეს, ტფილისში ჩამოიტანეს და შუშის ზარხუფქვეშ გამოფინეს ანატომიურ თეატრში, რომ ხალხს ენახა. ანატომიური თეატრი მოთავსებული იყო ქალაქის სათათბიროს პირველ სართულზე, ველიამინოვის ქუჩის მხრიდან, მას დღევანდელი ჰაინის აფთიაქის[211] და ქალაქის ლომბარდის ადგილი ეჭირა[212]. აუარებელი ცნობისმოყვარე, დიდ-პატარა მოდიოდა ჰაჯი-მურატის თავის სანახავად, რომელზეც, როგორც რომელიმე გმირზე, ქალაქში ლეგენდები დადიოდა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით თათრული სიმღერაც კი შეთხზეს, რომელიც ასე იწყებოდა: „ჰაჯი-მურატ გელდი-გელდი დაღესტანა ჰაჯი-მურატ"[213].

იმხანად ტფილისში საკმაოდ იყო გავრცელებული ქუჩის პოეზია. პოეტები ენამოსწრებულ და ხშირად ორაზროვან ლექსებსა და სიმღერებს თხზავდნენ ნებისმიერ მოვლენასა თუ საჭირბოროტო საკითხზე. თხზავდნენ ქართულ და ძალიან იშვიათად – სომხურ ან თათრულ ენაზე[214]. ლექსებსა და სიმღერებს მღეროდნენ ან კითხულობდნენ სახლებსა თუ ქუჩებში. ასე მაგალითად, სოლოლაკის ჯებირის გარღვევის[215] შედეგად ტფილისის დატბორვის შესახებ შეთხზეს სიმღერა, რომელშიც ნათქვამი იყო, თუ როგორ შევარდებოდა გადმოხეთქილი წყალი ხან ერთ სახლში და ხან მეორეში, აქ საოჯახო წვრილმანს მოიტაცებდა, იქ საბანს გადახდიდა მძინარეს, თვით პოეტს კი ცივი

შხაპით აფხიზლებდა. იყო ასევე პირადი ან ისტორიული ხასიათის ლექსები აქტუალურ თემებზე. ასე მაგალითად, ტფილისელი პატარა ბიჭების ბაგეთაგან დიდხანს არ ჩამოდიოდა ორტაეპიანი ლექსები, რომელთაც დამღერებით წარმოსთქვამდნენ:

„ქალაქში მოსულა თეთრი ბატები,
იანვარში გარეკეს ფრანკის პატრები“.

იგულისხმებოდა დომინიკელი ბერების ტფილისიდან განდევნა[216], რომლებიც კავკასიაში კათოლიციზმის გასავრცელებლად ჩამოვიდნენ.

ან კიდევ:

„ქალაქში მოსულა ახალი ქერი,
ქართვლის არქიელსა არა აქ წვერი“.

იგულისხმებოდა, რომ საქართველოს ეგზარქოსს, არქიეპისკოპოს ისიდორეს[217] მეჩხერი წვერი ჰქონდა.

ან კიდევ ასეთი:

„ქალაქში მოსულა წითელი ბალი,
სომხის არქიელსა არა აქ თვალი“.

იგულისხმებოდა, რომ ადგილობრივი ეპარქიის თავს, ეპისკოპოს კარაპეტს[218] ცალი თვალი ამოგდებული ჰქონდა. პიროვნებებსა და სხვადასხვა მოვლენებზე შეთხზული ასეთი ლექსების სრული კრებული ტფილისში ხელიდან ხელში გადადიოდა, კითხულობდნენ სიცილ-ხარხარით, გასართობად და არა ვინმეს შეურაცხყოფის მიზნით.

ჰაჯი-მურატის შეპყრობისა და მოკვლის შემდეგ ტფილისი საგრძნობლად დაწყნარდა. სამაგიეროდ, შამილი იყო ძალიან გამწარებული და გაღიზიანებული. საკვირველია, რომ თავისი მიმდევრის მოკვლისათვის სამაგიეროს გადასახდელად მან

დრო იხელთა და 1854 წლის ივლისში კახეთიდან ტყვედ წაიყვანა თავად ჭავჭავაძის[219] ოჯახი. ამ მოვლენამ ტფილისელები აღაშფოთა და ფეხზე დააყენა. ველური მთიელის შურისძიება არ იყო სახუმარო საქმე. ტფილისელები შიშმა შეიპყრო. ისე ეშინოდათ მთიელების თავდასხმისა, რომ ქალაქიდან წმ. ანტონის[220] თაყვანის საცემადაც კი აღარ მიდიოდნენ მარტყოფში. ყოველდღე ელოდნენ თავდასხმას ტფილისზე, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არ მოხდა; თუმცა მიიღეს შესაბამისი ზომები. ამ ზომებს უნდა მივაკუთვნოთ ტფილისელი მოქალაქეებისგან სახალხო მილიციის შექმნა, რაც სწორედ თურქეთთან საომარი მოქმედებების[221] დაწყების წინ მოხდა. ერთის მხრივ, ყირიმის ომისთვის მოსამზადებლად და, მეორეს მხრივ, შამილის რაზმების შემოსევის საშიშროების გამო, მთავრობამ მოისურვა ყოველი შემთხვევისათვის, ქალაქელების ძალებით დაეცვა ტფილისი და სახელდახელოდ შექმნა მილიცია. და აი, ჩვენი მოქალაქეები, ვაჭრები, ხელოსნები, ტოვებდნენ თავის არშინებს, სასწორებს და სამუშაო იარაღებს, შეიარაღებულნი იყვნენ იმით, რაც ხელთ მოხვდებოდათ, ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდნენ ავლაბარში და ხოჯევანქის სასაფლაოს[222] უკან ვარჯიშობდნენ სამხედრო ხელოვნებაში. ეს ფეხაუწყობელი ბრბო ქალაქის ქუჩებში მსვლელობისას დიდ სიცილ-ხარხარს იწვევდა, ბევრი ხუმრობა და მახვილსიტყვაობა ისმოდა როგორც თვით ამ მილიციაში მონაწილე ხუმარების, ისე ქუჩის ლაზღანდარების მხრიდანაც. ამ გვარდიის შესახებ სიმღერაც შეთხზეს; შეუძლებელი იყო ეს სიმღერა მოგესმინა და გულიანად არ გაგცინებოდა. განსაკუთრებით ბევრი მოხვდა ნახევრად შეშლილ მოქალაქეს, მოხუც ნასყიდა იზდანოვს, რომელიც, წითელ პერანგში გამოწყობილი, ყველას წინ მიუძღოდა და მხარზე იარაღის მაგიერ უშველებელი კომბალი ჰქონდა გადებული.

ამ ორიგინალურ კაცს, რომელსაც მთელი ტფილისი *ნაკოს ეძახდა*, თავადი ვორონცოვი უფრო ადრეც იცნობდა, როდე-

საც ჯერ კიდევ პორუჩიკის ჩინით იყო ტფილისში. რადგან გასული საუკუნის დასაწყისში ტფილისში არ იყო სახელმწიფო შენობები, რუსეთიდან ჩამოსულ ოფიცრებსა და ჩინოვნიკებს კერძოდ აბინავებდნენ. გვარდიის ახალგაზრდა ოფიცერს, ვორონცოვს, ბინა გამოუყვეს ამ იზდანოვის ნათესავის სახლში, ბებუთოვის ქუჩაზე. ბინის მეპატრონეებმა თავადი ვორონცოვი პირველი ვაჟის ნათლიად მოიკიდეს. ამ დროს გაიცნეს ერთმანეთი თავადმა ვორონცოვმა და ნაკო იზდანოვმა. ამას გარდა, იზდანოვს იმ დროის სხვა ცნობილ ტფილისელ მოქალაქეებთან ერთად არჩევითი თანამდებობა ეკავა ხელახლა დაფუძნებულ ქალაქის საქმეთა მართვის მაგისტრატურაში[223] და აქედანაც ცნობილი იყო თავად ვორონცოვისთვის.

ორმოციან წლებში ნასყიდ იზდანოვი უკვე აღარ იყო ის გამოჩენილი მოქალაქე, რომელიც თავადმა ვორონცოვმა 1803 წელს გაიცნო. ერთხელ, როცა იზდანოვი სამუშაოს შემდეგ გამოდიოდა ეგზარქოსის მოედანზე[224] მდებარე მაგისტრატურიდან, უმართავი ეკიპაჟი დაეჯახა. დაცემისას თავი ძლიერ დაუზიანდა და ტვინის შერყევაც მოუვიდა. ამის შემდეგ ნასყიდ იზდანოვი ჭკუიდან შეიშალა და აღარანაირი სამუშაოსთვის აღარ გამოდგებოდა. ასეთ მდგომარეობაში ნახა თავისი ძველი მეგობარი ორმოციან წლებში ტფილისში უკვე მეფისნაცვლად დაბრუნებულმა თავადმა ვორონცოვმა. იგი მას ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილზე, პურის მოედანზე, ფეთხაინის ქუჩის კუთხეში მჯდარს ხედავდა: ზაფხულში წითელ აბრეშუმის პერანგში, თავშიშველს, ზამთარში – ბეწვისსარჩულიან ტარმალამის[225] ხალათში, თავზე მაღალი ბუხარული ქუდით[226].

თავადი ვორონცოვი, თითქმის ყოველდღე, ცხენზე ამხედრებული გამოდიოდა სასახლიდან მხოლოდ ერთი კაზაკის[227] თანხლებით ვორონცოვის ქუჩის დასათვალიერებლად, ზაფხულში კიტელი[228] ემოსა, ხოლო ზამთარში – მუნდირი[229] ზედ მოსხმული ნაბდით. თავადი ყოველთვის ჩერდებოდა მშენებარე ქარვასლასთან.

როგორც წესი, თავადი ვორონცოვი მცირე ხანს დაჰყოფდა ქარვასლაში, შემდეგ სომხის ბაზრის ან ველიამინოვის ქუჩის გავლით, ჩაუხვევდა დიდ მრუდე ქუჩაზე და პურის მოედნისკენ გაემართებოდა. ნაკო მას შორიდანვე ამჩნევდა, ადგებოდა თავისი ადგილიდან და თავადის შესახვედრად მიემართებოდა, თან შორიდანვე ყვიროდა: „ზდრასტი, ვორონცოვ!". თავადი ვორონცოვი ყოველთვის ჩერდებოდა, თბილად ჩამოართმევდა ხელს ნაკოს და ჯანმრთელობის ამბავს გამოჰკითხავდა. ნაკო ყოველ ჯერზე უბიდან ამოიღებდა სიძველისგან უკვე ძალადაკარგული თამასუქების ბღუჯას და სთხოვდა თავადს, ებრძანებინა მისი მოვალეებისათვის, ვალი გადაეხადათ ამ თამასუქების მიხედვით. თავადი ვორონცოვი ღიმილით აიმედებდა. ამ დროს ყოველი მხრიდან მოცვივდებოდნენ ხოლმე ბავშვები და ხტუნვითა და ტაშისკვრით გამოხატავდნენ თავისი საყვარელი თავადის დანახვის სიხარულს, თან ზოგი უზანგს[230] მოსწევდა, ზოგი ნაბდის ბოლოს ან ცხენის ფაფარს. თავადი ვორონცოვი ყოველთვის ალერსით პასუხობდა მათ შეძახილებს და, თუ თან ჰქონდა ხურდა ფული, ურიგებდა, თუ არ ჰქონდა, მაშინ მსხვილ მონეტას ან ქაღალდის ფულს მისცემდა ნაკოს, რომ იმას დაეხურდავებინა და ბავშვებისთვის დაერიგებინა ტკბილეულის საყიდლად. ამის შემდეგ თავადი ვორონცოვი მეიდნისკენ მიემართებოდა, ბავშვები კი ნაკოსთან ერთად ჟრიამულით მიაცილებდნენ წმ. გიორგის მოედნამდე. ზოგჯერ ნაკო ფულის გაყოფისას გასართობს იწყობდა, ე. წ. თამაშს. იმის მაგივრად, რომ ფული სათითაოდ დაერიგებინა, ხურდას ისროდა, ბავშვებს კი ფული ჰაერშივე უნდა დაეჭირათ. ამ დროს ბავშვები იწყებდნენ ხმაურს და შეხლა-შემოხლას, რაც იმ უბნის მცხოვრებთა ცნობისმოყვარეობას იწვევდა. დაღესტანის ოლქის[231] სამხედრო გუბერნატორის ყოფილი თანაშემწე, აწ განსვენებული გენერალ-მაიორი ა. ს. იუზბაშევი[232] მიყვებოდა, ასეთი ცნობისმოყვარეობა ძვირად დამიჯდაო. ერთხელ, პატარაობაში, ბავშვების

ამ ღრიანცელზე სახლიდან გამოსულა, ბებუთოვის ქუჩის და პურის მოედნის კუთხეში შეჩერებულა იმის სანახავად, როგორ უყრიდა ნაკო ფულს ბავშვებს. ერთი მის მხარეს ღონივრად ნასროლი მონეტა, ქართული ორაბაზიანი[233] (40 კაპ.), რომელიც მაშინ ჯერ კიდევ იყო ბაზარზე მიმოქცევაში, მარცხენა თვალში მოხვედრია. ამის გამო თვალი დაჰპატარავებია და მხედველობა დაჰქვეითებია.

როგორც ჩანს, თავად ვორონცოვს უყვარდა ორიგინალური ადამიანები. სასახლეში ჰყავდა მუსლიმი ჯუჯა, რომელსაც ხალხი *ვორონცოვის კაცს* ეძახდა. ეს ორიგინალური სუბიექტი ყოველთვის საუკეთესოდ გახლდათ გამოწკეპილი. იცვამდა ლურჯ ჩოხას გრძელი, მხრებზე გადაყრილი ყურთმაჯებით[234], შავი ატლასის ახალუხს[235] და ყავისფერ აბრეშუმის შარვალს; თავზე კი მაღალი წაწვეტებული ბუხარული ქუდი ეხურა. მთელი ტანსაცმელი მოქარგული იყო ძვირფასი განიერი ბუზმენტებითა[236] და ვერცხლისსირმებიანი[237] აბრეშუმის თასმებით. ჯუჯა ხშირად დასეირნობდა ქუჩებში შარვლის შარიშურით. ამაყობდა *ვორონცოვის კაცის* პრივილეგირებული სტატუსით და თავისი ქედმაღალი სვლით კიდევ უფრო სურდა თავის გამოჩენა. პატარა ბიჭები რომ დაინახავდნენ ქუჩაში, უკან მისდევდნენ და ოხუნჯობდნენ „აღა[238] ბაღში მიბრძანდება, მაგის მიხედ-მოხედვის ჭირიმე". ბავშვების ეს სიტყვები აამებდა ჯუჯას თავმოყვარეობას და ისიც უფრო მეტად იბღინძებოდა.

1850 წელს ტფილისს წილად ხვდა ბედნიერება ტახტის მემკვიდრე უფლისწულის, მისი საიმპერატორო უდიდებულესობის, ალექსანდრე ნიკოლოზის ძის, შემდგომში აწ განსვენებული იმპერატორის, ალექსანდრე II-ის[239] ჩამობრძანებისა. მისი საზეიმო დახვედრისათვის ტფილისი გალამაზდა, რამდენადაც შეეძლო. თავადობა, ერთის მხრივ, და მოქალაქეები, მეორეს მხრივ, ემზადებოდნენ, რომ მის უდიდებულესობას ღირსეულად დახვედროდნენ. მისი უდიდებულესობის დასახვედრად თავადობამ

მოანყო რაუტი[240] ორთაჭალაში ტერ-შმავონოვის ბაღში, სადაც ამჟამად ცხოვრობს თვით ადელხანოვი, რადგან ამ ბაღს ყველაზე მოხერხებულად თელიდნენ, მით უმეტეს, რომ ვორონცოვის ქუჩა უკვე მზად იყო. მოქალაქეებმა კი პურმარილი ამქრებისთვის არწრუნის ქარვასლაში[241], სიონის ქუჩაზე გაშალეს. აქ მთელი ეზო და ქვემო სართულის აივნები გაწყობილი და მორთული იყო ხალიჩებით. მოწვეულნი უკვე ტრაპეზს უსხდნენ, როდესაც გზად ორთაჭალისკენ მიმავალი მისი უდიდებულესობა მობრძანდა. მთელი ქარვასლა, გარეთაც და შიგნითაც, მრავალფრად ბრწყინავდა, ხოლო ეზოში ორი შადრევანი ჩუხჩუხებდა – წითელი და თეთრი ღვინისა. მისი უდიდებულესობის გამოჩენაზე მთელ ქარვასლაში მქუხარე „ურა!" დააჭექეს. მისმა უდიდებულესობამ მოიღო მოწყალება, ყველა სუფრა ჩამოიარა, გარკვეული ხანი დაჰყო და შემდეგ ორთაჭალაში გაემგზავრა. ტერ-შმავონოვის ბაღი ფეერიულ სანახაობას წარმოადგენდა, განსაკუთრებით მტკვრის ნაპირის მხრიდან, სადაც ააშენეს პავილიონი მისი უდიდებულესობისთვის. აქედან მისი უდიდებულესობა უცქერდა ფოიერვერკს, რომელსაც მტკვრის მეორე ნაპირიდან უშვებდნენ. რაუტი დასრულდა ტრადიციული ქართული წვეულებით ტივებზე, ბენგალური შუშხუნებითა და ზურნის ჰანგების თანხლებით.

არანაკლებ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ტფილისელებისთვის ხანძარი ზემოხსენებული არწრუნის ქარვასლაში, რომელიც სწორედ თურქეთისთვის ომის გამოცხადების წინ მოხდა.[242] ამ გრანდიოზულმა ხანძარმა თავისი სანახაობით დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა ტფილისელებზე. შეუძლებელი იყო, წარბშეუხრელად გეყურებინათ, როგორ მოედინებოდა ერთ მხარეს ნაკადებად დამდნარი შაქარი, მეორე მხარეს კი რა ჭახაჭუხით სკდებოდა შუშის ჭურჭელი სპირტიანი სასმელებით, ხოლო სხვაგან ამოვარდნილი ბოლის შავი ბოლქვები მძიმე სუნთან ერთად იმაზე მეტყველებდა, რომ იწვოდა მანუფაქტურის

საწყობები. სახანძრო რაზმი თითქმის არ არსებობდა, ან კი რა რაზმი შეაკავებდა ცეცხლის სტიქიის ძალას, რომელმაც ამდენი საწვავი მასალა იპოვა, როცა ცალ მხარეს ვიწრო ქუჩა იყო, ხოლო მტკვრის მხრიდან კი ვერაფერი მიუდგებოდა. ამ ხანძრის ნათება შორიდან ჩანდა და იზიდავდა აუარებელ ცნობისმოყვარეს, რომლებმაც სულ გაჭედეს ისედაც ვიწრო სიონის ქუჩა. ხანძარი გამთენიისას დაიწყო და ეს ამბავი მოქალაქეებს აცნობეს ჯარისკაცების დოლების ცემითა და ახლომდებარე ეკლესიების ზარების რეკვით. ამ ხანძარმა გააკოტრა ბევრი ვაჭარი, რომლებსაც ქარვასლის საწყობებში ჰქონდათ საქონელი შენახული. ძალიან ცოტამ თუ მოახერხა თავისი საქონლის ნაწილის გადარჩენა და რაც გადარჩა, ისიც გაფუჭებული იყო ბოლითა და წყლით. ისიც უნდა ვახსენოთ, რომ საქონლის დაზღვევა ხანძრისგან მაშინ არ იცოდნენ და ვაჭრები პირწმინდად გაკოტრდნენ.

თავადი ვორონცოვი თურქეთთან საომარი მოქმედებების დასრულებამდე .გაემგზავრა კავკასიიდან და ტფილისელებს დაუტოვა წარუშლელი მოგონებები თავის შესახებ. ის შეცვალა თავადმა მურავიოვმა[243], რომელმაც ტფილისში ჩამოსვლისთანავე, დიდუბის მინდორზე[244] ჯარის დათვალიერება მოაწყო. აღლუმს ხელმძღვანელობდა თავადი ვ. ო. ბებუთოვი[245], თურქეთში მოქმედი არმიის სარდალი. როცა თავადი მურავიოვი ჯარს მიუახლოვდა და მუსიკამ იქუხა, მისი ცხენი დაფრთხა, ყალყზე შედგა და დიდხანს ვერ დაწყნარდა. ამიტომ მას სხვა ცხენი მიართვეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო თავადმა ჯარის დათვალიერების დასრულება. ასეთი უმნიშვნელო ხასიათის მცირე ეპიზოდები და მოვლენები მოგონებებში მრავლად შემომრჩა, მაგრამ რადგან მათ ისტორიული მნიშვნელობა არა აქვს და ბევრს არც კი დააინტერესებს, გამოვტოვებ. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ ყირიმის ომის დამთავრებისა და ტახტზე ან განსვენებული ხელმწიფე იმპერატორ ალექსანდრე II-ის[246] ასვ-

ლის შემდეგ, ტფილისი საგრძნობლად შეიცვალა. მისი თვალსანიერი გაფართოვდა და ის ახალ კულტურულ გზას დაადგა. გრანდიოზული და საზეიმო იყო ტფილისელების მიერ ქვეშევრდომობის ფიცის მიღება იმპერატორ ალექსანდრე II-ის ტახტზე ასვლისას. ერთგულების ფიცი დადო ყველა ტფილისელმა იქ, სადაც ახლა ალექსანდრეს ბაღია, მაშინ კი ბაღი ცარიელ ადგილს, ქალაქის ნაგავსაყრელს წარმოადგენდა. ეს ადგილი რატომღაც იწოდებოდა ყაბახად* და მხოლოდ თავად ბარიატინსკის[247] მხარის მმართველობის დროს გადაიქცა იმპერატორის სახელობის დღევანდელ დიდებულ ბაღად. თუმცა გოლოვინის პროსპექტის მხრიდან დიდების ტაძრის[248] აშენების შემდგომ მან დაკარგა ტფილისელებისთვის ყოველგვარი მნიშვნელობა. მანამდე კი ის იყო ყველაზე სასურველი სასეირნო და ტფილისის მცხუნვარე მზის სხივებისგან თავის შესაფარებელი ადგილი.

---

* შენიშვნა. ყაბახი თათრულად ნიშნავს გოგრასაც და – წინასაც, საწინააღმდეგოსაც.[249] თავისი სიმრგვალის გამო ხომ არ იწოდებოდა ეს ადგილი ასე, ან იქნებ, ეს იყო ზღვარი, რომლის აქეთა მიდამო ითვლებოდა ქალაქად. ბოლო უფრო სავარაუდოა, რადგანაც ამ ადგილიდან არცთუ შორს მდებარეობდა ძველი სომხური სასაფლაოს ეკლესია ჯვრატარი[250], რომელიც შემდგომ წყალდიდობისას დაინგრა.

შენიშვნები

1. 40-იანი წლების ტფილისი – იგულისხმება მე-19 საუკუნის 40-იანი წლები.

2. უწინ საქართველოს დედაქალაქი – რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ ტფილისი წარმოადგენდა მხარის ადმინისტრაციულ და ტფილისის გუბერნიის ცენტრს. მას დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებელი ქვეყნის დედაქალაქის სტატუსი.

3. ბრტყელი სახურავები – იგულისხმება ბანიანი სახლები, რომელთა სახურავებიც წარმოადგენდა დატკეპნილი მიწის სწორ ზედაპირს.

4. ავანაანთ ხევი – ავანაანთ ხევი სათავეს იღებს დღევანდელი მარო მაყაშვილის აღმართის დასაწყისში მდებარე სოლოლაკის წყაროდან.

5. მთისპირა ქუჩა – დღეს ლერმონტოვის ქუჩა.

6. სოლოლაკის ქუჩა – დღეს გ. ლეონიძის ქუჩა.

7. ერივანსკის მოედანი – დღევანდელი თავისუფლების მოედანი. გენერალ-ფელდმარშალ ივანე ფიოდორის ძე პასკევიჩს 1827 წლის 5 ოქტომბერს ერევნის ციხესიმაგრის აღებისთვის მიენიჭა ტიტული – Граф Эреванский. აღნიშნულ მოედანს უწოდეს პასკევიჩ-ერევანსკის სახელი, მოგვიანებით მას მოიხსენიებდნენ შემოკლებით და დამახინჯებულად – ერივანსკის მოედანი.

8. სალდათის ბაზარი – მოიცავდა შემდგომში კოლმეურნეობის, დღეს გრ. ორბელიანის მოედანს და ბარათაშვილის ქუჩის ნაწილს, თავად მოედნიდან ვერცხლის ქუჩის კუთხემდე.

9. ქვის ხიდი – ვახუშტის 1735 წლის ქალაქის გეგმაზე მოხსენიებულია როგორც ქვემო კარის ხიდი და მდებარეობდა ახლანდელი ჩახრუხაძის ქუჩის დასაწყისში. ამ კარის ნანგრევები დღესაც შემორჩენილია.

10. თავადი მ. ს. ვორონცოვი – გრაფი მიხეილ სემიონის ძე ვორონცოვი. რუსეთის არმიის გენერალ-ფელდმარშალი. 1844 წელს დაინიშნა კავკასიაში განლაგებული სამხედრო კორპუსის მთავარსარდლად და მეფისნაცვლად შეუზღუდავი უფლებებით. ტფილისში ჩამოვიდა 1845 წლის 25 მარტს. 1853 წელს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და ამავე წლის 25 მარტს, ანუ ჩამოსვლიდან ზუსტად 8 წლის შემდეგ, დატოვა ტფილისი. საცხოვრებლად გადავიდა ოდესაში, სადაც გარდაიცვალა 1856 წლის 6 ნოემბერს. მრავალი ქართველი მას ტფილისის და საქართველოს აღმშენებლად მიიჩნევდა. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც ვორონცოვის ქმედებებს უარყოფითად აფასებდა. მაგალითად, ალექსანდრე ორბელიანი ასე იხსენებს ვორონცოვის მოღვაწეობას – "... ვარანცოვის სახელს ადიდებდნენ ქართუელები: ეს რა ღვთიური კაცი მოგვივიდაო. მაგრამ მე კი ზედმიწევნით ვიცოდი, ესეები სულ მოჩუენება იყო ვარანცოვისგან, რომ საქართუელოს ხალხი გართულები იყვნენ დროებითად ამაოებში და მთავრობაზედ ცუდი ფიქრი აღარავის აღარ ჰქონდეს, ამისთვის რომ ვარანცოვის დროსა შამილი და დაღესტანი განძლიერებული იყვნენ; ქართუელებისგანაც ეშინოდა, მაგრამ ვარანცოვმა იმ თავის ცფიერულის გონებითა ესეები სულ ჩაშალა და ბოლო დროს ისევ ისე მონებაში დარჩნენ ქართუელები, როგორც ადრე იყვნენ რუსებისა".

11. ხევს იქით – ავანაანთ ხევს იქიდან, დღეს თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის გამზირის მიმართულებით.

12. საოლქო შტაბი – შენობა ააგეს ერმოლოვის მითითებით 1824-1825 წლებში სასახლის ქუჩის დასაწყისში ავანაანთ ხევის პირას (მაშინ ერევანსკის მოედანი ჯერ კიდევ არ იყო კეთილმოწყობილი). მასში თავდაპირველად განთავსებული იყო საქალაქო სახლი. მოგვიანებით აქ განთავსდა კავკასიის კორპუსის საოლქო შტაბი. შენობა დღემდეა შემორჩენილი და მდებარეობს რუსთაველის გამზირის 2-ში.

13. სასახლე – მეფისნაცვლის (მთავარმართებლის) სასახლე. პირველი შენობა ამ ადგილზე 1802 წელს აშენდა და მას სამხედრო დანიშნულება ჰქონდა. მეფისნაცვლის სასახლის პირველი ვარიანტი, გენერალ ერმოლოვის დავალებით, 1818 წელს აშენდა არქიტექტორ ბრაუნმილერის პროექტით. 1845-47 წლებში მ. ს. ვორონცოვის დავალებით არქიტექტორმა ნიკოლოზ სემიონოვმა შენობა საფუძვლიანად გადააკეთა და მას კლასიცისტური სტილი მიანიჭა დორიული ფრონტონითა და კოლონებით. 1865-69 წელს მოხდა სასახლის საბოლოო საფუძვლიანი გადაკეთება, არქიტექტორ ოტტო იაკობ სიმონსონის პროექტის მიხედვით. შენობამ რენესანსისთვის დამახასიათებელი სახე მიიღო, რომლითაც დღესაც წარმოგვიდგება.

14. ვანქის ტაძარი – მდებარეობდა ახლანდელი ათონელისა და მტკვრის ქუჩებს შორის. თავდაპირველი ეკლესია, სავარაუდოდ, XIV საუკუნეში აშენდა. XVIII საუკუნის დასაწყისში ტაძარი საბოლოო სახით აუშენებიათ, რომლის შეკეთება განახლება მეფე ერეკლე II-ის დროს 1788 წელს მომხდარა. წარმოადგენდა სომხური სამოციქულო (გრიგორიანული) ეკლესიის საკათედრო ტაძარს. დაანგრიეს 1930-40-იან წლებში სანაპიროს გაგანიერებასთან დაკავშირებით. დღეს შემორჩენილია მხოლოდ სამსართულიანი სამრეკლო ათონელის ქ. 3-ში.

15. ორბელიანთ აული – სალდათის ბაზრიდან და ვანქის ტაძრიდან (დღეს გრ. ორბელიანის მოედნიდან და მტკვრის ქუჩიდან) ხიდის ქუჩამდე და ათონელის ქუჩიდან სანაპირომდე. ორბელია-

ნებს, ასევე, ეკუთვნოდათ შემდგომში მადათოვის კუნძულად წოდებული ადგილიც, სადაც ბაღები ჰქონდათ გაშენებული.

16. კომენდატურის სამმართველო – მდებარეობდა გოლოვინის პროსპექტზე. დღეს რუსთაველის პროსპექტის 5 ნომერში მდებარე კინოთეატრ „რუსთაველის" შენობის ადგილას.

17. გენერალი ერმოლოვი – ალექსეი პეტრეს ძე ერმოლოვი – ინფანტერიის გენერალი. კარიერა დაიწყო როგორც რუსეთის არმიის ერთ-ერთმა (თუ არა ყველაზე) კარგმა არტილერიის ოფიცერმა. 1816 წელს დაინიშნა ცალკეული ქართული კორპუსის მთავარსარდლად; საქართველოს, ასტრახანის და კავკასიის გუბერნიების სამოქალაქო ნაწილის მმართველად. ტფილისში ჩამოვიდა იმავე წლის ნოემბერში. თავისი დროის არმიის გამორჩეული და იმთავითვე ლეგენდარული გენერალი, გამოირჩეოდა სისასტიკით დაპყრობილი ხალხების მიმართ. 1818 წელს ააშენა ციხესიმაგრე გროზნი. 1819 წელს ერმოლოვის ბრძანებით დაანგრიეს მეტეხის ციხის ციტადელი და იმავე მასალით, იმავე ადგილზე ააგეს სატუსაღო, რომელიც 1938 წლამდე ფუნქციონირებდა. 1823 წელს ილაშქრა დაღესტანში, 1825 წელს – ჩეჩნეთში. ჩაახშო აჯანყებები გურიაში, იმერეთსა და სამეგრელოში. დაიმორჩილა აფხაზეთი. ერმოლოვის პიროვნებით აღფრთოვანებული პუშკინი მისდამი მიძღვნილ ლექსში წერდა – „...ძრწოდე, კავკასიავ – მოდის ერმოლოვი..." დეკაბრისტების მიმართ სიმპათიის გამო, 1827 წლის 27 მარტს გაათავისუფლეს საქართველოს და კავკასიის მმართველის თანამდებობიდან და დაბრუნდა ორიოლში, საგვარეულო მამულში. გარდაიცვალა 1861 წლის 11 აპრილს მოსკოვში. დაკრძალულია ორიოლში.

18. სამაზრო სასწავლებელი – ტფილისში 1835 წელს გაიხსნა. წარმოადგენდა სკოლას საშუალო ფენის ბავშვებისათვის. ისწავლებოდა – საღვთო სჯული, ეკლესიის ისტორია, რუსული ენა, რუსეთის ისტორია, ზოგადი ისტორია, არითმეტიკა და გეომეტრია (ელემენტარულ დონეზე), გეოგრაფია, ხატვა, ხაზვა,

სუფთა წერა. დასაწყისში ყველა საგანს ორად ორი მასწავლებელი ასწავლიდა. 1870 წელს, ისევე როგორც იმპერიის სხვა სამაზრო სკოლები, საქალაქო სკოლად გადაკეთდა. ქიშმიშევის თანახმად, სამაზრო სასწავლებელი მდებარეობდა დღევანდელი მეტროს სადგურ თავისუფლების მოედნის ადგილზე. თუმცა სხვა წყაროებით ამის დადასტურება ვერ ხერხდება.

19. სასახლის ქუჩა – სასახლის ქუჩად იწოდებოდა დღევანდელი რუსთაველის გამზირის მონაკვეთი – თავისუფლების მოედნიდან მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლემდე.

20. სადაც ახლა თავს იწონებენ სახლები – აღნიშნული ორი შენობა იდგა დღევანდელი მეტრო თავისუფლების ადგილზე.

21. სურბ-კარაპეტის ხევი – დღეს ე. ახვლედიანის ხევი.

22. სოლოლაკის ბაღები – უფრო ადრე გიორგი XII-ის და დარეჯან დედოფლის ბაღებად წოდებული, რომელთაც ერთმანეთისგან ყოფდა ავანაანთ ხევი. მდებარეობდა ველიამინოვის, დღეს შ. დადიანის ქუჩიდან დასავლეთით ვიდრე მთის ფერდობებამდე და სოლოლაკის ქედიდან ერმოლოვის (დღეს ჩიტაძის) ქუჩამდე.

23. ქვის კედელი, რომლის ნაშთები ახლაც ჩანს – ქვის კედელი იწყებოდა შახტახტის გალავნიდან, ჩამოდიოდა ველიამინოვის ქუჩაზე, გრძელდებოდა პუშკინის და მუხრანის (დღეს ნ. ბარათაშვილის) ქუჩების გასწვრივ. ამ კედლის ნაწილი დღეს შემორჩენილია პუშკინის და ბარათაშვილის ქუჩების გასწვრივ.

24. სოლოლაკის მთა – იგივე სოლოლაკის ქედი.

25. ფიზიკური ობსერვატორია – შახტახტი, ფიზიკურ ობსერვატორიად გამოიყენებოდა XIX-ის 40-იან წლებამდე.

26. ველიამინოვის ქუჩა – დღეს შ. დადიანის ქუჩა.

27. მართლმადიდებლური სემინარია – მართლმადიდებლური სემინარიის აღნიშნული შენობა ააშენეს 1838 წელს დიდ ვაჭარ ზუბალაშვილის დაკვეთით, შვეიცარიელმა არქიტექტორებმა,

ძმებმა ჯოვანი და ჯუზეპე ბერნადოტებმა როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა. თუმცა პირველივე დღიდან აქ განთავსდა ჯერ კიდევ 1817 წელს დაფუძნებული ტფილისის მართლმადიდებლური სემინარია. სემინარია აღნიშნულ შენობაში მოქმედებდა 1903 წლამდე, როდესაც სემინარია ვაკეში, ახლად აშენებულ შენობაში გადავიდა. ძველი შენობა კი გადაკეთდა სასტუმროდ – „სამეფო ნომრები". 1950 წლიდან შენობაში განთავსებულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმი.

28. კოშკი – კოშკი, რომლის ნარჩენები დღესაც შემორჩენილია ვერცხლის და ბარათაშვილის ქუჩების კუთხეში.

29. ბოტანიკური ბაღი – თავიდან აქ სამეფო ბაღები მდებარეობდა. რუსეთთან საქართველოს მიერთების დროისთვის ეს ბაღი მარიამ დედოფლის (გიორგი XII-ის მეუღლე) პირად მზრუნველობაში იყო. რუსეთთან მიერთების შემდეგ ბაღი სახელმწიფოს მფლობელობაში გადავიდა. 1845 წელს ბაღს მიემატა შახტახტის ბაღები და ბოტანიკურ ბაღად გამოცხადდა. ხოლო საბჭოთა კავშირის დროს მუსლიმური სასაფლაოს ტერიტორიაც მიუერთეს.

30. ციხესიმაგრის ძველი ნაგებობები – იგულისხმება ნარიყალის კომპლექსი.

31. დაბახანის ხევი – იგივე წავკისისწყალი, იგივე ლელვთახევი აბანოთუბანში.

32. ვორონცოვის ქუჩა – დღეს ვახტანგ გორგასლის ქუჩა. არ აგერიოთ ვორონცოვის მოედანში – შემდგომში მარქსის, დღეს – ზაარბრუკენის მოედანში.

33. განჯის კარი – მდებარეობდა დღევანდელი ბოტანიკური ბაღის მთავარ შესასვლელში, ხიდთან.

34. აღმოსავლეთიდან ტფილისი ღია იყო – იგულსხმება ავლაბრის მხარე, რომელიც ისნის ციხის გარეთაც იშლებოდა და არ იყო კედლით შემოზღუდული.

35. არსენალი, მსროლელი ბატალიონების ყაზარმები, დენთის სარდაფები – ყაზარმები და დენთის სარდაფები მდებარეობდა რკინიგზასა და მახათას მთას შორის. ყაზარმის რამდენიმე შენობა დღესაც დგას ე. წ. არსენალის მთაზე.

36. სამების დასახლება (ძაღლისუბანი) – რუსულად ნოვოტროიცკაია. უბანი დღევანდელი თელავის ქუჩიდან კასპის ქუჩამდე და ქეთევან წამებულის გამზირიდან პეტრე-პავლეს სასაფლაომდე. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს ყოველთვის ძაღლისუბნად მოიხსენიებდა და ახლაც მოიხსენიებს. ხშირად რუსულ წყაროებშიც ძაღლის უბნად – სობაჩი პოსიოლოკად მოხსენიება. სამების სახელი ეწოდა იმავე სახელწოდების ქუჩის მიხედვით, შემდგომში საბადურის, დღეს – ვაჟა ივერიელის ქუჩა.

37. ნავთლული – თურქულად ნავთის ადგილს ნიშნავს, რომელიც აქ ბუნებრივად გამოედინებოდა. მაგრამ სიმცირის გამო აქ ნავთის რენვა არ ხდებოდა.

38. სერგეევის, ნოვოინსტიტუტის (მოგვიანებით პასკევიჩის), რტიშევის, გუდოვიჩის ქუჩები – შესაბამისად, დღეს: ივ. მაჩაბლის, გ. ქიქოძის, პ. იაშვილის ქუჩები და დ. ჭონქაძის ქუჩის ქვემო ნაწილი ჩიტაძის ქუჩის კუთხემდე.

39. კუკია მიხაილოვის ქუჩითურთ და ჩუღურეთი – კუკიად ითვლებოდა უბანი დიდხევისა და კრასნოგორის (დღეს გორკის) ქუჩებიდან რეუტის (დღეს – გ. მაზნიაშვილის) ქუჩამდე და მტკვრის სანაპიროდან რკინიგზის ლიანდაგებამდე. ჩუღურეთად ითვლებოდა უბანი იმავე დიდხევისა და კრასნოგორსკის ქუჩებიდან სურბ-კარაპეტის ხევამდე (დღეს ე. ახვლედიანის ხევი) და მტკვრის სანაპიროდან, ასევე, რკინიგზის ლიანდაგებამდე. მიხაილოვის ქუჩა – შემდგომში პლეხანოვის, დღეს აღმაშენებლის გამზირი.

40. სომხის ბაზარი – იწოდებოდა შემდგომში პრომკოოპერაციის, მოგვიანებით ლესელიძის ქუჩა, დღეს კოტე აფხაზის ქუჩა, თავისუფლების მოედნიდან სიონის ქუჩის კუთხემდე.

41. სიონის ქუჩა – დღესაც სიონის ქუჩა, ოღონდ მაშინ მოიცავდა, ასევე, ერეკლე II-ის ქუჩასაც.

42. ბნელი რიგები (ბაზაზხანა) – დღეს შარდენის ქუჩა. ბაზაზხანა – ფარჩის, ქსოვილების გასაყიდი ადგილი.

43. თათრის მეიდანი – იგივე მეიდანი, დღეს ვახტანგ გორგასლის მოედანი.

44. გადამცვლელი დუქნები (ზარაფები) – ზარაფ – ზოგადად ძვირფასეულობას ნიშნავდა. ზარაფები ძვირფასეულობის და ფულის გაცვლით იყვნენ დაკავებული.

45. წმ. გიორგის მოედანი – ახლანდელი იერუსალიმის მოედანი.

46. თავადი მაჩაბელი – კრწანისის ბრძოლის ამ გმირის ზუსტი სახელი და გვარი არ არის ცნობილი. მაჩაბელა მისი ზედმეტსახელი იყო და არა ნამდვილი გვარი. არც მისი თავადური წარმოშობა და დაბადების თარიღია დადასტურებული. ბევრი ზედმეტსახელს გვარად მიიჩნევს და, შესაბამისად, თავადურ წარმომავლობას მიაწერს. დანამდვილებით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ქართველი იყო და რომ მაჩაბელა სამეფო დასს ხელმძღვანელობდა. მისი დასი ჯარს ბრძოლაში სიმღერით ამხნევებდა. სხვადასხვა ცნობით, მაჩაბელა დასთან ერთად ბრძოლაში დაღუპულა. სხვა ვერსიით კი, მათი დასი არიერგარდში ედგა მეფე ერეკლე II-ს უკან დახევისას და მასთან ერთად დატოვა ბრძოლის ველი. კრწანისის ბრძოლაში იბრძოდა, ასევე, თავადი დავით მაჩაბელი, თუმცა ორი სხვადასხვა პიროვნებაა.

47. საიათნოვა – არუთინ საიათიანი, დაიბადა ტფილისში 1712 წელს. დედა – ტფილისელი, ხოლო მამა – კილიკიელი სომეხი. თანაბრად კარგად ფლობდა ქართულ, სომხურ, სპარსულ, თურქულ, არაბულ ენებს. ლექსებს და სიმღერებსაც ყველა ამ ენაზე ქმნიდა და ასრულებდა. დაიღუპა 1795 წლის სექტემბერს აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს. დაასაფლავეს ტფილისში სურბ-გევორქის ეკლესიის ეზოში.

48. სურბ-გევორქის ეკლესია – მდებარეობს სამღებროსა და ორპირის ქუჩების კუთხეში. წარმოადგენს საქართველოს სომეხთა ეპარქიის საკათედრო ტაძარს.

49. თარი – სპარსული სიმებიანი, გრძელხემიანი საკრავი, რომელიც მე-18 საუკუნეში დამკვიდრდა საქართველოში და ქართულ კულტურაში.

50. აშუღი – სახალხო ლექსის მთქმელი, მომღერალი. ძირითადად მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა. თუმცა ცნობილი არიან აშუღები, რომლებიც პუპულარობის, საუკეთესო მუსიკის შესრულების და კარგი ხმის გამო, ზოგიერთი თავადის ან მეფის კარზე მკვიდრდებოდნენ. აშუღს, როგორც წესი, რამდენიმე მუსიკალურ საკრავზე შეეძლო დაკვრა.

51. სალამური (რაღაც კლარნეტის მსგავსი), ჩონგური (იგივე ბალალაიკა) და დუმბო (იგივე ლიტავრა) – ასე განმარტავს ქიშმიშევი ქართულ საკრავებს რუსულ ენაზე. ჩვენც ასევე ვთარგმნეთ.

52. ჩარჩები (ჩარჩი) – გადამყიდველები. ამ საქმიანობით ძირითადად კინტოები იყვნენ დაკავებული. ჩარჩებს, როგორც წესი, კონკრეტული მუდმივი სავაჭრო ადგილი არ გააჩნდათ. მათი ვაჭრობის მიზანიც იმავდღიურ მოგებაზე იყო მიმართული.

53. ქორვაჭრობა (ქორვაჭარი) – ქორვაჭარი ჩარჩზე ოდნავ უფრო მაღლა იდგა. მას გააჩნდა მუდმივი სავაჭრო ადგილი, დახლი. ერთდროულად შეიძლებოდა ევაჭრა რამდენიმე ერთმანეთისგან განსხვავებული საქონლით, თუ მასში მოგებას ნახულობდა. მისი ვაჭრობის მიზანი უფრო გრძელვადიან მოგებას უკავშირდებოდა, ვიდრე ჩარჩისა; თუმცა ნამდვილი ვაჭრის სტატუსამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლდა.

54. თამამშევის ქარვასლა – გაბრიელ თამამშევმა უსასყიდლოდ მიიღო სანაგვედ ქცეული ავანაანთ ხევის ნაწილი, იმ პირობით, რომ აქ თეატრს ააშენებდა. პროექტის მიხედვით, იგივე შენობაში იყო გათვალისწინებული და შემდგომ განთავსებული სავაჭ-

რო სივრცეები, მაღაზიები და საწყობები. მშენებლობა დაიწყო 1847 წლის აპრილში და დასრულდა 1851 წელს. მშენებლობას ხელმძღვანელობდა იტალიელი არქიტექტორი ჯოვანი სკუდიერი.

55. გოლოვინის გამზირი – დღეს რუსთაველის გამზირი.

56. რესტორაცია – იგივე ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი დუქანი, რესტორნების წინამორბედი.

57. ამ შენობის მფლობელის შვილი – იგულისხმება ივანე გაბრიელის ძე თამამშევი, რომელიც ქარვასლა-ოპერის მშენებლობაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

58. ტფილისის კრება – Тифлисское собраніе – უმჯობესი იქნებოდა, გვეთარგმნა როგორც ტფილისის საკრებულო, თუმცა ასეთი დაწესებულება რუსულად მოიხსენებოდა როგორც – городское собраніе და ქალაქის მმართველობას წარმოადგენდა.

59. მუხრანსკის სახლი – მდებარეობდა გოლოვინის გამზირისა და გიმნაზიის ქუჩის კუთხეში. დღეს რუსთაველის გამზირისა და ლესია უკრაინკის ქუჩის კუთხე. თვითონ შენობა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს დაანგრიეს.

60. ასონასი, ცხრა, მუშქა შემდგომში გადაკეთებული რამსად – ბანქოს (კარტის) თამაშის სახეობები.

61. კონჩინა – ბანქოს (კარტის) თამაშის სახეობა.

62. რიგის პური – ჩვეულება აღწერილია XII თავში.

63. პუშკინის ქუჩა – ერთ-ერთი იმ მცირე ქუჩებიდან, რომლებსაც დაარსებიდან დღემდე, ყველა სახელმწიფოებრივი წყობილების დროს, შეუნარჩუნდა ერთი და იგივე სახელი.

64. ფეხსადგილი – საპირფარეშო, ტუალეტი.

65. სასულიერო სემინარია – იხ. შენიშვნა 27.

66. იმპერატორი ნიკლოზ I – ნიკოლოზ პავლეს ძე რომანოვი. დაიბადა 1796 წლის 26 ივნისს. გამეფდა 1825 წლის 19 ნოემბერს. წამოიწყო ყირიმის ომი, რომელშიც არასწორად შეაფასა რუსეთის იმპერიის ძალები. გარდაიცვალა 1855 წლის 18 თებერვალს. 1856 წელს მის მემკვიდრეს, ალექსანდრე II-ს მოუწია რუსეთისათვის დამამცირებელ პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულებაზე დათანხმება.

67. გადამწერები (გადამწერი) – თანამდებობა იმპერიის ოფიციალურ დანესებულებებში; გადამწერს არსებული დოკუმენტაციის გამრავლება, ასლის გადაღება, გადაწერა ევალებოდა.

68. იუნკერები (იუნკერი) – თავადური წარმოშობის უნტერ-ოფიცრები, რომელთათვისაც უნტერ-ოფიცრობა წარმომავლობის გამო მიუღებელი იყო, ხოლო ობერ-ოფიცრობას ჯერ არ იმსახურებდნენ. იუნკერებად უმეტეს შემთხვევაში ინერებოდნენ გაღარიბებული არისტოკრატები, რომელთაც უსახსრობის გამო არ შეეძლოთ შესაბამისი სამხედრო განათლების მიღება. მოგვიანებით იუნკერი გაუქმდა როგორც სამხედრო წოდება და მიენიჭათ ზოგადად სამხედრო სასწავლებლის კურსანტებს.

69. კინტო – წვრილმანი მევაჭრე, ჩარჩი, გადამყიდველი. იმთავითვე ცუდი რეპუტაციის მქონე ტფილისური კოლორიტი. ყარაჩოხელისათვის და, ზოგადად, თავმოყვარე ადამიანისთვის კინტოსთან ჩხუბი დამამცირებელი და მიუღებელი იყო, რითაც კინტოები სარგებლობდნენ. ჩვეულებრივი ამბავი იყო მათი მხრიდან ბილწსიტყვაობა და უხამსობა.

70. ბანკი – ერთგვარი თამაში ჯოხებით, რომელიც პრინციპულად განსხვავდება კოჭისგან, თუმცა ქიშმიშევი მათ ერთმანეთს ადარებს.

71. დამტარებლები – ამ შემთხვევაში ერთგვარი კურიერები.

72. ქალაქის საკრებულო – ამ შემთხვევაში იგულისხმება თვითონ შენობა. დღეს, ასევე, ქალაქის საკრებულოს შენობა თავისუფლების მოედანზე.

73. მოხეტიალე სალდათები ყიდდნენ თავიანთი ხელით შეკერილ ქალის ფეხსაცმელს – აღნერილი დროის რუსეთის იმპერიის არმიაში სავალდებულო სამსახური 12 წელს გრძელდებოდა. ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რომ „სალდათი“ ჯარში სამსახურის განმავლობაშივე ოჯახს მოკიდებოდა და თავის სარჩენად რაიმე ხელობაც ესწავლა.

74. არშინი – საზომი ერთეულიც და თვითონ საზომი მოწყობილობაც. 1 არშინი = 71,12 სანტიმეტრს.

75. სახე, რომლითაც დღეს წარმოგვიდგება – იგულისხმება მე-19 საუკუნის 90-იანი წლები.

76. აბანოს კარი – მდებარეობდა დღევანდელი ი. გრიშაშვილის ქუჩის დასაწყისში, ხიდის პირას, რომელიც დაბახანის ხევზე იყო დადებული.

77. კარსიძის დუქანი – მდებარეობდა სომხის ბაზრის 5-ში. დღეს კოტე აფხაზის ქ. 5 მდებარე შენობის ადგილზე. ძველი შენობა არ არის შემორჩენილი. ქართულად გვარი შეიძლება იკითხებოდეს, ასევე, როგორც ქარსიძე ან ყარსიძე.

78. რუსეთის მე-2 ხანძრისგან დამზღვევი საზოგადოება – 1894 წელს აღნიშნული საზოგადოება მდებარეობდა სომხის ბაზრის 4-ში, მანთაშევის კუთვნილ შენობაში. ეს შენობა მცირედი გარეგნული ცვლილებებით დღესაც შემორჩენილია კოტე აფხაზის 4-ში.

79. ფურნე – „пурня“ – ასე უწოდებდნენ ქართულ ტრადიციულ პურის საცხობ თონეს რუსები, წიგნშიც ასევე მოიხსენიება. თუმცა ეს სიტყვა ქართულ ენაში გაცილებით ადრე დამკვიდრდა. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „ფურუნ ლათინთა ენაა“ და ასევე პურის საცხობს ნიშნავდა.

80. სირაჯი – ღვინით მოვაჭრე.

81. იქვე მდებარე დახლები – დახლები ქუჩის მთელ სიგრძეზე, მიჯრით იყო გამოდგმული და რამდენიმე ასეული მეტრის მანძილზე უწყვეტად გრძელდებოდა.

82. ტოლუმბაში – იგივე თამადა. ტოლუმ-ბაში – სუფრის თავი.

83. იახში-იოლ – თურქულად „იახში ოლ“ – „კარგად იყავი“.

სხვა ვერსიით „იოლ“ (იოლი) – ამ შემთხვევაში ჰამქარში დაწესებულ ჯარიმას, ვალს გულისხმობდა. ანუ მოქეიფე ჭიქის ჩამორთმევისას ამბობდა, სასიამოვნოდ დავალებული ვარო, ეს კარგი ვალი არისო, ამ ჯარიმაზე თანხმობას ვაცხადებო და ა. შ.

84. სათლი – იგივე ვედრო.

85. საზანდარი – სპარსულად მუსიკოსს ნიშნავს. ქართულ სიტყვიერებაში, ასევე, თარის, ქამანჩის და დაირისგან (ზოგჯერ დოლის) შემდგარ ტრიოს აღნიშნავდა.

86. მუშტი-კრივი – ეს არ იყო ბრძოლა ორ მოკრივეს შორის, რაიმე წესების დაცვით, ანუ კრივი. გუნდის გუნდზე ბრძოლისას უკონტროლო ქაოსი სუფევდა. ამიტომაც ეწოდა მუშტი-კრივი.

87. ფეთხაინი – დღეს ზემო ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესია. ბეთლემის აღმართის 18.

88. შაჰ-აბასის შემოსევა – სავარაუდოდ, იგულისხმება შაჰ-აბას I-ის 1617 წლის ლაშქრობა.

89. ქვის შენობა გუმბათით – ათეშგა, მაზდეანური (ცეცხლთაყვანისმცემლების) სალოცავი. მდებარეობს გომის ქ. 3-ში.

90. პურის მოედანი – დღეს პურის მოედანი.

91. ფეთხაინის ქუჩა – დღეს ბეთლემის ქუჩა.

92. ბებუთოვის ქუჩა – დღეს ლ. ასათიანის ქუჩა.

93. წმ. არქიდიაკონ სტეფანოზის სახელობის დედათა მონასტერი – დღეს ქვემო ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესია. ბეთლემის აღმართის 3.

94. ხოჯივანქი – ხოჯივანქის მონასტერი და სასაფლაო მდებარეობდა ელიას მთაზე; იქ, სადაც ამჟამად სამების ტაძარია აშენებული. ხოჯივანქი დაანგრიეს საბჭოთა კავშირის დროს, სა-

საფლაო გააუქმეს და გადაასწორეს, მის ადგილას კი 1938 წელს რაიონული პიონერთა სახლი და პარკი მოაწყვეს.

95. აბას-აბადის ქუჩა – აბას-აბადის მოედანი იყო დღევანდელი ლ. გუდიაშვილის მოედანი, ხოლო აბას-აბადის ქუჩა იქვე მდებარე, დღევანდელი კუფტინის ქუჩა.

96. მოღნის ქუჩა – დღეს ახოსპირელის ქუჩა.

97. დიდი მრუდე ქუჩა – დღეს აბო თბილელის ქუჩა.

98. ქურქის რიგები – ეწოდებოდა ახლანდელი კოტე აფხაზის ქუჩის ერთ-ერთ ქვემო ნაწილს.

99. არჩილ მუხრანსკი – არჩილ თეიმურაზის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი. ვრცელი ინფორმაცია არ მოიპოვება. დაიბადა 1824 წელს, გარდაიცვალა 1862 წელს.

100. ბრძოლას იწყებდნენ უქუდოდ – ჯერ ერთი, რომ ქუდის დაკარგვა სირცხვილი იყო; ხოლო შემდგომ, ამ ჟესტით თითქოს პასუხისმგებლობას იხსნიდნენ შემთხვევითი დაზიანებებისთვის, დროებით „ხელს იღებდნენ ნამუსზე“.

101. კონბერგის აფთიაქი – მდებარეობდა დღევანდელი სიონის ქუჩის და ერეკლე II-ის ქუჩის კუთხეში.

102. დახლიდარი – დახლს მიღმა მდგარი გამყიდველი, ხშირად დახლის მფლობელის მიერ დაქირავებული პირი. იშვიათად – თავად დახლის მფლობელი.

103. მუშტი-კრივი თბილისში უძველესი დროიდან იმართებოდა – უტყუარი დამადასტურებელი საბუთები მუშტი-კრივის ტრადიციის სიძველისა არ არსებობს.

104. არქეოგრაფიული კომისია – კავკასიის არქეოგრაფიული კომისია დაფუძნდა 1864 წლის აპრილში ბარონ ალესანდრე პავლეს ძე ნიკოლაის (სოფიო ალესანდრეს ასულ ჭავჭავაძის მეუღლე) პროექტით. კომისიის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ა. ი. ბერჟე. კომისიაში მუშაობდნენ – ქართველი ისტორიკოსი და

არქეოლოგი დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე, ცნობილი ენათმეცნიერი ადოლფ პეტრეს ძე ბერჟე, მირზა ფათალი ახუნდოვი. კომისიის ძირითადი საქმიანობა იყო ძველი და ახალი დოკუმენტების, არქივების, სიგელ-გუჯრების აღრიცხვა, დახარისხება და მათგან მნიშვნელოვანთა ცალკე არქივად გამოყოფა.

105. ციციანოვი – პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი (ციციშვილი) – ქართული თავადური წარმოშობის, რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი. დაიბადა მოსკოვში 1754 წლის 8 სექტემბერს, ანუ საქართველოს რუსეთთან მიერთებამდე დიდი ხნით ადრე. აღიზარდა რუსული ტრადიციებით. 1802 წელს დაინიშნა ასტრახანის სამხედრო გუბერნატორად და საქართველოს მთავარსარდლად. მისი ბრძანებით, საქართველოდან რუსეთში გადაასახლეს მთელი სამეფო საგვარეულო. ეწეოდა ქართველების გარუსების აქტიურ პოლიტიკას. ნაპოლეონთან ომის გამო იმპერიას არ ჰყოფნიდა სამხედრო ძალები. ამიტომ 1803 წელს ციციანოვმა ადგილობრივ მოხალისეთაგან შეკრიბა 4500 კაციანი ჯარი. 1804 წელს შტურმით აიღო და რუსეთს დაუმორჩილა განჯის ციხესიმაგრე, რისთვისაც ინფანტერიის გენერლის წოდება უბოძეს. იმავე წელს დაიმორჩილა შირვანის სახანო. დაიღუპა 1806 წლის 8 თებერვალს ბაქოს აღებისას. დაკრძალეს ტფილისის სიონის ტაძარში.

106. ძველი საბაჟო – მდებარეობდა ახლანდელი ვეზიროვის და ბერძენის ქუჩებს შორის.

107. ადგილობრივი რაზმის ყაზარმა – ტფილისის საზღვრების ზრდასთან ერთად საბაჟო გადაიტანეს და გამოთავისუფლებული შენობა დაეთმო ადგილობრივ საგუშაგო რაზმს.

108. სხრატლი – ჩვენ ვერ დავადგინეთ, ზუსტად რას გულისხმობს ქიშმიშევი. მაგრამ ტექსტის ორიგინალში ზუსტად ასეა მოხსენიებული – „схратли". ხოლო აღწერილი ცხენოსნობის სახეობა ცნობილია როგორც – ისინდი, რომელიც ასევე „ჯირითის" სახელწოდებით იყო ცნობილი.

109. ვერცხლის თასი რჩებოდა მხედარს, რომელიც მას ჩამოაგდებდა მინაში ჩასმული მაღალი ბოძის თავიდან – ცხენოსნობის აღწერილი სახეობა ცნობილია როგორც ყაბახი და არა როგორც ჯირითი.

110. მუშტაიდის ბაღს მიღმა – უფრო ზუსტად დიდუბის იპოდრომი მდებარეობდა დღევანდელი კედიას და სტანისლავსკის ქუჩებს შორის. იპოდრომი, მართლაც, ვორონცოვის ინიციატივით დაარსდა და ფუნქციონირებდა XX ს-ის 50-იანი წლების ბოლომდე. მეორე იპოდრომი ტფილისში 1850 წელს, ნავთლუღის დრაგუნთა პოლკის მიმდებარე მინდორზე გაიხსნა.

111. თუშის გამარჯვება – როგორც 1846 წლის 20 აპრილის №16 გაზეთი „კავკაზი" იუწყება, გამარჯვება წილად ხვდა კავკასიის სახაზო ლაშქრის კაზაკს, ხოლო თუშმა მხედარმა მეორე ადგილი დაიკავა და ჯილდოდ 100 ვერცხლის მანეთი მიიღო.

112. ცხენსაშენების მთავარი სახელმწიფო სამმართველო – დაარსდა იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანებით 1843 წლის 10 აპრილს, პეტერბურგში. სამმართველო ხელმძღვანელობდა სახელმწიფო და კერძო ცხენსაშენებს, ასევე საგუბერნიო რბოლებსა და საზოგადოებებს.

113. ტფილისის რბოლების საზოგადოება – დაარსდა 1886 წლის 7 მაისს. მდებარეობდა ნავთლუღში ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ერთ-ერთ შენობაში.

114. გენერალი თ. – იგულისხმება გენერალ-მაიორი ვასილი მიხეილის ძე თამამშევი, რომელიც 1910 წელს აირჩიეს აღნიშნული საზოგადოების სამმართველოს საპატიო წევრად.

115. ტფილისის ცხენსაშენი ქარხანა – მდებარეობდა იქვე, სადაც ტფილისის იპოდრომი დიდუბეში. ეკუთვნოდა ალექსანდრე ივანეს ძე მანთაშევს.

116. იორდანეს დღესასწაული – იგივე ნათლისღება. ახალი სტილით 19 იანვარს აღინიშნება.

117. ღვინის მცირე აღმართი – იგულისხმება ღვინის რიგები, იგივე სირაჯხანა. სირაჯხანა მდებარეობდა დღევანდელი კოტე აფხაზის ქუჩის ქვემო ნაწილში, სიონის ქუჩის ქვემო კუთხიდან მეიდნამდე.

118. ავლაბრის პირველი ხიდი – იგივე მეიდნის ხიდი, იგივე ვირის ხიდი, რომელიც XX ს-ის 50-იან წლებამდე შემორჩა.

119. რიყის ქუჩა – გადიოდა ახლანდელი ბარათაშვილის აღმართის კლდის ძირში, რიყეზე.

120. სახაზინო თეატრი – ასე იწოდებოდა დღევანდელი ოპერისა და ბალეტის შენობა რუსთაველის გამზირზე. მიუხედავად იმისა, რომ აქედან სანაპირომდე შორია, ქიშმიშევი ორიენტირად მაინც მას არჩევს.

121. არც ისე შორს სანაპიროდან – იგულისხმება ტერიტორია დღევანდელ რომის ქუჩასა და ზაარბრიუკენის მოედანს შორის.

122. ვარლამოვების სახლი – სახლი მდებარეობდა დღევანდელი უზნაძის ქუჩის დასაწყიში, ხოლო სამხერხაოები – ჭოროხისა და უზნაძის ქუჩების გადაკვეთაზე ორივე მხარეს.

123. საოლქო საინჟინრო სამმართველოს შენობა – მდებარეობდა ბარიატინსკის, შემდგომში ჯორჯიაშვილის, ქუჩაზე. დღეს გ. ჭანტურიას ქუჩის 14-ში.

124. ალექსანდრეს ბაღი – შემდგომში კომუნარების, დღეს 9 აპრილის ბაღი.

125. ვართანოვის წისქვილი – ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა ვერ მოხერხდა. ქიშმიშევის აღწერიდან გამომდინარე, უნდა მდგარიყო მშრალ ხიდსა და ბროსეს ქუჩებს შორის.

126. მიხეილის ხიდი – ზოგჯერ მას ნიკოლოზის ხიდადაც მოიხსენიებდნენ, შემდგომში კარლ მარქსის, ახლანდელი ზაარბრუკენის ხიდი.

127. იქ, სადაც ახლაც იმართება – ს. ქიშმიშევის თანამედროვედ, ანუ XIX ს-ის ბოლოსთვის, მართლმადიდებლური წყალკურთხევა იმართებოდა დღევანდელი უზნაძის ქუჩის დასაწყისში, მტკვრის ნაპირზე. ხოლო სომხური სამოციქულო (გრიგორიანული) ეკლესიის წყალკურთხევა – მადათოვის კუნძულის სამხრეთ ნაწილში, დღევანდელი იუსტიციის სახლის ტერიტორიაზე.

128. მაკლერი (დალალი) – საქმიანი გარიგებების შუამავლები, მომრიგებლები.

129. მორფეესი – სიზმრების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

130. ნორაშენის ქუჩა – შემდგომში ჰაზირას, ახლა ხანძთელის ქუჩა.

131. ქორწილები უწინ დიდი ზარზეიმით ტარდებოდა – ქიშმიშევი ტფილისის სომხური მოსახლეობის ტრადიციების მიხედვით აღწერს ქორწილს. თუმცა ზოგადად ტფილისური ტრადიციები, მიუხედავად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ახლოს იდგა ერთმანეთთან.

132. სუზანი – ერთგვარი გრძელი ჭრელი ნაჭერი, საღებავით დატანილი ორნამენტით. ძირითადად გამოიყენებოდა ტახტის გადასაფარებლად.

133. პატრიარქის მიტრა – სასულიერო პირის ერთგვარი ლიტურგიკული თავსაბურავი.

134. ჯვრისწერის მამობილი – „посажёный отец" ძველი რუსული ტრადიცია, რომელიც, როგორც ჩანს, ამ დროისთვის თბილისშიც იყო ფეხმოკიდებული. ამ ტრადიციის მიხედვით, ქორწილში ყველაზე საპატიო პირი ინიშნებოდა „მამობილად" და უძღვებოდა მთელ ცერემონიალს.

135. წირთხლი – კარების, ფანჯრის, ან კედელში ჩაყოლებული სხვა ღიობის გვერდითი ნაწილი.

136. ძირითადად ქართული სიმღერები – მიუხედავად სომხური საქორწინო ტრადიციის აღწერისა, ქიშმიშევი ხაზგასმით აღნიშ-

ნავს, რომ უმეტესწილად ასეთ წვეულებებზე ქართული სიმღერები ისმოდა.

137. ზამთრის წინასადღესასწაულო დღეები – იგულისხმება შობის მარხვის შემდგომ, ახალი წელი და ნათლისღების დღესასწაული.

138. ამფიტრიონი – ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი. გადატანითი მნიშვნელობით იგულისხმება სტუმრების მიღების მოყვარული პიროვნება.

139. სათარ-აღა – წარმოშობით აზერბაიჯანელი მომღერალი-საზანდარი. ძირითადად ასრულებდა აზერბაიჯანულ და სპარსულ სიმღერებს. დაიბადა ირანის პროვინციაში, სამხრეთ აზერბაიჯანის ქალაქ არდაბილში XIX ს-ის 20-იან წლებში. 1844 წელს გაემგზავრა ნახიჩევანში, სადაც გაიცნო ნიკოლოზ ბარათაშვილი. 1845 წელს სათარი გადმოვიდა ტფილისში, ხოლო ბარათაშვილი გაგზავნეს განჯაში. ბარათაშვილმა სათარისთვის რამდენიმე სპარსული ლექსი თარგმნა ქართულად, რომელთაც სათარი ასრულებდა უკვე ტფილისში ყოფნის დროს. სათარის შემდგომი ბედი უცნობია. როგორც ჩანს, ის ტფილისში გარდაიცვალა და აქვე დაკრძალეს. სათარი არაერთ პოეტსა და ავტორს ჰყავს მოხსენიებული თავის ნაწარმოებში. რუსმა პოეტმა იაკობ პოლონსკიმ მას ლექსიც მიუძღვნა.

140. ორთაჭალის ბაღები – კუნძული ბაღებით მდებარეობდა დღევანდელი გ. გულუას ქუჩასა და მტკვარს შორის.

141. კრწანისის ბაღები – მდებარეობდა დღევანდელი კრწანისის ქუჩის გაყოლებაზე ორივე მხარეს.

142. ასეთი ლოთობა დაუსჯელი რჩებოდა – იგულისხმება, რომ მსმელთა ორგანიზმი ადვილად იტანდა უზომო სმას.

143. დელაპორტი – აბატი ჟოზეფ დე ლა პორტი (1713–1779). იეზუიტი სასულიერო პირი, რომელმაც ტფილისში იმოგზაურა 1760 წელს. გამორჩეულად ცნობილია მისი 27-ტომიანი ნაშრომი „ფრანგი მოგზაური, ანუ ძველი და ახალი მსოფლიოს შეცნობა“, რომელშიც აღწერილი აქვს თავისი მოგზაურობა.

144. asilum – სწორი ფორმაა asylum. ანტიკურ ხანაში ასილიუმი რაიმე საფრთხისგან თავშესაფარს ნიშნავდა. XIX ს-ში მან უბრალოდ განმარტოების, ცალკე გასვლის მნიშვნელობა შეიძინა.

145. ერეკლეს აბანოებიდან აღმართი – დღეს ი. გრიშაშვილის ქუჩის დასაწყისი, აბანოს ქუჩის მხრიდან.

146. სურბ-სარქისის ქუჩა – დღეს ი. გრიშაშვილის ქუჩა.

147. სურბ-სარქისის ეკლესია – ააშენეს 1737 წელს. დაანგრიეს 1937-39 წლებში. მდებარეობდა დღევანდელი ი. გრიშაშვილის 32-ში.

148. სურბ-სარქისი – წმინდა სარქისი. სომხური სამოციქულო (გრიგორიანული) ეკლესიის წმინდანი. მისი დღესასწაული აღინიშნება აღდგომამდე 9 კვირით ადრე. შესაბამისად, დღესასწაული მოძრავია. რწმენის მიხედვით, ამ ღამეს წმინდა სარქისი ცხენით ჩამოიქროლებს დედამიწაზე და შემოივლის ყველა ოჯახს. სომხური სამოციქულო (გრიგორიანული) ეკლესიის მრევლი სახლის გარეთ, კარების ზღურბლზე, ფანჯრის რაფაზე, აივანზე ტოვებს მოხალული ხორბლის ფქვილით საცხე ჯამს. დილით თუ ფქვილზე ნალის კვალი დახვდებათ, ნიშნავს, რომ ოჯახს იმ წელს ბედნიერება ელის, განსაკუთრებით მის ახალგაზრდა დასაოჯახებელ წევრებს, შეყვარებულ წყვილებს. ამ დღესთან არის დაკავშირებული ის რწმენაც, რომ წმინდა სარქისის გაჭენებული ცხენი ქარბუქს აყენებს და ამის გამო, დღესასწაულის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში განსაკუთრებით ქარიანი და ცივი ამინდებია მოსალოდნელი.

149. ხიდირ-ნაბე – ხიზირ-ნაბი. ალაჰის ერთ-ერთი მოციქული. იგი ალაჰმა ცხენიანად აღამაღლა ზეცაში და მე-4 ცაზე დაამკვიდრა. ხიზირ-ნაბის ხსენების დღე ძირითადად თებერვლის პირველ ხუთშაბათს აღინიშნება, თუმცა ყოველთვის არ ემთხვევა სურბ-სარქისის ხსენების დღეს. მას დიდ პატივს მიაგებენ ეზიდიზმშიც.

ხიზირ-ნაბიც და წმინდა სარქისიც, ორივე შეყვარებულების მფარველია. ორივე ცხენით ჩამოიქროლებს მორწმუნეთა ოჯახებს; ორივეს, ამ ორი განსხვავებული რელიგიის მიმდევრები სახლს გარეთ გამოდგმული, მოხალული ხორბლის ფქვილით სავსე ჯამებით ეგებებიან და მასზე ცხენის ნალის გამოსახულებას ელოდებიან. ორივე დღე თითქმის ერთსა და იმავე დროს აღინიშნება და ზოგჯერ ემთხვევა.

მიუხედავად თაყვანისცემის ტრადიციისა და ფორმების მსგავსებისა, ხიზირ-ნაბის და წმინდა სარქისის ცხოვრება და ისტორია განსხვავებულია. შესაბამისად, ამ ორი წმინდანის გაიგივება არ შეიძლება.

150. წუმი – სომხურად: მარხვა.

151. გამანაწილებელი საგუშაგო – მდებარეობდა ვორონცოვის, დღევანდელი ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე, ი. გრიშაშვილს ქუჩის კუთხის მოპირდაპირე მხარეს მტკვრის ნაპირთან. გამანაწილებელი საგუშაგო ითავსებდა საფოსტო, საგუშაგო და სამოგზაურო მეგზურის ფუნქციებს იმ რეგიონებთან დასაკავშირებლად, სადაც მიმოსვლას, პირველ რიგში, ართულებდა სიცოცხლისთვის საშიში საფრთხეები.

152. ღამის გმირები – წერილმანი ქურდები, თაღლითები, ჩხუბისთავები.

153. ძველი საბაჟოს საწყობები – იხ. განმარტება 106.

154. კლდოვანი ბილიკი კრწანისისკენ – დღეს ბევრეთის ქუჩა.

155. პრიმიტიული ხერხებით აშენებული ხიდი – იგულისხმება ე. წ. დროებითი ვირის ხიდი, რომელიც ორთაჭალის ბაღებში გადადიოდა.

156. სეიდაბადის ბაღები – სეიდაბადი ისტორიულად ეწოდებოდა ტფილისის სამხრეთ გარეუბანს, ქალაქის გალავნის გარეთ. დღევანდელი გრიშაშვილის ქუჩასა და თაბორის მთას შორის, სადაც შაჰ-სეიფმა XVII ს-ში სეიდების ტომები ჩამოასახლა.

157. დაბახანა – ვორონცოვის ქუჩის გაყვანის შემდეგ, დაბახანა ენოდებოდა ნანილს ვორონცოვის ქუჩასა და მტკვარს შორის, ვორონცოვის ქუჩის მთელ სიგრძეზე. დაბახანა – მედაბაღეთა, ტყავის დამამუშავებელთა უბანს ნიშნავს.

158. ადელხანოვი – გრიგორი გრიგორის ძე ადელხანოვი. დაიბადა მოსკოვში 1848 წელს. საზღვარგარეთ განათლების მიღების შემდეგ, რუსეთის სახელმწიფო ბანკის გადაწყვეტილებით, იგზავნება ტფილისში ამავე ბანკის ტფილისის ფილიალის კონტროლიორად. 1972 წელს (24 წლისა) ინიშნება ტფილისის Общество Взаимного Кредита-ს მმართველად. 1975 წელს მელიქოვისგან შეძენილ შენობაში ხსნის ტყავის პირველ გადამამუშავებელ სანარმოს, რომელმაც ერთიანად გააკოტრა მანამდე ამ უბანში არსებული ტყავის გადამამუშავებელი წვრილი სახელოსნოები. 1879 წელს, მისი საიმპერატორო უდიდებულესობის, დიდი თავადის, მიხეილ ნიკოლოზის ძის გადაწყვეტილებით, რომელიც ამ დროს კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის არმიის მთავარსარდალი იყო, ადელხანოვის საწარმომ მიიღო არმიის ფეხსაცმლით მომარაგების 5-წლიანი შეკვეთა. 1889 წელს ტყავის საამქროდან ოდნავ მოშორებით ადელხანოვი ხსნის მაუდის პირველ ფაბრიკას ამიერკავკასიის რეგიონში და იღებს კიდევ უფრო დიდ შეკვეთას არმიისგან. ამიერკავკასიის ოლქისადმი დამსახურებებისათვის მიენიჭა კომერციული მრჩევლის წოდება. გარდაიცვალა 1917 წელს ტფილისში.

159. ადელხანოვის ტყავის გადამამუშავებელი ქარხანა – მდებარეობდა მნაცაკანოვის ხიდის დასაწყისში. დღეს გორგასლისა და გ. გულუას ქუჩების გასაყარზე მდებარე მოედნის შუაგულში.

160. საქართველოს ეგზარქოსის ყოფილი საზაფხულო რეზიდენცია – სომხური სამოციქულო (გრიგორიანული) ეკლესიის ეგზარქოსის საზაფხულო რეზიდენცია მდებარეობდა ახლანდელი ი. გრიშაშვილის 56-ის მიმდებარე ტერიტორიაზე.

161. რომლებმაც უხსოვარი დროიდან დაიდეს ბინა – მაჰმადიანები თბილისში ჯერ კიდევ 655 წელს გამოჩნდნენ. სტეფანოზ II ერისმთავრის და არაბი სარდლის ჰაბიბ იბნ მასლამას შეთანხმებით, არაბებს უფლება ჰქონდათ, სურვილის შემთხვევაში დასახლებულიყვნენ იბერიაში და ტფილისში. არაბები ძირითადად ჰისანში, სახლდებოდნენ, ხოლო ქალაქის ის ნაწილი, რომლის შესახებაც ქიშმიშევი საუბრობს, XVII ს-ის მეორე ნახევარში დასახლდა სპარსეთიდან შაჰ-სეიფის მიერ ჩამოსახლებული სეიდებით.

162. ხარფუხი – ხარფუხი სომხურად სურდოს ნიშნავს. მაჰმადიანური სასაფლაოს სიახლოვეს, თაბორის მთის ძირში, ახლანდელი მირზა-შეფის ქუჩის ბოლოში, საკულტო ქვა იყო. დიდი ლოდი, რომელიც, რწმენის თანახმად, სურდოს ან ყივანახველას კურნავდა ბავშვებში. ეს სახელი შემდგომში მთლიანად უბანს დაერქვა. დღეისთვის აღნიშნულ ტერიტორიაზე უკონტროლო მშენებლობის გამო, აღნიშნული ქვა, რომლის სახელიც თბილისის ერთ-ერთი უბნის ტოპონიმიკას დაედო საფუძვლად, დაკარგულია.

163. მიხვეულ-მოხვეული ბილიკი – ეს ბილიკი დღესაც მიუყვება ნარიყალის კედელს ბოტანიკური ბაღის შესასვლელიდან, ციხესიმაგრის კარიბჭემდე.

164. თათრის მეიდნიდან ამომავალი, მრუდე, ციცაბო ქუჩა – დღეს აღმართი ორპირის ქუჩიდან ნარიყალის კარიბჭემდე.

165. მამუკა ორბელიანი – მამუკა (მაკარ) თომას ძე ორბელიანი. რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. დაიბადა 1800 წელს, სავარაუდოდ, ტფილისში. სამხედრო კარიერის დასრულების შემდეგ ცხოვრობდა ტფილისში, სადაც გარდაიცვალა 1871 წლის 29 ოქტომბერს.

166. ციხის აბანო – იგივე ორბელიანების აბანო. დღეს ჭრელი აბანოს სახელით არის ცნობილი. ზუსტად აქ ნახსენები განახლების

ზოგ შემთხვევაში ცოტა ადრეულ, ან ცოტა გვიან პერიოდსაც ეხება, მაგრამ მოქმედებების ძირითადი ნაწილი მაინც 1845-1853 წლებით შემოიფარგლება. წიგნში მოყვანილი ფაქტების გადასამოწმებლად, ძირითად წყაროდ მითითებული პერიოდის გაზეთი „Кавказ"-ი გამოვიყენეთ.

ს. ქიშმიშევი მის მიერ აღწერილი პერიოდის დასაწყისისთვის უკვე 12 წლის უნდა ყოფილიყო. მის მონათხრობში ცოტაა უზუსტობა და ისიც ისეთი, რომელიც რეალურ სურათს არ ამახინჯებს. პეტერბურგში სწავლის გასაგრძელებლად წასულ ავტორს, სავარაუდოდ, 1847 წელს უნდა დაეტოვებინა ტფილისი. უკან კი 1850 წელს დაბრუნდა. შესაბამისად, მის მონათხრობში აღნიშნულ 2-3 წელიწადში განვითარებული მოვლენები ან არ არის აღწერილი (მაგალითად, 1847 წლის სოლოლაკის ჯებირის გარღვევა) ან სხვების გადმოცემებს ეყრდნობა.

ა. ქიშმიშევი ვორონცოვის მეფისნაცვლად დანიშვნის დროისთვის მხოლოდ 2 წლის იყო. მისი გამგზავრების დროისთვის კი – 10-ის. შესაბამისად, მისი მონათხრობი ხშირად სიზუსტეს არის მოკლებული. მაგალითად (წიგნში მოცემული თანმიმდევრობის მიხედვით) – კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი გაიხსნა 1840 წელს გოლოვინის მთავარმართებლობის დროს, რასაც ა. ქიშმიშევი ვორონცოვის დამსახურებებს მიაწერს; 1847 წელს მომხდარი სოლოლაკის ჯებირის ჩამოქცევა, მისივე თქმით, „50-იანი წლების დასაწყისში" მომხდარა; დ. ი. ბებუთოვი, რომელმაც ტფილისი ჯერ კიდევ 1835 წელს დატოვა, ტფილისელ მოკრივეთა შორის მოიხსენიება არჩილ მუხრანელის გვერდით; ავტორი ერთმანეთში ურევს დომინიკანელ და კაპუცინელ ბერებს; ერევა ყაბაყი და ყაბახი.

ასევე საგულისხმოა რამდენიმე ფაქტი – ს. ქიშმიშევის „40-იანი წლების ტფილისი" პირველად დაიბეჭდა 1894 წელს, გაზეთ „Кавказ"-ის 52, 60, 64 ნომრებში. ხოლო ცალკე წიგნად იმავე წლის ბოლოს გამოიცა. ა. ქიშმიშევის „პირადი მოგონებე-

შემდეგ მიიღო მან შესასვლელის ისრული თაღი და ფერადოვანი მოპირკეთება.

167. ერეკლეს აბანო – გრიშაშვილის და აბანოს ქუჩების კუთხეში არსებული აბანო.

168. სუნიტი – ისლამის ერთ-ერთი განშტოების „სუნიზმის" მიმდევარი.

169. ლერმონტოვის ქუჩა – იხ. განმარტება 5.

170. სასტუმრო „ლონდონი" – აშენდა 1883-85 წლებში მადათოვის და ხიდის ქუჩების კუთხეში. სასტუმრო მოქმედებდა 1921 წელს საბჭოთა არმიის შემოსვლამდე. შენობა დღესაც დგას ათონელის ქ. 31-ში.

171. კუკიის ღვთისმშობლის სომხური ეკლესია – ააშენეს 1807 წელს ძველი ეკლესიის ნანგრევებზე. მდებარეობდა ვორონცოვის, შემდგომ მარქსის, დღეს ზაარბრუკენის მოედნის 2-ში მდგარი შენობის ადგილზე. დაანგრიეს XX ს-ის 20-იან წლებში, მოედნის გაგანიერებასთან დაკავშირებით.

172. რეალური სასწავლებელი – მდებარეობდა მიხეილის ქუჩის დასაწყისში (დღეს დავით აღმაშენებლის გამზირი) მდებარე გერმანელების, ე. წ. ნემცების ქუჩაზე, ამჟამად კიევის ქუჩა 4-ში.

173. ამ ბაღებში ვინმეს დროშკით გაევლა – გერმანელი კოლონისტების დასახლების მთავარი ქუჩა იყო დღევანდელი აღმაშენებლის გამზირის უმეტესი ნაწილი კიევის ქუჩიდან მუშტაიდის ბაღამდე. ჩვეული სიწყნარის გამო ამ ქუჩაზე ჯირითი და ხმაური თავზეხელაღებულობად ითვლებოდა. მოგვიანებით ეს ადგილი განაშენიანდა და ქუჩას მიხეილის სახელი ეწოდა. შემდგომში პლეხანოვის სახელს ატარებდა. დღეს დავით აღმაშენებლის გამზირია.

174. რკინით გადახურული სახლები – იმ დროისთვის საუკეთესო წყალგაუმტარი საღებავი რკინის სახურავისთვის იყო მუქი

წითელი, მოყავისფრო ტყვიის ოქსიდი, ე. წ. სურიკი. წყალგაუმტარობა, პირველ რიგში, თავად რკინის სახურავს იცავდა უანგისგან.

175. ზემოდან დიდი ფანჯრით – ამ ე. წ. ფანჯარას საკვამურის დანიშნულებაც ჰქონდა და თან სინათლესაც ატარებდა ოთახში.

176. მუნტოევი და შერმაზანოვი – ორივე გვარი მოხსენიებულია 1859 წლის „პირველი რანგის მოქალაქეთა სიაში“. შერმაზანოვის დარბაზი მდებარეობდა დღევანდელი ლერმონტოვის ქუჩის 4 ნომერში. ძველი დარბაზული შენობა არ არის შემორჩენილი. მუნტოევის დარბაზი მდებარეობდა ველიამინოვის (შ. დადიანის) ქუჩაზე, ლერმონტოვის ქუჩასა და სომხის ბაზარს (აფხაზის ქ.) შორის ძველი ქალაქის კედლის შიგნით. უფრო ზუსტი მდებარეობა უცნობია.

177. თელეთის მთები – თელეთის ქედი, იგივე შავნაბადას ქედი.

178. კრწანისიდან ამომავალი გზა – იხ. განმარტება 154.

179. კეთილშობილ ქალთა პანსიონი – იგივე კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი. გაიხსნა 1840 წლის 23 მარტს. მიუხედავად ამისა, ა. ქიშმიშევი აღნიშნული სასწავლებლის გახსნას ვორონცოვს მიაწერს, რომელიც მოგვიანებით დაინიშნა მეფისნაცვლად. მიიღებოდნენ გოგონები 12 წელს ზევით. თავიდან მდებარეობდა ერმოლოვის და პეტრე დიდის ქუჩების კუთხეში (დღეს ჩიტაძის და ინგოროყვას ქუჩები). 90-იან წლებში გადავიდა ახლად აშენებულ შენობაში, ერმოლოვისა და ახალ ბებუთოვის ქუჩების კუთხეში (დღეს ჩიტაძისა და ბერიძის ქუჩები). ამჟამად ამ შენობაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროა განთავსებული.

180. ტფილისის წმინდა ნინოს სასწავლებელი – გაიხსნა 1846 წლის 5 მაისს, მეფისნაცვლის მეუღლის, ელისაბედ ქსავიერის ასულ ვორონცოვას ინიციატივით. მიიღებოდნენ გოგონები 8-დან 12-წლამდე. სრული პანსიონის (მუდმივად სასწავლებელში ყოფ-

ნა) წლიური ღირებულება იყო 80 მანეთი ვერცხლით, ხოლო ნახევარი პანსიონი (სასწავლებელში მხოლოდ დღის განმავლობაში ყოფნა) – წლიური 40 მანეთი ვერცხლით. 1883 წლის 2 ოქტომბერს იმავე ადგილზე გაიხსნა იგივე სასწავლებლის ახალი შენობა. მდებარეობდა დღევანდელი 47-ე სკოლის ადგილზე ერმოლოვის (დღეს ჩიტაძის) ქუჩაზე.

181. საფუძველი ჩაეყარა პერიოდიკის ბეჭდვას – პერიოდიკა ტფილისში მანამდეც იბეჭდებოდა. თუმცა ვორონცოვის დამსახურებაა ისეთი პერიოდული გამოცემა, როგორიც იყო რუსულენოვანი „კავკაზი". რომლის გამოცემაც დაიწყო 1846 წელს და დიდი პოპულარობით სარგებლობდა სხვა გამოცემებთან შედარებით.

182. რუსული თეატრი – გაიხსნა 1845 წლის 20 სექტემბერს. თეატრს ხელმძღვანელობდა გ. იაცენკო. თეატრის დირექციაში შედიოდა პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე.

183. იტალიური ოპერა – ბარბიერის დასმა პირველი წარმოდგენა გამართა 1851 წლის 9 ნოემბერს, თამამშევის ახლადაშენებულ ქარვასლა-ოპერის შენობაში.

184. საზოგადოებრივი მზრუნველობის უწყება – წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის ორგანოს. განაგებდა სკოლებს, საავადმყოფოებს, ობოლთა თავშესაფრებს და დაბალი კლასისთვის განკუთვნილ სხვა დაწესებულებებს. მათ განკარგულებაში შედიოდა ე. წ. „გამოსასწორებელი" ჩაკეტილი დაწესებულებები (რაღაც ციხისმაგვარი), სადაც მათხოვართა და უსახლკაროთა გარდა ურჩ ყმებსაც ათავსებდნენ. მდებარეობდა ატამანის (შემდგომ ლორის-მელიქოვის, დღეს გუდიაშვილის) ქუჩაზე. იქ, სადაც დღეს საჯარო ბიბლიოთეკის შენობა მდებარეობს.

185. განოვის, სერგიევის, პასკევიჩის, რტიშჩევის ქუჩები – შესაბამისად, დღეს: გ. ტაბიძის, ი. მაჩაბლის, გ. ქიქოძის, პ. იაშვილის ქუჩები.

186. იაბლოჩკინი – ალექსანდრე ალექსანდრეს ძე იაბლოჩკინი. დაიბადა 1821 წლის 4 (16) ნოემბერს. 1841-1846 წლებში სანკტ-პეტერბურგის „ალექსანდრინსკის" (ა. ს. პუშკინის სახელობის) თეატრის მსახიობი. 1846-1851 წლებში ხელმძღვანელობდა ტფილისის რუსული თეატრის დასს. იყო მთავარი რეჟისორი. 1851 წელს დაბრუნდა „ალექსანდრინსკის" თეატრში როგორც მთავარი რეჟისორი. გარდაიცვალა 1895 წლის 31 ოქტომბერს სანკტ-პეტერბურგში.

187. ანტრეპრიზა – თეატრალური ნარმოდგენა, რომელსაც თეატრის მუდმივი დასისგან განსხვავებით, მოწვეული მსახიობების მონაწილეობით დგამენ. ანტრეპრიზერი შეიძლება ერთი მოწვეული მსახიობიც ყოფილიყო, რომელიც თეატრის ძირითად დასთან ერთად მონაწილეობდა დადგმაში როგორც მთავარი როლის შემსრულებელი.

188. სოლოლაკის ჯებირის გარღვევა – 1847 წლის 4 ივნისს საღამოს 9 საათზე მოსულმა ძლიერმა წვიმამ და სოლოლაკის მიმდებარე ფერდობებიდან მოვარდნილმა ნიაღვარმა თითქმის მთლიანად დაანგრია აღნიშნული უბნის ფიცრული სახლები. დაიღუპა 3 ადამიანი. ვორონცოვის ბრძანებით ახლადაშენებულმა სოლოლაკის მინისქვეშა კოლექტორმა, რომელიც არ იყო გათვლილი ამ რაოდენობის წყალზე, ვერ მოახერხა წყლის გატარება და ჩამოიქცა. ქუჩები რამდენიმე დღის განმავლობაში გაუვალი იყო მოტანილი ტალახისა და ნანგრევების გამო. ა. ქიშმიშევი არასწორად ასახელებს თარიღს.

189. ნიკოლოზის ხიდი – იხ. განმარტება 126.

190. ვორონცოვის ძეგლი – ძეგლი დაიდგა ქართველი თავადაზნაურობის მოწადინებითა და შეგროვებული ფულით. ძეგლი მთლიანად ბრინჯაოში ჩამოასხეს სანკტ-პეტერბურგში 1866 წელს და ამავე წლის 25 მარტს აღიმართა მიხეილის ქუჩის დასაწყისში მდებარე მოედანზე. შემდგომში ამ მოედანს ვორონცოვის მოედანი ეწოდა (დღეს ზაარბრიუკენის მოედანი). ძეგლი აიღეს

1920 წელს, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის განკარგულებით, როგორც რუსეთის საქართველოზე ბატონობის სიმბოლო.

191. შაითან-ბაზარი – იმდროინდელი ტფილისის ცენტრალური ბაზარი. იმართებოდა მეიდანზე. ამბობდნენ, აქ ყველაფრის შეძენა შეიძლება, რასაც ისურვებო, ამიტომაც შეერქვა – შაითან-ბაზარი (ანუ ჯადოქრული ბაზარი).

192. საბაჟო ზემო ნაწილიდან გადაიტანეს ქვემო ნაწილში – ძველი საბაჟო მდებარეობდა ახლანდელი ვეზიროვის და ბერძენის ქუჩებს შორის. უფრო ქვემოთ, მელიქოვის კუთვნილ შენობაში მისი გადატანის მიუხედავად, ძველ შენობაში ისევ რჩებოდა საბაჟო საწყობი მანამ, სანამ აქ XIX ს-ის 70-იან წლებში ადგილობრივი რაზმი არ ჩააყენეს.

193. თავადი მელიქოვი – ლევან ივანეს ძე მელიქოვი (მელიქიშვილი, დედით მაღალაშვილი) – დაიბადა 1817 წლის 14 ოქტომბერს. რუსეთის არმიის ოფიცერი. 1869 წელს მიენიჭა კავალერიის გენერლის წოდება. გარდაიცვალა 1892 წლის 23 თებერვალს. დაკრძალულია მამადავითის ეკლესიაში.

194. მნაცაკანოვის ხიდი – მნაცაკანოვმა, ხიდი ვორონცოვის დავალებით ააშენა. გადმოცემის თანახმად, მან ხიდი ქალაქს საჩუქრად გადასცა. თუმცა, როგორც ჩანს, ეს დიდი სიხარულით არ გაუკეთებია. რადგან მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება ყველაფერს ამ ხიდის საფასურით ზომავდა, რომლის მშენებლობაც 25 ათასი მანეთი დაუჯდა. თავის ოჯახს სულ იმას ახსენებდა – ყოველწლიურად თქვენი შენახვა ნახევარი ხიდის ფასი მიჯდებაო.

195. გამოწეულია ქუჩის ძირითადი ხაზიდან – დღევანდელი გ. ქიქოძის ქუჩის 2 და 4 ნომერი შენობები.

196. ევანგული – ეროვნებით სომეხი მომღერალი-საზანდარი. ცნობილია, რომ ის ტფილისში დაიბადა და გაიზარდა. კარგად ფლობდა ქართულს და სიმღერებს ძირითადად ქართულ ენაზე

ასრულებდა. მღეროდა სომხურ და სპარსულ ენებზეც. სხვა ცნობები ევანგულის შესახებ არ მოიპოვება.

197. ორბელიანი, ჭავჭავაძე, ერისთავი – გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი. ნაკლებ სავარაუდოა, რომ აღნიშნული პოეტები ევანგულისთვის წერდნენ ლექსებს, ვფიქრობ, ევანგული თვითნებურად იყენებდა მათ ლექსებს.

198. მე-5, მე-6 და მე-7 საპოლიციო უბნები – მე-5 საპოლიციო უბანი მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ველიამინოვის და პუშკინის ქუჩებიდან მეიდნამდე. მე-6 საპოლიციო უბანი მოიცავდა მარჯვენა სანაპიროს მეიდნიდან ორთაჭალის ბაღებამდე. მე-7 უბანი მოიცავდა მარცხენა სანაპიროს სურბ-კარაპეტის ხეივიდან ფერმებამდე (შემდგომში შავი ზღვის ქუჩა დღეს ლ. კაჩინსკის ქუჩა).

199. დ. ბებუთოვი – დავით იოსების ძე ბებუთოვი, თავადი, გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა ტფილისში 1793 წლის 11 იანვარს. 1811 წელს ჩაირიცხა ტფილისში მდგარნარევის დრაგუნთა პოლკში იუნკერის ჩინით. 1812 წლის 4 დეკემბერს მიენიჭა ოფიცრის წოდება. 1835 წელს, ი. ფ. პასკევიჩის დავალებით, შეკრიბა მუსლიმ-კავალერისტთა პოლკი და წაიყვანა იგი პოლონეთში, სადაც თვითონაც დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. 1847 წლის 25 თებერვალს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. 1861 წელს უკვე გენერალ-ლეიტენანტის ჩინით დანიშნეს ვარშავის კომენდანტად. გარდაიცვალა ვარშავაში 1867 წლის 11 მარტს, დასაფლავებულია იქვე. გარდაცვალების წელსვე გამოიცა მისი მემუარები – „Военный Сборник № 6-7", რომლის ერთ-ერთ თავში დეტალურად აქვს აღწერილი თავისი მონაწილეობა მუშტი-კრივში. თუმცა ფაქტია, რომ ვორონცოვის მეფისნაცვლობის დროს დ. ბებუთოვი უკვე პოლონეთში მსახურობდა გენერალ-მაიორის ჩინით და მასზე გაცილებით ახალგაზრდა არჩილ მუხრანელს მუშტი-კრივში ვერ შეხვდებოდა.

200. რომელიღაც სპარსელი მთავარსარდლის განდევნა ტფილისიდან – 1748 წელს მეფე ერეკლე II-მ საბოლოოდ განდევნა სპარსელე-

ბი ტფილისიდან. განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები იყო აბანოს და განჯის კართან, თაბორის ციხის მისადგომებთან. თაბორის ციხის აღების შემდეგ ერეკლემ აქ დადგა ზარბაზანი, რომლითაც გამუდმებით ბომბავდნენ მეტეხის ციხეს. ბოლოს მეტეხის ციხეც დატოვეს სპარსელებმა. ამ დროს ტფილისის გარნიზონს კონკრეტული ცნობილი სარდალი არ ჰყოლია. აბდულა-ბეგი მანამდე, ქალაქის ძირითადი ნაწილის აღებისას დამარცხდა და გაიქცა. სპარსელთაგან ქალაქის განთავისუფლების აღმნიშვნელი ნარწერა მდებარეობს მეტეხის ეკლესიის აფსიდის სამხრეთის ფასადზე. ამის შემდეგ ტფილისში სპარსული გარნიზონი აღარ მდგარა. აღა-მაჰმად ხანმა 1795 წელს კი დაარბია ტფილისი, მაგრამ მალევე გაბრუნდა უკან.

201. ჰამქარი – ხელოსნების ერთგვარი პროფესიული გაერთიანება, ევროპული გილდიის მსგავსი, რომელიც ტფილისში VIII-IX საუკუნეებიდან არსებობდა. რუსეთის იმპერიამ XIX ს-ის ბოლოს საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქცია, კომუნისტურმა რეჟიმმა კი საბოლოოდ გააუქმა ჰამქრები.

202. თამამშევის ქარვასლაში წარმოდგენების დაწყების შემდეგ – იხ. განმარტება 183.

203. შტაბის მხრიდან – სასახლის ქუჩის დასაწყისში, ქარვასლის მოპირდაპირედ მდგარი შენობა. ანუ კლუბის ფანჯრები გამოდიოდა სასახლის ქუჩის მხარეს.

204. ყირიმის ომის დასრულება – ყირიმის ომი დასრულდა 1856 წლის 18 მარტს, რუსეთის მიერ დამთმობი პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელის მოწერით.

205. ჰასან-ხანის დატყვევების წელსო, ანუ 1828 წელს, ერივნის აღებისას – ჰასან-ხანი, სპარსეთის მიერ დასმული ერივნის გამგებელი, დაატყვევეს 1827 წლის 1 ოქტომბერს, ერივნის აღებისას. ქიშმიშევი არასწორ თარიღს ასახელებს.

206. წინანაური ეკლესია – წინანაურის (სომხ. ცირანავორი) ეკლესიის პირვანდელი ნაგებობა XII ს-ში აუშენებიათ ღვთისმშობ-

ლის სახელობაზე. პ. იოსელიანის მიხედვით, აქ ესვენა მეფე თეიმურაზ I-ის ნეშთი ალავერდში გადასვენებამდე. მართლმადიდებლური ეკლესია მოქმედი იყო 1740 წლამდე, სანამ მას სპარსელები დაანგრევდნენ. 1778 წელს დანგრეული ეკლესიის ადგილზე ტფილისის სომეხმა მოსახლეობამ ახალი ეკლესია ააშენა და სომხურ ეკლესიად აკურთხა კვლავ ღვთისმშობლის სახელობაზე. აქ დროებით იყო დაბრძანებული ღვთისმშობლის გამოცხადების ხატი ახპატიდან. ეკლესია მოქმედი იყო XX ს-ის 40-იან წლებამდე. მდებარეობს კრწანისის ქ. 82-ში. გადაკეთებულია საცხოვრებელ სახლად.

207. შამილი – დაიბადა 1797 წლის 26 ივნისს დაღესტანის სოფელ გიმრიში. 1834 წელს აირჩიეს კავკასიის იმამატის იმამად (სულიერ და პოლიტიკურ წინამძღოლად). იმამატში გაერთიანებული იყო ავარიის სახანო (დაღესტანი), ჩეჩნეთი და ჩერქეზეთი. მედგარ წინააღმდეგობას უწევდა რუსეთის იმპერიას, სანამ 1859 წლის 26 აგვისტოს არ დაატყვევეს ღუნიბში. მიუხედავად მრავალწლიანი წინააღმდეგობისა, იმპერატორ ალექსანდრე II-ისგან მიიღო თავადის წოდება. 1870 წელს იმპერატორმა ნება დართო, გამგზავრებულიყო ჰაჯის შესასრულებლად მექასა და მედინაში. 1871 წელს გარდაიცვალა მედინაში, დაკრძალულია იქვე.

208. ავართა სახანო – ავართა სახანო, პოლიტიკური წარმონაქმნი თანამედროვე დაღესტნის ტერიტორიაზე დედაქალაქით ხუნძახში. XIX ს-ის შუა წლებში შედიოდა კავკასიის იმამატის შემადგენლობაში.

209. ჰაჯი-მურატი – შამილის ნაიბი (ტერიტორიული ერთეულის მმართველი). ერთდროულად რუსეთის არმიის ოფიცერი. დაბადების ზუსტი თარიღი და ადგილი უცნობია. სავარაუდოდ, XVIII ს-ის 90-იანი წლები, სოფელი ცელმესი, ხუნძახის შემოგარენში. მონაწილეობდა შამილის მასწავლებლის და წინამორბედის, კავკასიის მეორე იმამის ჰამზათ-ბეგის, მკვლელობაში.

იბრძოდა შამილის წინააღმდეგაც, რისთვისაც მიიღო რუსეთის არმიის ოფიცრის ჩინი. 1840 წელს შეურთდა შამილს და ავარიის სახანოს ნაიბი გახდა. 1851 წელს ისევ რუსების მხარეს გადავიდა და ერთი წელი ცხოვრობდა ტფილისში, რის შემდგომ კვლავ გადანყვიტა შამილთან დაბრუნება. 1852 წლის 5 მაისს მოკლეს ნუხადან (დღევანდელი შექი) კახისკენ მიმავალ გზაზე სოფელ ონჯალოსთან. ნეშთის დასაფლავების ადგილი უცნობია. თავი ჯერ გამოფენილი იყო ტფილისში, შემდეგ კი გაგზავნეს სანკტ-პეტერბურგში, სადაც დღესაც ინახება.

210. ნუხი, იგივე ნუხა, დღეს ქ. შექი აზერბაიჯანში.

211. ჰაინის აფთიაქი – ბიძაშვილები ფრიდრიხ და ფერდინანდ ჰაინები ტფილისში დაბადებული გერმანელები იყვნენ. აფთიაქს ქალაქის საკრებულოს პირველ სართულზე (შემდგომში N1 აფთიაქი, დღეს გაუქმებულია) ფლობდნენ 1902-დან 1920 წლამდე.

212. ქალაქის ლომბარდი – მდებარეობდა ველიამინოვის ქუჩის 2-ში (იხ. განმარტება 26) ქალაქის საკრებულოს პირველ სართულზე.

213. „ჰაჯი-მურატ გელდი-გელდი დაღესტანა ჰაჯი-მურატ" – ჰაჯი-მურატ, გასწი, გასწი, დაღესტანში, ჰაჯი-მურატ.

214. თხზავდნენ ყოველთვის ქართულ და ძალიან იშვიათად სხვა ენებზე – ისევე როგორც ს. ქიშმიშევი, ა. ქიშმიშევიც ხაზს უსვამს, რომ მიუხედავად ეროვნული და რელიგიური მრავალფეროვნებისა, ტფილისში ლექსებს და სიმღერებს ქართულ ენაზე ქმნიდნენ და მღეროდნენ (იხ. შენიშვნა 136). გადმოცემის თანახმად, თუ რაიმე სახის შეკრებისას სხვა რომელიმე ეროვნების ან აღმსარებლობის ერთი პირი მაინც ერია, ქართულის გარდა სხვა ენაზე საუბარი ამ პირის შეურაცხყოფად ითვლებოდა.

215. სოლოლაკის ჯებირის გარღვევა – იხ. განმარტება 188.

216. დომინიკელი ბერების განდევნა – ტფილისიდან 1845 წლის იანვარში განდევნეს არა დომინიკანელი, არამედ კაპუცინე-

ლი ბერები, რომლებიც მართავდნენ კათოლიკურ ეკლესიას საქართველოში მე-17 საუკუნის დასაწყისიდან, ახალციხის საფაშოს რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ. პასკევიჩის ბრძანებით, სომეხი ეროვნების კათოლიკეები, რომელთაც ხალხში ფრანკებს უწოდებდნენ, დაექვემდებარნენ ტფილისის კათოლიკურ ეკლესიას კაპუცინების ხელმძღვანელობით. ამან „ფრანკების" ანუ სომეხი კათოლიკეების სასულიერო პირებში გამოიწვია უკმაყოფილება. 1834 წელს მათ თხოვნით მიმართეს იმპერატორს, თვითონ, კაპუცინელი ბერების გარეშე, გადაეწყვიტათ შიდაორგანიზაციული საკითხები. 1835 წელს კაპუცინების მისიონერული მოძრაობა აიკრძალა, ხოლო 1845 წელს მათ დატოვეს საქართველო.

217. არქიეპისკოპოსი ისიდორე – საქართველოს ეგზარქოსი 1844-1858 წლებში. ერისკაცობაში იაკობ სერგის ძე ნიკოლსკი. დაიბადა ტულის გუბერნიის სოფელ ნიკოლსკოეში 1799 წლის 1 ოქტომბერს. გარდაიცვალა 1892 წლის 7 სექტემბერს სანკტ-პეტერბურგში.

218. ეპისკოპოსი კარაპეტი – ქიშმიშევთან ორიგინალში მოხსენიებულია როგორც ეპისკოპოსი, ამიტომ თარგმანშიც ასევე დავტოვეთ. არქიეპისკოპოსი კარაპეტი, ერისკაცობაში ოვანეს ბაგრატუნი. დაიბადა 1779 წლის 30 მაისს სპერის მახლობლად მდებარე სოფელ უნუთში (ამჟამად თურქეთში). 1829 წლის 27 ივნისს იგი მიეგება და დალოცა ერზრუმში შესული რუსული ჯარები გენერალ პასკევიჩის მეთაურობით. იმავე წლის 2 სექტემბერს ხელმოწერილი ადრიანოპოლის ზავის შემდეგ, თურქეთს დაუბრუნდა ერზრუმი, ყარსი და სხვა ქალაქები. 7300 ერზრუმელი სომეხი ოჯახი (50 000 ადამიანამდე), თურქების შურისძიების შიშით, არქიეპისკოპოს კარაპეტის კურთხევითა და მოწოდებით, გადმოსახლდა და დასახლდა ახალციხის, ახალქალაქის მაზრებში და ახლანდელი წალკის მიდამოებში. 1837 წელს სრულიად სომხების კათოლიკოსმა ჰოვანეს VIII კარბეცმა იგი დანიშნა სომხური ეკლესიის საქართველო-იმერეთის

ეპარქიის ხელმძღვანელად. აღესრულა ახალციხეში, 1856 წლის 3 ივნისს.

219. 1854 წლის ივლისში კახეთიდან ტყვედ წაიყვანა თავად ჭავჭავაძის ოჯახი – 1854 წლის 4 ივლისს შამილის რაზმები თავს დაესხნენ თავად დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის მამულს ნინანდალში და მისი ოჯახი ტყვედ წაიყვანეს. თავდასხმის დროს მოკლეს დავითის უმცროსი შვილი, 12 თვის ლიდია. 1855 წელს შამილმა დავითის ოჯახი გამოიყენა თავისი შვილის და 16 სხვა მთიელი ტყვის დასაბრუნებლად. ტყვეთა გაცვლის გარდა, შამილმა მიიღო დიდი ფულადი გამოსასყიდიც.

220. წმ. ანტონი მარტყოფში – ღვთაების მონასტერი მარტყოფსა და ნორიოს შორის, დაარსებული წმ. ანტონ მარყოფელის მიერ VI საუკუნეში.

221. თურქეთთან ომი – იგულისხმება ყირიმის ომის კავკასიის კამპანიის დაწყება. რუსეთის იმპერია თურქეთს (იმავე ოსმალეთის იმპერიას) ესაზღვრებოდა, ერთი მხრივ, ბალკანეთში – დუნაისთან, ხოლო მეორე მხრივ, ყარსთან და ბათუმთან. 1953 წელს რუსეთმა ორივე მიმართულებით შეუტია თურქეთს. კავკასიის ფრონტზე პირველი ბრძოლები დაიწყო 1853 წლის ნოემბერში.

222. ხოჯივანქის სასაფლაო – იხ. განმარტება 94.

223. ქალაქის საქმეთა მართვის მაგისტრატურა – რუსეთის იმპერიაში, ქალაქის არჩევითი ადმინისტრაციული სამმართველო, რომელიც ერთგვარ სასამართლოს წარმოადგენდა. გაუქმდა 1864 წლის სასამართლო რეფორმის შედეგად. მდებარეობდა დღევანდელი ერეკლეს II-ის მოედნის სკვერის ადგილას.

224. ეგზარქოსის მოედანი – შემდგომში და დღესაც ერეკლე II-ის მოედანი.

225. ტარმალამა – ნახევრად აბრეშუმის მკვრივი ნაჭერი.

226. ბუხარული ქუდი – იგივე ბუხრის ქუდი. კრაველის ქუდი. ერთგვარი შუაასიური ქუდი დამზადებული ცხვრის ტყავისაგან.

227. კაზაკი, კაზაკები – უბატონო გლეხების თემები რუსეთსა და უკრაინაში. ასეთი თემები ძირითადად ბატონებისგან გაქცეული გლეხებით ივსებოდა. qazaq – თურქულად თავისუფალს ნიშნავს. მოგვიანებით რუსეთის იმპერიამ დაიმორჩილა კაზაკთა თემები და მათ გასამხედროებული, იერარქიულად გამართული სახე მისცა. კაზაკები XIX საუკუნისთვის ფორმალურად ჩამოყალიბდნენ როგორც თავისუფალ მებრძოლთა დაქირავებულ რაზმები, თუმცა რეალურად რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ ძლიერ და, რაც მთავარია, იაფ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ.

228. კიტელი – სამხედრო უნიფორმის მოკლე, თხელი პიჯაკი.

229. მუნდირი – ზოგადად უნიფორმა, სამხედრო ან სხვა ორგანიზებული ერთეულის განმასხვავებელი ჩასაცმელი.

230. უზანგი – ცხენის აღკაზმულობის, უნაგირის ნაწილი, რომელიც ფეხის დასადგამად გამოიყენება.

231. დაღესტანის ოლქი – ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული რუსეთის იმპერიაში, ჩრდილო-აღმოსაელეთ კავკასიაში, დღევანდელი დაღესტნის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. დაღესტნის ოლქი საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1860 წელს, მას შემდეგ რაც შამილი დაატყვევეს.

